

# ს ი ს ს ლ ი ს    ს ა მ ა რ თ ა ლ ი ზ ო ბ ა დ ი    ღ ა    კ ე რ კ ო ნ ა ნ ი ლ ე ბ ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანიშნულებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2017, №1-3

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2017, №1-3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №1-3

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2017, №1-3

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# ზოგადი ნაწილი

## 1. დანაშაული

### ოჯახური დანაშაულის განმარტება

#### ბანაჩენი საქართველოს სასჯელით

№487აპ-16

27 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჟ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის განაჩენით დ. ჟ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 11'-126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 11'-138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2015 წლის 29 მარტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო.

2. განაჩენით დ. ჟ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძალადობა, ე.ი. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ; სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ოჯახის წევრის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

3. 2015 წლის 14 თებერვალს დ. ჟ-მ ცოლად შეირთო მ. ხ-ა და მათ შორის პირველი სქესობრივი კავშირისას, 2015 წლის 20-21 თებერვალს, ღამით, დ. ჟ-ს ვარაუდით, მ. ხ-ა არ აღმოჩნდა ქალიშვილი, რის გამოც დ. ჟ-ი გაბრაზდა და რამდენჯერმე დაარტყა ხელი მ. ხ-ს თავისა და სახის არეში, ასევე მიარტყმევინა თავი ლოგინის თავზე, რითაც მიაყენა ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ამავე დროს ლანძღავდა უნმანური სიტყვებით და ამცირებდა მას, ყელში უჭერდა ხელს და ეუბნებოდა ეთქვა, ვისთან დაკარგა ქალიშვილობა, რის გამოც შეშინებულმა მ. ხ-მ, რადგან გრძნობდა, რომ იხრჩობოდა, დ. ჟ-ს ძალადობის შეწყვეტის მიზნით უთხრა ტყუილი, თითქოს ბავშვობაში „რალაც მოუვიდა“, რის შემდეგაც დ. ჟ-მ გაუშვა ხელი და მოგვიანებით აიძულა, არ დანოლილიყო მის გვერდით სანოლში და მდგარიყო კუთხეში, რაზეც შეშინებული მ. ხ-ა დაემორჩილა და დილაზე იდგა ფეხზე. მას არ დაუძინია, ხოლო დ. ჟ-მ დაიძინა.

4. მეორე დღეს, დილით, დ. ჟ-მ გააგრძელა მ. ხ-ს ცემა, რა დროსაც დაარტყა ხელი სახეში და მიარტყმევინა თავი ლოგინზე, თან აგინებდა და ლანძღავდა. ფიზიკური ძალადობის და დამცირების შემდეგ დ. ჟ-მ მოსთხოვა მ. ხ-ს მიუხედავად მ. ხ-ს ნინაალმდეგობისა და ანწინა იგი მუცელზე და მისი თხოვნის და ნინაალმდეგობის მიუხედავად, იძულებით, გაუკუღმართებულ იფორმით, უკანა ტანიდან დაამყარა მასთან სექსუალური კონტაქტი, რა დროსაც მ. ხ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. დ. ჟ-ი აგრძელებდა მ. ხ-ს ცემას, დაარტყა მას ხელი სახეში, მიუხედავად იმისა, რომ მ. ხ-ს მისთვის ნინაალმდეგობის განწევა აღარ შეეძლო და სთხოვდა შეენწყვიტა ძალადობა და არ ეცემა. დ. ჟ-მ მოსთხოვა მ. ხ-ს მიუხედავად დამდგარიყო, რაც ვერ შეძლო და ნაიქცა ლოგინზე, რა დროსაც დ. ჟ-მ დაარტყა თავში, რითაც მ. ხ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი, რის შემდეგაც ჩვეულებრივი გზით, მ. ხ-ს სურვილის საწინააღმდეგოდ, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი.

5. აღნიშნულის შემდეგ მ. ხ-მ, დ. ჟ-ს მოთხოვნით, სახეზე შესამჩნევი დაზიანებების დასაფარად გაიკეთა „მაკიაჟი“ და ჩავიდნენ სახლის პირველ სართულზე, სადაც შევიდნენ მეზობლები და გაიშალა სუფრა. ერთ მომენტში მ. ხ-ა გავიდა სახლის უკან, სადაც მას გაჰყვა დ. ჟ-ი, რომელიც ემუქრებოდა მოკვლით და ლანძღავდა, ასევე ემუქრებოდა, რომ მისთვის ნაიარევი უნდა დაემჩნია, დაარტყა ხელი სახეში, რის გამოც ცხვირიდან წამოუვიდა სისხლი. მოგვიანებით, მეზობლების წასვლის შემდეგ, დ. ჟ-მ მოსთხოვა მ. ხ-ს გაჰყოლოდა სახლის უკან დამხმარე ნა-

გეობაში, სადაც შესვლისთანავე დაარტყა და დაუნყო ლან-  
ძღვა-გინება, ურტყამდა სახეში და თავში ძლიერად, რითაც მ.  
ხ-ა განიცდიდა ტკივილს, მან დაკარგა გონება და დაეცა იატაკ-  
ზე. გონზე მოსვლის შემდეგ იქ მივიდა დ. ჟ-ს დედა, ხოლო შემ-  
დეგ – მისი დები, რა დროსაც დ. ჟ-ი აგრძელებდა მის ცემას და  
ლანძღვა-გინებას. მოგვიანებით მ. ხ-ა მისმა დამ – ნ. ხ-მ და დე-  
იდამ – მ. მ-მ წაიყვანეს სახლში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს  
საავადმყოფოში.

6. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს  
მსჯავრდებულ დ. ჟ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა  
– ს. ჯ-მ და ლ. ხ-მ, რომელთაც ითხოვეს გამამართლებელი განა-  
ჩენის გამოტანა.

7. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემ-  
ბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენით  
დარჩა უცვლელად.

8. მსჯავრდებული დ. ჟ-ი და მისი ინტერესების დამცველი,  
ადვოკატი ლ. ხ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის საა-  
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2016 წლის 23 მაისის განაჩენის გაუქმებასა და დ. ჟ-ს გამარ-  
თლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-  
მა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ  
მსჯავრდებულ დ. ჟ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ად-  
ვოკატ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს,  
ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 1-ლი ინსტანციისა და  
სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ დ. ჟ-ს მი-  
მართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბე-  
ბული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მისი ბრალეუ-  
ლობის თაობაზე (გარდა საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლზე  
მითითებისა), სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა  
სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადას-  
ტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტ-  
ყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ:

3. დაზარალებულ მ. ხ-ს მიერ მოწმის სახით მიცემული ჩვე-  
ნებით დადგენილია, რომ დ. ჟ-ი გაიცნო ქორწინებამდე შვიდი  
თვით ადრე და ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ისინი დაქორ-

წინდნენ 2015 წლის 14 თებერვალს. მათ შორის პირველი სქესობრივი კავშირი დამყარდა 20 თებერვლის საღამოს. სქესობრივი კავშირიდან რამდენიმე წუთში დ-მ იეჭვიანა, რომ მ-ი არ იყო ქალიშვილი, რის გამოც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ხელი გაართყა სახეში. მ. ხ-ს ყველა განმარტებაზე მსჯავრდებული ბრახდებოდა, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ხელებს ურტყამდა სახისა და თავის არეში, ასევე ლოგინის თავზე მიატყმევინა თავი. მ. განიცდიდა ძლიერ ტკივილსა და დამცირებას. დ-მ მას ყელში მოუჭირა ხელი და ახრჩობდა, მოითხოვდა ეთქვა, თუ ვისთან დაკარგა ქალიშვილობა. შემინებულმა მ-მ იცრუა და უთხრა, რომ ბავშვობაში „რალაც მოუვიდა“. ამის გაგონებაზე მსჯავრდებული ცოტა დამშვიდდა და ხელი გაუშვა. შემდეგ მ. აიძულა კუთხეში დამდგარიყო, სადაც იგი დილაამდე იდგა ფეხზე. დილით გაღვიძებულმა დ. ჟ-მ გააგრძელა მ. ხ-ს შეურაცხყოფა. ხელი გაართყა სახეში და თავი კვლავ ლოგინზე მიატყმევინა. შემდეგ მსჯავრდებულმა მუხლებზე დააყენა, დაუკავა ორივე ხელი, მუცლით დაანვინა, თვითონ ზემოდან დაანვა და მიუხედავად მ. ხ-ს წინააღმდეგობისა, უკანა ტანიდან გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. მ-მ იგრძნო ძლიერი ტკივილი, მაგრამ დ-მ დაყვირების საშუალება არ მისცა და პირზე ხელი ააფარა. როცა მსჯავრდებული მიხვდა, რომ მ. წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა, ხელი გაუშვა. მ. სთხოვდა აღარ ეცემა, თუმცა, მიუხედავად ამისა, დ-მ მაინც დაართყა სახეში ხელი. ცოტა ხნის შემდეგ ხელი მოჰკიდა ფეხებზე და ლოგინისკენ წაათრია. მ-ს წინააღმდეგობის განევის თავი აღარ ჰქონდა, განადგურებული იყო მორალურად. ემუდარებოდა არ ეცემა, თუმცა – ამაოდ. დ-მ მოსთხოვა მუხლებზე დადგომა, რაც ვერ შეძლო და წაიქცა ლოგინზე, რა დროსაც თავში და ზურგზე დაართყა, წამოსწია, ფეხებზე მოჰკიდა ხელი და მისი ნების საწინააღმდეგოდ, ჩვეულებრივი ფორმით დაამყარა სქესობრივი კავშირი. შემდეგ დ-მ მოსთხოვა ტანსაცმლის ჩაცმა და ქვემოთ ჩასვლა. სახეზე „მაკიაჟი“ წაასმევინა, რადგან ეტყობოდა ცემის კვალი. მოგვიანებით მ. ხ-ა გავიდა სახლის უკან, სადაც გაჰყვა დ. ჟ-ი და იქაც დაართყა, რის გამოც ცხვირიდან წამოუვიდა სისხლი და ემუქრებოდა მოკვლითა და „შრამის“ დადებით. შემდეგ მივიდნენ მეზობლები და ისევ სახლში შევიდნენ. მას ეტყობოდა, რომ იყო ნამტირალევი, ამიტომ დ-მ ხელახლა გააკეთებინა „მაკიაჟი“. როგორც კი მარტო რჩებოდნენ ის და დ. იგი აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. სტუმრების წასვლის შემდეგ დ-მ სახლის უკან მდებარე სამზარეულო ოთახში შეიყ-

ვანა, სადაც კვლავ გააგრძელა მისი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. დ-მ მაგიდიდან აიღო დანა, დაემუქრა მოკვლით, ნაიარევის დამჩნევით და მოუქნია დანა. ურტყამდა სახეში და თავში ძლიერად. მ. განიცდიდა ძლიერ ტკივილს და ეხვეწებოდა სახლში გაშვებას. ბოლოს ძალა გამოეცალა და გონი დაკარგა. ამ დროს ოთახში შევიდა დ. ჟ-ს დედა, ხოლო ცოტა ხანში მივიდნენ მისი დები – ნ. და ხ.. მ. იატაკზე ეგდო და დ. ურტყამდა, უნდოდა სკამის ჩარტყმაც, მაგრამ მისმა დებმა შეაკავეს, ხოლო მ. გაიყვანეს „...“. მან რამდენჯერმე დააპირა გაქცევა, მაგრამ მსჯავრდებულის დედამ და დებმა არ მისცეს ამის უფლება. შემდეგ დ. ჟ-ს სახლში მივიდნენ მ-ს და და დეიდა, რომლებმაც მ. ხ-ა წაიყვანეს დეიდის სახლში, სადაც იგი ცუდად გახდა, რის გამოც გადაიყვანეს საავადმყოფოში. მას სტკიოდა თავი, სახე და მთელი სხეული. საავადმყოფოში მისმა დამ გადაუღო სურათი და მოგვიანებით წარუდგინა გამომძიებელს. გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის შესახებ პირველი დაკითხვისას გამომძიებელს ვერ გაუშხილა, რადგან იყო დათრგუნვილი, რცხვენოდა, რომ ხალხის დასაცინი გახდებოდა, ხოლო დანარჩენი ყველაფერი ისე მოუყვა, როგორც იყო. რამდენიმე დღე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ჰქონდა ტვინის შერყევა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იმ დღესვე ვერ შეძლო ექსპერტიზის ჩატარება. როგორც კი ცოტა გამოკეთდა, კერძოდ, 3 დღის შემდეგ იგი წაიყვანეს ექსპერტიზის ჩასატარებლად ქუთაისში, სადაც ჩაუტარდა ექსპერტიზა. შემდეგ მ-მ მიმართა ადვოკატს, ასევე მივიდა ფსიქოლოგთან, რის შედეგადაც გადწყვიტა, რომ გამომძიებლისათვის ყველაფერი უნდა გაემხილა.

4. მონწე ნ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 20 თებერვალს სტუმრად იმყოფებოდა დ. ჟ-ს ოჯახში. მსჯავრდებული და მისი და – მ. ხ-ა სალამოს ადრე წავიდნენ დასაძინებლად, ხოლო ნ. ჟ-ი და თვითონ მოგვიანებით. ნ. ხ-მ გვიან ღამით გაიგონა კარის გაჯახუნების ხმა და დ-ს გაუგებარი სიტყვები. მეორე დღეს შეამჩნია, რომ მ. მონყენილი და ნამტირალევი იყო, მაგრამ ვერ მოახერხა მიზეზის კითხვა, ვინაიდან იქ სტუმრად იმყოფებოდნენ მეზობლები. ნ. დაახლოებით 14 საათზე წავიდა მათგან, სალამოს კი ნ-მ დაურეკა და შეატყობინა ცუდი ამბავი. აღნიშნულის გამო იგი დეიდასთან ერთად მივიდა სიძის სახლში. მ. იყო ნაცემი – გახეთქილი ჰქონდა ტუჩი, ორივე თვალი დაზიანებული, განსაკუთრებით მარცხენა თვალი, რომელსაც ვერ ახელდა, დაზიანებები ჰქონდა ასევე კისერზე. შეიტყო, რომ დ-მ მიაყენა შეურაცხყოფა. ნ-გან გაიგეს, რომ ქალიშვილი არ იყო

და ამიტომ სცემა დ-მ. მ. ვერ ლაპარაკობდა, წამოიყვანეს და მიიყვანეს დეიდასთან სახლში, სადაც ძალიან ცუდად გახდა, დაეწყო კრუნჩხვები, რის შემდეგაც გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოგვიანებით მ. წაიყვანეს ექსპერტიზაზე და მისი ჩატარების შემდეგ შეიტყვეს, რომ მ-თან დ-მ გაუკუღმართებული ფორმით ჩაიდინა სექსუალური ძალადობა, რის შესახებაც მათთვის მოყოლა მ-ს ძალიან გაუჭირდა.

5. მოწმე მ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ არის მ. ხ-ს დეიდა. 2015 წლის 21 თებერვალს ნ. ხ-თან ერთად მივიდა დ. ჟ-ს სახლში, სადაც მ. დახვდათ ნაცემი, დასიებული ჰქონდა სახე, თვალები, ტუჩები და ნორმალურად ვერ ლაპარაკობდა. აღნიშნული მ-ს მამას არ გაუმხილეს, უთხრეს მხოლოდ მის დედას. მ. თავის სოფელში არ წაიყვანეს, რადგან ჭორებს მოერიდნენ და ამიტომ მიიყვანეს მ. მ-ს სახლში. დეიდის სახლში მიყვანის შემდეგ, მ. ცუდად გახდა, რის გამოც მოათავსეს საავადმყოფოში. იქ მ-გან შეიტყვეს, რომ დ. უცემია, ვინაიდან მას ეგონა, რომ არ იყო ქალიშვილი. გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივ კავშირზე მ. მ-თვის ცნობილი გახდა მ. ხ-თვის ჩატარებული ექსპერტიზის შემდეგ, რის შესახებაც მ-მ ტირილით მოუყვა მასა და მის დას – ნ. ხ-ს.

6. მოწმე ვ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ არის მ. ხ-ს მამა. მისთვის მ. ამბავი ცნობილი გახდა მომხდარი შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ. ასევე გაიგო, რომ მას აბრალებდნენ მ-ს ცემას, რაც მისთვის შეურაცხმყოფელია, რადგან შვილი არასოდეს უცემია. მ. როცა ნახა, იგი საშინლად გამოიყურებოდა, დაზიანებები ჰქონდა სახეზე, ცხვირზე და ამბობდა, რომ დ. ჟ-მ მიაყენა ისინი. მ-ს ჩაუტარდა ექსპერტიზა და დამტკიცდა, რომ ქალიშვილი იყო.

7. მოწმე მ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ... საავადმყოფოში და იგი იყო მ. ხ-ს მკურნალი ექიმი. ... საავადმყოფოში შეყვანისას მ. ხ-ს სახეზე ჰქონდა სისხლნაჟღენთები სახის არეში, ესკორაციები. უჩიოდა თავის ტკივილს, თავბრუსხევას, კარგავდა გონებას. მას დაუდგინდა თავის ტვინის შერყევა, რის გამოც მოათავსეს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა. მ-ს გადმოცემით, დაზიანებები მიაყენა მეუღლემ. სექსუალური ხასიათის ძალადობის შესახებ მ-ს არაფერი უთქვამს.

8. ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა .... საავადმყოფოს მედდამ, მოწმე მ. შ-მ.

9. მოწმე ა. ჩ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ მას, როგორც ფსიქოლოგს, დასახმარებლად და კონსულტაციისთვის მიმარ-



თა მ. ხ-მ. იგი მოუყვა, რომ მეუღლემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და მასთან გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სექსუალური კონტაქტი, ვინაიდან იეჭვიანა, რომ ის არ იყო ქალიშვილი. ა. ჩ-ს განმარტებით, მ. იყო ძალიან დათრგუნვილი, ნერვიულობდა და უჭირდა მომხდარზე საუბარი. როცა მეუღლემ უთხრა, რომ ქალიშვილი არ იყო, მან ძალიან განიცადა და იტირა. იმავდროულად ამინებდა, არავისთვის ეთქვა ცემის თაობაზე და არსად უშვებდა. მ-ს ანუხებდა უძილობა, თავის ტკივილები, ეშინოდა მარტო დარჩენის და დღემდე გადის მკურნალობის კურსს. მ. რამდენჯერაც მივიდა მასთან, ყოველთვის ერთსა და იმავეს უყვებოდა. ფსიქოლოგის განმარტებით, შეუძლებელია იგი ცრუობდეს, მისი განცდებიდან გამომდინარე.

10. დაზარალებულის ინიციატივით ჩატარებული 2015 წლის 27 თებერვლის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია შემდეგი: 2015 წლის 25 თებერვალს მ. ხ-ს პირადი გასინჯვით საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია, ხოლო მისი დარღვევის ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება შესამონმებელი პირის მიერ მითითებულ თარიღებს (20-21.02.2015 წ.); 2015 წლის 25 თებერვალს ჩატარებული შემონმებისას მ. ხ-ს უკანა ტანის არეში აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლჩაქცევების სახით, რომლებიც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია ერეგირებული სასქესო ასოთი) და ასევე ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება შესამონმებელი პირის მიერ მითითებულ თარიღებს (20-21.02.2015 წ.); 2015 წლის 25 თებერვალს, მ. ხ-ს პირადი შემონმების დროს, მის სხეულზე გარეგნულად აღმოჩნდა 14 დაზიანება სისხლნაჟღენთებისა და სისხლჩაქცევების სახით. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, მ. ხ-ს დაესვა დიაგნოზი: ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, სახის მიდამოს რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, მარცხენა თვალის სუბკონიუქტივალური სისხლჩაქცევა, ცხვირის ძვლების ტრავმა დაცილების გარეშე. დაზიანებები მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება შესამონმებელი პირის მიერ მითითებულ თარიღებს (20-21.02.2015 წ.).

11. აღნიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – გ. გ-მ და მ. ნ-მ. მათ განმარტეს, რომ ექსპერტიზა ჩაატარეს დაზარალებულ მ. ხ-ს მიმართვის საფუძველზე, რა დროსაც უშუალოდ შეამონმეს და გაესაუბრნენ დაზარალებულს, რომელმაც უამბო მომხდარი ფაქტის შესახებ. ექსპერტიზის დასკვნაში რაიმე სხვა დაავადების თაობაზე არ

მიუთითებიათ, რადგან მ. ხ-ს არ უთქვამს, რომ აწუხებდა რომელიმე დაავადება და არც სამედიცინო დოკუმენტაციაში მოიპოვებოდა ინფორმაცია ამის შესახებ.

12. 2015 წლის 17 მარტის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ 2015 წლის 16 მარტს ჩატარებული მ.ხ-ს პირადი გასინჯვით – მისი საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია; უკანა ტანის მიდამოში მექანიკური დაზიანებისთვის დამახასიათებელი რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება; სხეულზე გარეგნულად მექანიკურ დაზიანებათა რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება.

13. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. გ-მ და განმარტა, რომ პირადად შეამოწმა მ. ხ-ა. წარდგენილი იყო მანამდე გაცემული ექსპერტიზის დასკვნაც. არსებული დასკვნის სისწორე ასევე დადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა შ.თ-მ.

14. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია წარდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შედგენილი 2015 წლის 24 მარტის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორე სასამართლო სხდომაზე დადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა, ექსპერტმა გ. გ-მ.

15. მოწმე ვ. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს გამომძიებლად და მან აწარმოა გამოძიება მოცემულ საქმეზე. როდესაც მან მ. ხ-ა პირველად დაკითხა მოწმის სახით, იგი იყო ძლიერ ნაცემი და იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში.

16. გამომძიებელ ვ. შ-ს მიერ 2015 წლის 11 მარტს შედგენილი დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერდა მოწმე ნ. ხ-ს მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი, ... რესპუბლიკურ საავადმყოფოში 2015 წლის 22 თებერვალს მ. ხ-თვის გადაღებული ფერადი ფოტოსურათი. დათვალიერების ოქმის თანახმად, ფოტოსურათზე მ. ხ-ს სახის არეში აღენიშნება სხვადასხვა სახის მრავლობითი დაზიანება, კერძოდ: მარცხენა თვალის ქვედა და ზედა ქუთუთოებზე, თვალის მთელ ზედაპირზე სისხლნაყენებები, სინითლებები, შეშუპება – ზედა ტუჩისა და შუბლის არეში; სახის მიდამოში – მრავლობითი დაჟეჟილობა, სინითლე – მარჯვენა თვალისა და ცხვირის მიდამოში. დათვალიერების ოქმის სისწორე დადასტურებულია გამომძიებელ ვ. შ-სა და ნ. ხ-ს ჩვენებით, ხოლო ფოტოსურათი დაერთო საქმეს.

17. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში 22.02.2015 წელს შესუ-

ლი შეტყობინებით დადგენილია, რომ .... რაიონის სოფელ ... რეს-  
პუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს სოფელ.... მცხოვრები ...  
წლის მ. ხ-ა, რომლის განმარტებით, მას სცემა მეულღემ.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ იზიარებს დაცვის  
მხარის მოსაზრებას, რომ თითქოსდა დაზარალებულმა მ. ხ-მ  
შურისძიების მოტივით მისცა ცრუ ჩვენება და დ. ყ-ს დააბრალა  
როგორც ფიზიკური, ისე სექსუალური ხასიათის ძალადობა,  
რადგან არ არსებობს მ. ხ-ს ჩვენების სანდოობასა და უტყუა-  
რობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მისი ჩვენება არის თანმიმ-  
დევრული, დამაჯერებელი და სრულად თანხვედნილია საქმის  
სხვა მასალებთან, კერძოდ: სამედიცინო ექსპერტიზის დას-  
კვნებთან და მათი ჩამტარებელი ექსპერტების, მოწმეების: ნ.  
ხ-ს, მ. მ-ს, მ. ქ-ს, მ. შ-ს, ა. ჩ-ს, ზ. ხ-ს, გამომძიებელ ვ. შ-ს ჩვენე-  
ბებთან და მის მიერ შედგენილ ფოტოსურათის დათვალიერე-  
ბის ოქმთან, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძვე-  
ლი საკასაციო პალატას არ გააჩნია.

19. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გარდა დაზა-  
რალებულ მ. ხ-ს ჩვენებისა, დ. ყ-ს მიერ მასთან ძალადობით,  
გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარე-  
ბა ასევე დადასტურებულია დაზარალებულის ინიციატივით ჩა-  
ტარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თა-  
ნახმად დადგენილია, რომ მ. ხ-ს უკანა ტანის არეში აღენიშნე-  
ბოდა დაზიანებები სისხლჩაქცევების სახით, მიყენებული რაი-  
მე მკვრივი ბლავკი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია ერე-  
გირებული სასქესო ასოთი), რომლის ხანდაზმულობა არ ეწინა-  
აღმდეგება შესამოწმებელი პირის მიერ მითითებულ თარიღებს.  
ამავე დასკვნითა და ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული სა-  
მედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით ასევე დადგენილია, რომ  
მ. ხ-ს საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია და მას მთელ  
სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა არაერთი დაზიანება სის-  
ხლნაჟღენტებისა და სისხლჩაქცევების სახით. მასვე დაუდგინ-  
და თავის ტვინის შერყევა.

20. რაც შეეხება კასატორების მიერ წარმოდგენილ სამედი-  
ცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც, მათი მოსაზრებით,  
არ დასტურდება დაზარალებულთან გაუკუღმართებული ფორ-  
მით სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტი, საკასაციო პა-  
ლატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ მითითებული ექსპერ-  
ტიზის დასკვნა არ არის კატეგორიული, იგი სავარაუდო ხასია-  
თისაა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მ. ხ-ს უკანა ტანში არსებუ-  
ლი დაზიანებები არ შეიძლებოდა, განვითარებულიყო გაუკუღ-  
მართებული ფორმით სქესობრივი კავშირის შედეგად, აღნიშ-

ნული დასკვნით უტყუარად არ დგინდება. ამ დასკვნის გამცემმა ექსპერტებმა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას მიუთითეს, რომ, მართალია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მ. ხ-ს უკანა ტანში სისხლჩაქცევების სახით არსებული დაზიანებები განვითარებულიყო მამაკაცის ერეგირებული სასქესო ასოს ზემოქმედების შედეგად, თუმცა კატეგორიულად ვერ გამორიცხეს, რომ ისინი შესაძლოა, მიყენებული იყოს რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგადაც, როგორც შეიძლება იყოს ამ ტიპის ნებისმიერი საგანი, იქნება ეს მამაკაცის ერეგირებული სასქესო ორგანო, თითი თუ სხვა რამ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განსხვავებით დაზარალებულ მ. ხ-ს ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნისა, დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია დაზარალებულის პირადი გასინჯვის გარეშე, მხოლოდ საქმის მასალების საფუძველზე. ასევე უსაფუძვლოა კასატორების მოსაზრება, რომ დაზიანებები გამოწვეულია იმ არაერთი შესაძლო ბიოლოგიური მიზეზით, რომელიც მითითებულია დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში (ყაზობა, წარსულში დაზარალებულისათვის ჩატარებული „ფისტულის“ ოპერაციის გამწვავება), ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე უტყუარი მტკიცებულებები დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია.

21. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორთა მოსაზრებას, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მსჯავრდებულ დ. ჟ-სა და დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები და მიუთითებს, რომ მოცემულ საკითხზე ვრცლად, დეტალურად და არგუმენტირებულად იმსჯელებს როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა, რასაც მთლიანად ეთანხმება საკასაციო პალატა.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორად გამოიყენა მატერიალური სამართლის ნორმა, კერძოდ საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლი, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის „... 126-ე, ... 138-ე ...“ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. იმავე

მუხლის შენიშვნის მიხედვით, ოჯახის წევრად ითვლება: „მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწვეიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ხ-ა და დ. ყ-ი არ იმყოფებოდნენ კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში, რის გამოც, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მ. ხ-ა ვერ ჩაითვლება დ. ყ-ს ოჯახის წევრად – მეუღლედ. გარდა ამისა, ისინი ასევე ვერ ჩაითვლებიან ისეთ პირებად, რომლებიც მუდმივად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ვინაიდან მათი თანაცხოვრების პერიოდი შეადგენს მხოლოდ 5-6 დღეს, რაც ვერ მიიჩნევა მუდმივი საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო აუცილებელ დროდ.

23. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითითება, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

24. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დამნაშავის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მისი წარსული ცხოვრების მხედველობაში მიღებით მსჯავრდებულ დ. ყ-ს განსაზღვრული აქვს სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. ყ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითითება.

4. დ. ჟ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ დ. ჟ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 29 მარტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სასჯელი

### სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

#### განაჩენი საქართველოს სასჯელით

№556აპ-16

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. ქათამაძე

განიხილა მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, მ. ბ-სა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის და ჯგუფურად, ხოლო მ. ბ-ს – იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 2 მაისს, დაახლოებით 20 საათზე, ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე სს „...“ მაღაზიიდან მ. ბ-ე და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით ქურდობისათვის ნასამართლევი გ. ბ-ე ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავა – „...“.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განაჩენით გ. ბ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – და მ. ბ-ე, დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნენ უდანამაულოდ და გამართლდნენ, შესაბამისად, გ. ბ-ე – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო მ. ბ-ე – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში.

გაუქმდა გ. და მ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

ნივთიერი მტკიცებულებები: მაღაზია „...“ ამოღებული ვიდეორჩანანერის ამსახველი DVD დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, უნდა დარჩეს მასში და შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით; მ. ბ-ს ტანსაცმელი და ხელჯოხი, რომელიც ინახება შს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; გ. ბ-ს კუთვნილი პიჯაკი უნდა დაუბრუნდეს გ. ბ-ს.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ხ-მ და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებულების დამნაშავედ ცნობა, შესაბამისად, გ. ბ-ს – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო მ. ბ-ს – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია მათ მიერ ჩადენილი ქმედება მცირე მნიშვნელობის მქონედ და მისი მსჯელობა, რომ გ. და მ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, წარმოადგენს ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, არ შეესაბამება მითითებული მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წარსულში ნასამართლევი პირების – მ. და გ. ბ-ს მიერ დამამძიმებელ გარემოებებში – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩადენილი ქმედება, რის გამოც იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მცირე მნიშვნელობის მქონედ.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი გ. ბ-სა და მ. ბ-ს მიმართ:

გ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წელი და 8 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 4 თვე ჩათვალა პირობით, 1 წლისა და 4 თვის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გ. ბ-ს მიმართ წინა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობი-



თი მსჯავრი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წელი და 8 თვე შეეფარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 4 თვე ჩაეთვალა პირობით – 1 წლისა და 4 თვის გამოსაცდელი ვადით.

პირობითი მსჯავრის პერიოდში გ. ბ-ს ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელება დაევალა პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, გ. ბ-ს დაეკისრა მოვალეობა – არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე.

გ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2016 წლის 13 ივლისიდან.

გ. ბ-ე დაკავებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზში, განაჩენის გამოცხადებისთანავე.

მ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 წელი და 4 თვე შეეფარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 8 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 8 თვის გამოსაცდელი ვადით.

პირობითი მსჯავრის პერიოდში მ. ბ-ს ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელება დაევალა პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, მ. ბ-ს დაეკისრა მოვალეობა – არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე.

მ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2016 წლის 13 ივლისიდან.

მ. ბ-ე დაკავებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზში, განაჩენის გამოცხადებისთანავე.

გ. ბ-ე და მ. ბ-ე შესახლებული იქნენ პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

გ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

მ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გი-  
რაო გაუქმებულია.

ნივთიერი მტკიცებულებები: მაღაზია „...“ ამოღებული ვი-  
დეორჩანანერის ამსახველი DVD დისკი, რომელიც ერთვის სის-  
ხლის სამართლის საქმეს, უნდა დარჩეს მასში და შენახულ იქ-  
ნეს საქმის შენახვის ვადით; მ. ბ-ს ტანსაცმელი და ხელჯოხი,  
რომელიც ინახება შს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პო-  
ლიციის ... განყოფილებაში, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ  
მფლობელს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების  
შემდეგ; გ. ბ-ს კუთვნილი პიჯაკი უნდა დაუბრუნდეს გ. ბ-ს, ან  
მისი ნდობით აღჭურვილ პირს, საქმეზე საბოლოო გადაწყვე-  
ტილების მიღების შემდეგ.

6. მსჯავრდებულები – გ. ბ-ე, მ. ბ-ე და მათი ინტერესების  
დამცველი, ადვოკატი ხ. თ-ე საკასაციო საჩივრებით ითხოვენ  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და  
მსჯავრდებულების გამართლებას შემდეგ გარემოებათა გამო:  
მსჯავრდებულების ქმედება, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს მცირე მნიშვნელო-  
ბისას, რადგან მათ მიერ „...“ მაღაზიიდან ფარულად დაუფლე-  
ბული ქონების – ერთი ქილა ყავის ღირებულება შეადგენს – 19  
ლარს; ამასთან, მათი ქმედებით მაღაზიის სამენარმეო ან სა-  
ვაჭრო საქმიანობას შეფერხება არ შექმნია და ქილა უკან დააბ-  
რუნეს გაუხსნელი და დაუზიანებელი; მსჯავრდებულებმა თა-  
ვიდანვე აღიარეს და მოინანიეს ჩადენილი ქმედება; მათ საქ-  
ციელს, მართალია, მორალურად არ აქვს გამართლება, თუმცა  
იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულად.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულებმა – გ.  
და მ. ბ-მ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრე-  
ბის მოთხოვნებს და იშუამდგომლეს მათი დაკმაყოფილება.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე ქუთაისის რაიონული პრო-  
კურატურის პროკურორმა გ. ხ-მ ითხოვა ქუთაისის სააპელაციო  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის  
13 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-  
მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ  
მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, მ. ბ-სა და მათი ინტერესების დამ-  
ცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმა-  
ყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უც-

ვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ დადგენილად მიაჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან, კერძოდ: 2015 წლის 2 მაისს, დაახლოებით 20 საათზე, ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე სს „...“ მაღაზიიდან მ. ბ-ე და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით ქურდობისათვის ნასამართლელი გ. ბ-ე ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავა – „...“. ამასთანავე, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სადავო არ გამხდარა და მათ მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა. ამდენად, გ. ბ-ს ქმედება მოიცავს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო მ. ბ-ს ქმედება, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ყველა ნიშანს. ხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მსჯელობს და აფასებს მხოლოდ იმ საკითხს – მსჯავრდებულების – გ. და მ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის დანაშაულიდან გამომდინარე, არის თუ არა მცირე მნიშვნელობისა.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. და მ. ბ-ს ბრალეულობის თაობაზე და დამატებით მიუთითებს შემდეგს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად – ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

4. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქმის შემდეგ ფაქტობრივ გა-

რემოებზე: მ. და გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად, დღისით და ხალხმრავალ ადგილას – მაღაზიაში; ორივე მათგანი არის წარსულში ნასამართლელი, კერძოდ – გ. ბ-ე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ქურდობისათვის) და შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით, ხოლო მ. ბ-ე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დაეკისრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 400 (ოთხასი) საათით და ჯარიმა – 2000 (ორი ათასი) ლარი (2011 წლის 10 იანვრის განჩინებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეცვალა 50 დღით თავისუფლების აღკვეთით. 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა შეფარდებული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით – 2 წლისა და 3 თვის გამოსაცდელი ვადით).

5. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ წარსულში მათ მართ გაავრცელა საშელავათო ღონისძიებები და ორივე მათგანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით, ისინი არ დაადგნენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის პერიოდში, ხოლო როგორც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსი აღმასრულებლის დ. ყ-ს №... წერილიდან ირკვევა, მ. ბ-ს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის განაჩენით დაკისრებული ჯარიმა – 2000 ლარი, 2015 წლის 27 მაისის მდგომარეობით, კვლავ არ ჰქონდა გადახდილი და ერიცხებოდა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ისინი ფარულად დაეუფლნენ ერთ ქილა ყავას, რომელიც, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ადამიანის სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ პროდუქტად, რის შესახებაც თვით მსჯავრდებულნიც არ აპელირებენ. აღნიშნული დამატებით ხაზს უსვამს მათი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

სსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მსჯავრდებულებ-  
მა ვერ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები და არ განიმსჭვალ-  
ნენ კანონის მიმართ სათანადო პასუხისმგებლობითა და პატი-  
ვისცემით, რის გამოც მათ მიერ ჩადენილი ქმედება ვერ ჩაით-  
ვლება მცირე მნიშვნელობის მქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ და-  
ზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი შეად-  
გენს – 19 ლარს.

6. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდე-  
ბულთათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია,  
რომ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ქმედებაში  
გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა  
დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების  
სახის, ხერხის, მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მსჯავრდებუ-  
ლების პიროვნების, მათი წარსული ცხოვრებისა და ასევე იმის  
გათვალისწინებით, რომ მათ აღიარეს დანაშაული, ითანამშრომ-  
ლეს გამოძიებასთან, აანაზღაურეს მიყენებული ზიანი, მათთვის  
განსაზღვრული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო  
პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის  
განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-  
ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,  
მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულების – გ. ბ-ს, მ. ბ-სა და ასევე მათი ინტე-  
რესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივრები არ  
დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენი დარჩეს უც-  
ვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით  
დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრდად  
ჩათვლა**

**ბანაჩენი  
საქართველოს სახელით**

№553აპ-16

21 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ა-ს, საჩხერის რაიონული პროკურორის პროკურორ ფრიდონ სვანიძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განაჩენით თ. კ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა რეალურად, ხოლო 1 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. თ. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 7 მაისიდან.

2. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. მსჯავრდებულ თ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2016 წლის 5 მარტს თ. კ-მ თბილისიდან ... მუნიციპალიტეტის სოფელ ... მოტყუებით წაიყვანა კერძო ტაქსი, რომლის მძღოლს – შ. კ-ს მომსახურების საფასურად შეჰპირდა 250 ლარის ანაზღაურებას, რაც თ. კ-მ სოფელ ... მისვლის შემდეგ არ გადაუხადა და მიიმალა, რითაც შ. კ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

4. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: თ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს რეალურად შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 1 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. თ. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 7 მაისიდან.

5. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

6. მსჯავრდებული თ. კ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ფ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას და თ. კ-ს მიმართ საბოლოო სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრას.

7. საჩხერის რაიონული პროკურატურის პროკურორი ფ. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას და თ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა თ. კ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში მითითებულ



მოტივაციას, რომ გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირება არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, რადგან მსჯავრდებული თ. კ-ე იყო ნასამართლევი და ასევე, დაემალა მართლმსაჯულებას.

4. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები არ არის დამაბრკოლებელი გარემოება მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ აღნიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაწილის პირობითად ჩათვლისათვის, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მისთვის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებას, ვინაიდან აღნიშნული მუხლი გამოიყენება, თუ მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან; ხოლო მსჯავრდებულმა თ. კ-მ აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი ქმედება, ასევე აანაზღაურა ზიანი.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ საბოლოო სასჯელის განაჩენით ერთობლიობით განსაზღვრის თაობაზე, საკასაციო პალატა, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ამ საკითხზე, ვინაიდან განაჩენითა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნაზე კანონით დადგენილი წესით უნდა იმსჯელოს 1-ლი ინსტანციის სასამართლომ.

6. ამასთან, საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

7. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ნახევარი.

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ თ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 9 თვე უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 9 თვე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. საჩხერის რაიონული პროკურატურის პროკურორ ფრიდონ სვანიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

4. თ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 9 თვე განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 9 თვე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 7 მაისიდან.

5. მსჯავრდებულ თ. კ-ს პირობითი მსჯავრის ვადის ათვლა დაეწყოს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლების საფუძველზე თ. კ-ს ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელება და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თ. კ-ს დაევალოს, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი.

6. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით  
დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად  
ჩათვლა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№525აპ-16

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**პ. სილაგაძე**

განიხილა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკუ-  
რორ მამუკა ნადირაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2016 წლის 2 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 მარ-  
ტის განაჩენით რ. ა., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არ-  
მქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე  
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (14 ეპიზოდი) იმაში, რომ  
ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფ-  
ლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც  
მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დანაშაულებრი-  
ვი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 09:00 საათზე, რ. ა-  
ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე შპს „...“ საბა-  
ზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გა-  
დაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 222 მეტრი კა-  
ბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 4322 ლარის მნიშვნელოვანი მა-  
ტერიალური ზიანი.

3. 2014 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 19:30 საათზე, რ.  
ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე შპს „...“ სა-  
ბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად  
გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 120 მეტრი  
კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1938 ლარისა და 13 თეთრის  
მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. 2014 წლის 24 ნოემბერს, დაახლოებით 12:30 საათზე, რ. ა-

ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 80 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 662 ლარისა და 40 თეთრის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

5. 2014 წლის 1 დეკემბერს, დაახლოებით 08:30 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 150 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1242 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

6. 2014 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით 17:45 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 60 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 469 ლარისა და 8 თეთრის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

7. 2014 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 13:00 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 200 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 2040 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

8. 2014 წლის 11 ივნისს, დაახლოებით 19:00 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 200 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 2040 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

9. 2014 წლის 30 ივლისს, საღამოს საათებში, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 100 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1020 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

10. 2014 წლის 13 აგვისტოს, დაახლოებით 09:30 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 200 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 2040 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

11. 2014 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 18:00 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 100 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1020 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

12. 2014 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 80 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 816 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

13. 2014 წლის 15 ნოემბერს, საღამოს საათებში, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 120 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1224 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

14. 2014 წლის 24 ნოემბერს, დაახლოებით 12:30 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 100 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 1020 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

15. 2014 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით 17:30 საათზე, რ. ა-ემ ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე შპს „...“ საბაზო სადგურის ანძიდან მაკრატლის გამოყენებით, ფარულად გადაჭრა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა 200 მეტრი კაბელი, რითიც შპს „...“ მიაყენა 2040 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

16. აღნიშნული ქმედებისათვის რ. ა-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით თითოეული ეპიზოდისათვის მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

17. გაუქმდა რ. ა-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და 5000 ლარის გირაოს უზრუნველსაყოფად დაყვადებული, ბ. ტ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

(35.15 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა, მდებარე ო-ში, მ. კ-ას ქ. №...-ში, საკადასტრო კოდი – .....), გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის – 5000 ლარის ამოღებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის მიზნით, აღსასრულებლად მიექცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

18. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ნ-მ, მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. მ-ემ.

19. პროკურორმა მ. ნ-მ ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და რ. ა-თვის პირობითი მსჯავრის ნაცვლად, თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო მსჯავრდებულმა რ. ა-ემ და მისმა ადვოკატმა დ. მ-ემ ითხოვეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანა, გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის – 5000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებლად მიქცევის ნაცვლად, ყადაღის მოხსნა და მესაკუთრის – ბ. ტ-თვის დაბრუნება.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორ მამუკა ნადირაძის სააპელაციო საჩივარი, ხოლო მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განაჩენი გირაოს ნაწილში შეიცვალა: მსჯავრდებულ რ. ა-თვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს უზრუნველსაყოფად ბ. ტ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (35.15 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა, მდებარე ო-ში, მ. კ-ას ქ. №...ში, საკადასტრო კოდი – .....) 5000 ლარის წილი დაუბრუნდა მის შემტანს – ბ. ტ-ს; რ. ა-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, ბ. ტ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (35.15 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა, მდებარე ო-ში, მ. კ-ას ქ. №...ში, საკადასტრო კოდი – .....) 5000 ლარის წილზე დადებული ყადაღა მოიხსნა. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

21. კასატორი – ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი მამუკა ნადირაძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი რ. ა-ის მიმართ უკანონოა, ვინაიდან რ. ა-თვის შეფარდებული პირობითი სასჯელი აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და პიროვნებას. რ. ა-ემ 14-ჯერ ჩაიდინა

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული და არც ერთ ეპიზოდში დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია; გარდა ამისა, იგი საქმის განხილვის დროს თავს არიდებდა სასამართლო სხდომებზე დასწრებას და სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დაადასტურებდა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს; რ. ა-ის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ცნობიდან ირკვევა, რომ მან შპს „...“ ექიმს მიმართა 2016 წლის 5 მარტს ანუ მას შემდეგ, რაც ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა მისი საქმის განხილვა და განაჩენი გამოიტანა.

22. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში დევს 2015 წლის 7 მარტით დათარიღებული ოქმი, რომლითაც რ. ა-ე გაფრთხილებულია, რომ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, გირაოს სახით შეტანილი თანხა გადაირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება, გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიექცეოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით; დაყადაღებული ქონების მესაკუთრე ბ. ტ-თვის ცნობილი იყო საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და კანონის დარღვევის შემთხვევაში შესაძლო შედეგის შესახებ.

23. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას: რ. ა-თვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (14 ეპიზოდი), ნაცვლად პირობითი მსჯავრისა, თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას; ასევე – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, გირაოს უზრუნველსაყოფად 5000 ლარის ფარგლებში ბ. ტ-ის უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევას.

24. მსჯავრდებული რ. ა. და მისი ადვოკატი დ. მ. შესაგებლად ითხოვენ პროკურორ მამუკა ნადირაძის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრისა და შესაგებლის საფუძვლიანობა და აღნიშნავს:

2. წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და

დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ რ. ა-ემ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ რ. ა-თვის განსაზღვრულ სასჯელს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მსჯავრდებულისათვის ნაცვლად პირობითი მსჯავრისა, თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლა, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. ა-ეს მსჯავრი დაედო ერთი და იმავე კატეგორიის – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თოთხმეტი ეპიზოდის ჩადენაში. არსებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი და დაზიანებულ სამართლებრივ სიკეთეთა სიმრავლე მეტყველებს რ. ა-ის მართლენსრიგისადმი დამოკიდებულების ხარისხსა და კანონით განსაზღვრული ვალდებულებების განზრახ უგულვებელყოფისადმი მიდრეკილებაზე. ამასთან, საქმეში არსებულ მასალათა თანახმად, დაზარალებულები ითხოვენ რ. ა-ის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად მიყენებული მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის სრულად ანაზღაურებას, თუმცა მას არც ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით მიყენებული ქონებრივი ზიანი არ აუნაზღაურებია.

5. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს რ. ა-ის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, კერძოდ, იმას, რომ ფარული დაუფლება განხორციელდა შპს „...“, შპს „...“- და შპს „...“- საბაზო სადგურის ანძებიდან, რომელთა ნორმალური ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივ ინტერესთან. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“- და შპს „...“- კანონიერ წარმომადგენელთა დაკითხვის ოქმის თანახმად, რ. ა-ის ქმედებამ შპს „...“- საბაზო სადგურისა და შპს „...“- სალოკაციო სადგურის ქსელიდან გამორთვა გამოიწვია.

6. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილებაში მითითებულ – დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენას, ყოფაქცევას ქმედების ჩადენის შემდეგ, დანაშაულის აღიარებას და გამოძიებასთან თანამშრომლობას – დასახელებული გარემოებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნა-



წილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მათი არსებობა, ზემოჩამოთვლილ გარემოებებთან ერთობლივად, არ წარმოადგენს სასჯელის სრული სახით პირობით მსჯავრად ჩათვლის საფუძველს.

7. საკასაციო პალატა მსჯავრდებულ რ. ა-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს უზრუნველსაყოფად 5000 ლარის ფარგლებში დაყადაღებული ბ. ტ-ის საკუთრებაში არსებული ქონების „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას და განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების შესაბამისად, გირაოს შეტანის წინ უშუალოდ მისი შემტანი (ე.ი განსახილველ შემთხვევაში – ბ. ტ.) უნდა ყოფილიყო გაფრთხილებული წერილობითი ვალდებულებით, ბრალდებულის (რ. ა-ის) მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონების მესაკუთრეს წინასწარ, შესაბამისი გაფრთხილების ოქმით სრული ინფორმაცია უნდა გააჩინდეს მისი საკუთრების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესაძლებლობასა თუ წინაპირობებზე.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორის მოთხოვნა რ. ა-ს მიმართ ნაცვლად პირობითი მსჯავრისა, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, რ. ა-ეს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა და მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი. რაც შეეხება გირაოს უზრუნველსაყოფად 5000 ლარის ფარგლებში ბ. ტ-ის უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევას, პროკურორს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე ზემომითითებული მოტივებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პროკურორ მამუკა ნადირაძის საკასაციო საჩივარი დაკ-



მაცოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. რ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ბრალდების 14 ეპიზოდი) და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 1 თებერვლის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 24 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 1 დეკემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 22 დეკემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 16 თებერვლის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 11 ივნისის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 30 ივლისის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 13 აგვისტოს ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 15 სექტემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვე-

პუნქტით (2014 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 24 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 22 დეკემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქმას დანარჩენები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. ა-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 6 თვე ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

5. მსჯავრდებულ რ. ა-ეს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან.

6. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენი გიროს დაბრუნების, ყადაღის მოხსნისა და ნივთმტკიცებების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სასჯელის დანიშვნა

ქირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის  
შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით

**განაჩენი**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№474აპ-16

24 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩხერის რაიონული პროკურორის მოადგილის ფ. ს-ისა და მსჯავრდებულ ი. ა-ის საკაცაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განაჩენით ი. ა-ე, –ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი, რამაც შთანთქა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. გაუქმდა მსჯავრდებულ ი. ა-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირო.

2. განაჩენით ი. ა-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განაჩენით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის მსჯავრდებულმა ი. ა-ემ 2015 წლის დეკემბერში ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარიხუანა). 2016 წლის 4 იანვარს ნარკოლოგიური შემოწმებისას ი. ა-ეს დაუდგინდა ნარკოტიკული

საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ფ. ს-ემ და მსჯავრდებულმა ი. ა-ემ.

4. პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ი. ა-ისათვის განაჩენთა ერთობლიობით უფრო მკაცრი (თავისუფლების აღკვეთა) სასჯელის განსაზღვრა, ხოლო მსჯავრდებულმა – სასჯელის სახით მისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. პროკურორი ფ. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ი. ა-ისათვის განაჩენთა ერთობლიობით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

7. მსჯავრდებული ი. ა-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არის მესამე ჯგუფის ინვალიდი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ჰყავს ავადმყოფი დედა, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს სასჯელის სახით მისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრას.

8. მსჯავრდებული ი. ა-ე შესაგებლად ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს პროკურორ ფ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ა-ეს აღუდგა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით

გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ი. ა-ისათვის ბრალად შე-  
რაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სა-  
დავოდ არც კასატორები ხდიან.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის  
29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-  
17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის  
ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის-  
სამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გა-  
მოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების,  
ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკო-  
ლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანარ-  
თი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარ-  
კოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

4. ამასთან, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“  
ამონაწერის თანახმად, ი. ა-ე რეგისტრირებულია სოციალურად  
დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. აღნიშნულის  
გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაის-  
ის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის 2016 წლის 6 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლი-  
ლება მსჯავრდებულ ი. ა-ის სასიკეთოდ სასჯელის ნაწილში და  
ჯარიმის ნაცვლად მას განესაზღვროს საზოგადოებისათვის სა-  
სარგებლო შრომა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-  
ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით,  
მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პროკურორ ფ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-  
დეს.

2. მსჯავრდებულ ი. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილ-  
დეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლი-  
ლება, კერძოდ:

4. ი. ა-ეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწი-  
ნებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით განესაზღვროს სა-  
ზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის

ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ ი. ა-ეს სასჯელის სახით განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის ოდენობით.

5. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასჯელის შემსუბუქება**

### **განაჩენი**

### **საქართველოს სასჯელით**

№589აპ-16

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განაჩენით ზ. ნ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან – 3 წლითა და 6 თვით თავი-

სუფლები ალკვეთიდან ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ზ. წ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან და სასჯელის ვადაში ჩათვალა დაკავებულად ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 15 მარტიდან იმავე წლის 25 მარტის ჩათვლით.

4. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზ. წ-ს დამატებითი სასჯელის სახით სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის საგანი – დანა.

5. ზ. წ-თვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. გირაოს უზრუნველსაყოფად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 აპრილის №..... განჩინებით 2000 ლარის უზრუნველსაყოფად დაყადაღებულ, ა. ძ-ს, ლ. ძ-ს, მ. ძ-სა და ნ. ქ-ს თანასაკუთრებაში არსებულ, ... რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...) ყადაღა უნდა მოეხსნას განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში.

6. საქმეზე დართული CD დისკი შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით.

7. განაჩენით მსჯავრდებულ ზ. წ-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში: განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნა-სამართლევი ზ. წ-ა 2016 წლის 15 მარტს ქ. ..., ... ქუჩაზე, პირადად ატარებდა ცივ იარაღს – დანას.

8. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

9. მსჯავრდებულ ზ. წ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. მ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულ ზ. წ-თვის სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ: ზ. წ-ს აღიარებითი ჩვენება, პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმი, ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17

ივნისის განაჩენი, სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გაცემული ... ცნობა, ექსპერტიზის ... დასკვნა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 მაისის განაჩენი, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ზ. წ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდინან სადავოდ.

3. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით – ზ. წ-ა არის სოციალურად დაუცველი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, დაავადებულია (ეე ჰეპატიტით, არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი სახლი, აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ხასიათდება დადებითად, სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ზ. წ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ზ. წ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238'-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელიდან – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ზ. წ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა



დაეწყოს 2016 წლის 25 აპრილიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალოს დაკავებულად ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 15 მარტიდან იმავე წლის 25 მარტის ჩათვლით.

6. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზ. წ-ს დამატებითი სასჯელის სახით სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას დანაშაულის საგანი – დანა.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ზ. წ-თვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს უზრუნველსაყოფად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 აპრილის ... განჩინებით 2000 ლარის უზრუნველსაყოფად დაყადებულ, ა. ძ-ს, ლ. ძ-ს, მ. ძ-სა და ნ. ქ-ს თანასაკუთრებაში არსებულ, ... რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...) მოეხსნას ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში.

8. საქმეზე დართული CD დისკი შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასჯელის შემსუბუქება**

### **განაჩენი**

### **საქართველოს სახელმწიფო**

№572აპ-16

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. პ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენით დ. პ-ე, –

დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. ნივთიერი მტკიცებულებები – ზ. ბ-ს ტანსაცმელი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; DVD დისკები, ვიდეორჩანანერითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფოტოსურათებით, რომლებიც თან ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით; დანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

3. განაჩენით მსჯავრდებულ დ. პ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 3 იანვარს თბილისში, ... ქუჩის №...-ში არსებულ გაზგასამართ სადგურ „...“ ტერიტორიაზე გამოვლინდა, რომ დ. პ-ე ზ. ბ-ს დანის გამოყენებით დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რა დროსაც ზ. ბ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

4. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული დ. პ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას და სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას დ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ დ. პ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

3. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას მისთვის დანიშნული სასჯელის სიმკაცრის შესახებ და მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების – დ. პ-მ გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული და ინანებს და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, სამართლიანი იქნება მისთვის ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. პ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ დ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. ნივთიერი მტკიცებულებები – ზ. ბ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; DVD დისკები, ვიდეოჩანაწერთა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფოტოსურათებით, რომლებიც თან ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით; დანა განადგურდეს.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი

## განაჩენი საქართველოს სახელით

№638აპ-16

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მამუკა ნადირაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის განაჩენით ლ. ო-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი.

2. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლებები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

3. გაუქმდა ლ. ო-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

4. განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ო-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევნი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

5. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით ლ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რის შემდეგაც მან კვლავ ექი-

მის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარისუანა), რაც დაუდგინდა 2016 წლის 22 იანვარს ნარკოლოგიური შემოწმებისას.

6. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ლ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

7. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ლ. ო-ს მიმართ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – ჯარიმამ 1500 ლარის ოდენობით – შთანთქა წინა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

9. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლებები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

10. ლ. ო-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

11. ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი მამუკა ნადირაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას და ლ. ო-ს მიმართ სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწ-

მა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ლ. ო-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ არაკონსტიტუციურად (მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით) ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნისათვის შექმენისა და შენახვის გამო.

5. გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ო-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარიხუანა); საქმის მასალების მიხედვით, ლ. ო-ე წინა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით ასევე მსჯავრდებულია ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის (სსკ-ის 273-ე მუხლი).

6. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ო-ს მიმართ საბოლოო სასჯელი არ უნდა დაინიშნოს განაჩენთა ერთობლიობით.

7. მართალია, მსჯავრდებულმა ლ. ო-მ ახალი დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, რაც ბოლო განაჩენის დადგენისას უნდა გაუქმდეს, მაგრამ, ვინაიდან წინა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით მას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად არის ცნობილი, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეიტანოს ცვლილება წინა განაჩენის სასჯელის ნაწილში, მსჯავრდებულ ლ. ო-ს სასჯელი

უნდა შეეფარდოს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ჩადენილი ახალი დანაშაულისათვის.

8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII თავით დადგენილი წესით, მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული განაჩენის გადასინჯვა სასჯელის ნაწილში, რადგან საქმის წარმოების ამ ეტაპზე საკასაციო ინსტანცია მოკლებულია შესაძლებლობას, გადასინჯოს და იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით წინა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით ლ. ო-თვის დანიშნული სასჯელის კანონიერებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მამუკა ნადირაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ლ. ო-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1500 ლარი.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლებები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ლ. ო-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**„წელი მარხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით  
უკანონო შექმნა-შენახვის გამო მსჯავრდებულის  
სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი**

**განაჩენი  
საქართველოს სასჯელის  
სამართლოს სახელით**

№476აპ-16

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავეიძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით სილაგაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 თებერვლის განაჩენით გ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა ჯარიმა – 2100 ლარის ოდენობით; სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გ. ჩ-ს დანიშნულ სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე (2015 წლის 9 ნოემბერი) და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 თებერვლის განაჩენში შე-



ვიდა ცვლილება: გ. რ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის მოხდისაგან. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. პროკურორმა დ. ს-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა: კერძოდ, გ. რ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება პროკურორ დ. ს-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 100 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმენისა და შენახვის გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექმენისა და შენახვისთვის.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება პროკურორ დავით სილაგაძის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექმენა და შენახვისთვის.

3. ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით გ. ჩ. მსჯავრდებულისა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ – 61,14 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმენა-შენახვის გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, აღარ არსებობს პროკურორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

4. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში გ. ჩ-ის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით, რადგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო დანაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში.

5. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით სილაგაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**„გამომშრალი მარისუანის“ პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმნა-შენახვისათვის მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლება**

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ლ ი თ**

№483აპ-16

27 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**გ. შავლიაშვილი,**  
**ზ. ძლიერიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს, მსჯავრდებულ ბ. ღ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, კ. ნ-მ ჩაიდინა ყაჩაღობის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწი-

ნალმდეგო დაუფლების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის მუქარით, სადგომში შეღწევით, ჯგუფური თავდასხმის მომზადება, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა (2000 წლის 5 მაისის რედაქცია); ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება (2000 წლის 5 მაისის რედაქცია); ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ... რაიონის სოფელ ... ყოფნისას, კ. ნ-მ და მისმა მეგობარმა – ბ. ლ-მ მოილაპარაკეს, რომ სხვისი ფულადი თანხის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ... რაიონის სოფელ ... მდებარე ბენზინგასამართ სადგურს, რომლის დათვალეირებისა და ყაჩაღური თავდასხმის დეტალების დასაგეგმად იმავე თვეში, ტაქსით, რომელსაც თავისი ნაცნობი ა. ც-ე მართავდა, როგორც შემთხვევითი მოქალაქეები, მივიდნენ დასახელებულ ობიექტში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კ. ნ-მ და ბ. ლ-მ იმავე პერიოდში მოიპოვეს ყაჩაღობის ჩადენისათვის საჭირო ნივთები, კერძოდ, კ. ნ-მ მოიპოვა კუსტარულად დამზადებული ხანჯალი, ნებოვანი ლენტები, ხელთათმანები, ქამარი, ნილაბი და „გოლდსტარის“ მოდელის პისტოლეტის ტიპის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და ექვსი აირხმოვანი ვაზნით; ბ. ლ-მ ასევე, თავის მხრივ, მოიპოვა ნებოვანი ლენტის, ხელთათმანები, ნილაბი, ხელყუმბარა და „მაკაროვის“ მოდელის, 4,5მმ კალიბრიანი №... პნევმატური პისტოლეტი. ზემოაღნიშნული ნივთები მათ მოათავსეს თავიანთ სპორტულ ზურგჩანთებში და 2015 წლის 3 მაისს, დილის დაახლოებით 5 საათზე, ... რაიონის სოფელ ... კ. ნ-ე და ბ. ლ-ე ა. ც-ს „ფოლკსვაგენის“ მარკის, სახ.№...“ ტაქსით გაემგზავრნენ ... რაიონის სოფელ ... მიმართულებით, თუმცა ... რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე მოძრაობისას ისინი შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკების შედეგად ამხილეს ხსენებული დანაშაულის მომზადებაში.

3. კ. ნ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „გოლდსტარ ...“ მოდელის, 9მმ კალიბრიანი, №... მოკლელულიანი პისტოლეტი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ... რაიონის სოფელ ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის დამხმარე ნაგებობის სხვენში.

4. 2015 წლის 3 მაისს, 06:50 საათზე, ... რაიონის სოფელ ...

ტერიტორიაზე ა. ც-ს ტაქსით მეგობარ ბ. ლ-თან ერთად მოძრაობისას, კ. ნ-ე შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად თავისივე ხელჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი „გოლდსტარ...“ მოდელის, 9მმ კალიბრიანი №... მოკლე-ლულიანი პისტოლეტი.

5. კ. ნ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომლის ნაწილს მოიხმარდა, ხოლო ნაწილს ინახავდა. 2015 წლის 3 მაისს, 06:50 საათზე, ... რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე ა. ც-ს ტაქსით მეგობარ ბ. ლ-თან ერთად მოძრაობისას, იგი შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად შარვლის წინა, მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა 9,14 გრამი, ხოლო სპორტული ტიპის ზურგჩანთაში – 0,63 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“.

6. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბ. ლ-მ ჩაიდინა ყაჩაღობის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის მუქარით, სადგომში შეღწევით, ჯგუფური თავდასხმის მომზადება, ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა (2000 წლის 5 მაისის რედაქცია); ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება (2000 წლის 5 მაისის რედაქცია); ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

7. 2015 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ... რაიონის სოფელ ... ყოფნისას, ბ. ლ-მ და მისმა მეგობარმა კ. ნ-მ მოილაპარაკეს, რომ სხვისი ფულადი თანხის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ... რაიონის სოფელ ... მდებარე ბენზინგასამართ სადგურს, რომლის დათვალიერებისა და ყაჩაღური თავდასხმის დეტალების დაგეგმვის მიზნით, იმავე თვეში, ტაქსით, რომელსაც თავისი ნაცნობი – ა. ც-ე მართავდა, როგორც შემთხვევითი მოქალაქეები, მივიდნენ დასახლებულ ობიექტში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბ. ლ-მ და კ. ნ-მ იმავე პერიოდში მოიპოვეს ყაჩაღობის ჩადენისათვის საჭირო ნივთები, კერძოდ, ბ. ლ-მ მოიპოვა ნებოვანი ლენტი, ხელთათმანები, ნილაბი, ხელყუმბარა და „მაკაროვის“ მოდელის, 4,5მმ კალიბრიანი №... პნევმატური პისტოლეტი. კ. ნ-მ ასევე, თავის მხრივ, მოიპოვა კუსტარულად დამზადებული ხანჯალი, ნებოვანი ლენტები, ხელ-

თათმანები, ქამარი, ნილაბი და „გოლდსტარის“ მოდელის პისტოლეტის ტიპის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და ექვსი აირხმოვანი ვაზნით; ზემოაღნიშნული ნივთები მათ მოათავსეს თავიანთი სპორტული ტიპის ზურგჩანთებში და 2015 წლის 3 მაისს, დილის დაახლოებით 5 საათზე, ... რაიონის სოფელ ... ბ. ლ-ე და კ. ნ-ე ა. ც-ს „ფოლკსვაგენის“ მარკის, სახ. № „...“ ტაქსით გაემგზავრნენ ... რაიონის სოფელ... მიმართულებით, თუმცა ... რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე მოძრაობისას ისინი შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რადროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკების შედეგად ამხილეს ხსენებული დანაშაულის მომზადებაში.

8. ბ. ლ-მ ჩაიდინა საბრძოლო მასალის – ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა და შენახვა (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში: ბ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – „...“ ტიპის მსხვრევადი ყუმბარა სასკდომი მუხტით და ხელის მსხვრევადი ყუმბარის „...“-ის ტიპის საბრძოლო ფალია, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა სხვადასხვა ადგილას.

9. 2015 წლის 3 მაისს, 06:50 საათზე, ... რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე ა. ც-ს ტაქსით მეგობარ კ. ნ-თან ერთად მოძრაობისას, ბ. ლ-ე შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რადროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად თავისივე ხელჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩნდა საბრძოლო მასალა – „...“ ტიპის მსხვრევადი ყუმბარა სასკდომი მუხტით და ხელის მსხვრევადი ყუმბარის „...“-ის ტიპის საბრძოლო ფალია.

10. ბ. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომლის ნაწილს მოიხმარდა, ხოლო ნაწილს ინახავდა. 2015 წლის 3 მაისს, 06:50 საათზე, ... რაიონის სოფელ ... ტერიტორიაზე ა. ც-ს ტაქსით მეგობარ კ. ნ-თან ერთად მოძრაობისას, იგი შეაჩერეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რადროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ქურთუკის გარეთა მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა 12,54 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენით კ. ნ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნ-

ქტებით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

12. კ. ნ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

13. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო სსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 წელი.

14. კ. ნ-ს მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან განაჩენის გამოტანის დღემდე.

15. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

16. ბ. ლ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

17. ბ. ლ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქ-



მედი რედაქცია), 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

18. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო სსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 წელი.

19. ბ. ლ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან განაჩენის გამოტანის დღემდე.

20. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

21. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერ მტკიცებულებათა საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: ბ. ლ-სა და კ. ნ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით; 10-თეთრიანი მონეტა, სპორტული ჩანთა უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს; ნაჭრის ნიღაბი, ერთი გამჭვირვალე ნებოვანი ლენტის კოჭი, ნაჭრის ქუდი – ნიღაბი, ერთი წყვილი მოთეთრო ფერის რეზინის ხელთათმანი, ორი კოჭი გამჭვირვალე პოლიეთილენის ნებოვანა უნდა განადგურდეს; „მაკაროვის“ სისტემის №..... პნევმაური პისტოლეტი, GOLD STAR ..... მოდელის პისტოლეტი მჭიდითა და სამი აირხმოვანი ვაზნით უნდა გაეგზავნოს შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შეიარაღების სამმართველოს შემდგომი განკარგვის მიზნით; ნაწილობრივ ნაჭრისა და ნაწილობრივ პო-



ლიეთილენის ერთი წყვილი ხელთათმანი, პაკეტში შეფუთული ერთი წყვილი ერთჯერადი პოლიეთილენის ხელთათმანი უნდა განადგურდეს; ბრალდებულ კ. ნ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „პრიმეს“ მარკის მობილური ტელეფონი, კავკასიური ხანჯალი უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს; მოშავო ფერის ქამარი, მოშავო ფერის სანთებელა, სპორტული ჩანთა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს; ბრალდებულ ბ. ლ-გან აღებული თმისა და ნერწყვის ნიმუშები უნდა განადგურდეს; CD-R დისკი მასზე ჩანერილი შპს „.....“ დეტალური მონაცემებით, დალუქული სახით (ერთვის სისხლის სამართლის საქმეს) უნდა დარჩეს მასში და შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით. ნივთიერი მტკიცებულებები ინახება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში.

22. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

23. კ. ნ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

24. კ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ კ. ნ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

25. კ. ნ-ე დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში და სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა განაჩენის გამოცხადების დღიდან – 2016 წლის 13 ივნისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან იმავე წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

26. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო)

დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

27. ბ. ღ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

28. ბ. ღ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

29. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

30. ბ. ღ-ე დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში და სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა განაჩენის გამოცხადების დღიდან – 2016 წლის 13 ივნისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან იმავე წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

31. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

32. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

33. მსჯავრდებული კ. ნ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ჩ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის

2016 წლის 13 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ კ. ნ-ს მიმართ ყველა შემამსუბუქებელი გარემოების მხედველობაში მიღებით, კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას პირობითი მსჯავრის გამოყენებით, რაც მისი პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდება.

34. მსჯავრდებული ბ. ლ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ჩ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ ბ. ლ-ს მიმართ ყველა შემამსუბუქებელი გარემოების მხედველობაში მიღებით, კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას პირობითი მსჯავრის გამოყენებით, რაც მისი პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულების – კ. ნ-სა და ბ. ლ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, რასაც სადავოდ არც კასატორები ხდიან.

3. რაც შეეხება კასატორების მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით სასჯელის პირობითად ჩათვლის თაობაზე, აღნიშნულ მოთხოვნას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების – ბ. ლ-სა და კ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით სწორად მიიჩნია, რომ არ იყო მიზანშეწონილი ბ. ლ-სა და კ. ნ-თვის დანიშნული სასჯე-

ლების პირობით ჩათვლა, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

4. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708, 709, 710 განჩინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეტანილი წარდგინების საფუძველზე, იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ (იხ. „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალური გრაფა) პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმნა-შენახვის გამო.

5. აღნიშნული განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზემოხსენებული ნორმატიული შინაარსი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიმართ სასჯელის სახით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა მის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედების გამო, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნა ან შენახვა, როდესაც არ არის დადგენილი გასაღების მიზნის არსებობა ასეთი ქმედების ჩადენისას. განხილულ საქმეშიც მსჯავრდებულები – კ. ნ-ე და ბ. ლ-ე გასაჩივრებული განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ იმაში, რომ მათ უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანა“, კერძოდ: ლ-მ – წონით 12,54 გრამი; ნ-მ – წონით 9,77 გრამი, ამასთან, განაჩენით არ არის დადგენილი, რომ ამ მსჯავრდებულებმა ხსენებული ნარკოტიკული საშუალება შეიძინეს და მას ინახავდნენ გასაღების მიზნით.

6. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით, რადგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მი-

ხედვით, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში.

7. ამრიგად, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კ. ნ-ე და ბ. ლ-ე სასჯელის დაუნიშნავად უნდა იქნენ ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექენისა და შენახვისათვის, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არ მომხდარა მათ მიერ ჩადენილი ქმედების დეკორინალიზაცია, რის გამოც შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, ხოლო სხვა ნაწილში ის უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ კ. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ბ. ლ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

4. კ. ნ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია).

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. კ. ნ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 13 ივნისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკავებასა და

პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან იმავე წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

7. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

8. ბ. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია).

9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. ბ. ღ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 13 ივნისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 მაისიდან იმავე წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

12. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

13. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის  
„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების  
კოდექსით“ გათვალისწინებული ზიანის  
ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის  
უზღაბის განმარტების შესახებ**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№90აპ-17

27 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. გ-ს სა-  
კასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-  
ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის  
განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 ოქტომ-  
ბრის განაჩენით ვ. გ-ა, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლე-  
ვი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხ-  
ლით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხ-  
დის ათვლა დაეწყო 2016 წლის 28 აგვისტოდან.

გაუქმდა ვ. გ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიე-  
ბა – პატიმრობა.

ნივთიერი მტკიცებულებები:

– ვ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებუ-  
ლი „SYROX“-ის ფირმის პლანშეტი და თეთრი ზეწარი, რომლე-  
ბიც ინახება საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პო-  
ლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველო-  
ში, უნდა დაუბრუნდეს მის ოჯახს;

– ლ. შ-ს კუთვნილი ვარდისფერი მაისური, ლურჯი კაბა და  
ტრუსი, რომლებიც ინახება საქართველოს შსს სამეგრელო-ზე-  
მო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ  
სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს მას;

– ლ. შ-სგან აღებული ნაცხისა და ნერწყვის ნიმუში, ვ. გ-სგან



აღებული ნერწყვის ნიმუში, რომლებიც ინახება საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

2. განაჩენით ვ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. გ-მ 2016 წლის 23 აგვისტოს ... რაიონის სოფელ ..., წინასწარი შეცნობით 12 წლის არასრულწლოვან ლ. შ-თან ძალადობის გარეშე ჩაიდინა გარყვნილი ქმედება, გახადა ტანსაცმელი, მის სასქესო ორგანოს შეახო თავისი სასქესო ორგანო და მოეფერა ხელით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ვ. გ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. მსჯავრდებული ვ. გ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას შემდეგი საფუძვლებით: იგი არის უდანაშაულო, ხოლო ის ფაქტი, რომ მან პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში აღიარა დანაშაული, განპირობებული იყო იმით, რომ მას პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების იმედი ჰქონდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ვ. გ-ს განმარტებას, რომ იგი არის უდანაშაულო და მიუთითებს, რომ საქმის მასალების თანახმად, ვ. გ-მ როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში აღიარა ჩადენილი დანაშაული და სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რის გამოც მათ მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა. საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მტკიცე-



ბულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ. ამასთან, რაიმე ახალი მტკიცებულება, რაც ვ. გ-ს პოზიციას დაადასტურებდა, მას საკასაციო პალატაში არ წარმოუდგენია.

3. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ ვ. გ-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებაში ვ. გ-ს ბრალეულობის თაობაზე საკვებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ: დაზარალებულ ლ. შ-ს, მონწეების – ნ. გ-ს, გ. ფ-ს, ლ. ფ-ს, კ. შ-ს, ნ. ჩ-ს, ჯ. ჯ-ს, მ. თ-ს, ჯ. გ-ს, თ. შ-ს, ზ. მ-ს ჩვენებები, ვ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმი და მასზე დართული ფოტოცხრილი, დათვალიერების ოქმი და მასზე დართული ფოტოცხრილი, ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებები და საქმის სხვა მასალები.

4. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ ვ. გ-თვის განსაზღვრულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები (ალიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში); ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი; ასევე ის გარემოება, რომ ვ. გ-ა წარსულში ნასამართლევი (მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის), რის გამოც სახეზეა დანაშაულის რეციდივი და აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მისთვის დანიშნული სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

6. ამასთან, ვინაიდან არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებში არასრულწლოვანი და-

ზარალებულის – ლ. შ-სა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის განმარტებული არ არის საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, საკასაციო პალატა მითითებული ნორმის საფუძველზე არასრულწლოვან დაზარალებულ – ლ. შ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს და განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ვ. გ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. არასრულწლოვან დაზარალებულ ლ. შ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს განემარტოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. პირობითი მსჯავრი

### გამოსაცდელი ვადის შემცირება

#### განაჩენი საქართველოს სახელით

№602აპ-16

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ჟ-ს ინ-  
ტერესების დამცველის, ადვოკატ გ. დ-ს საკასაციო საჩივარი  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის  
განაჩენით ს. ჟ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამ-  
ნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და  
მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე  
მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაც-  
დელი ვადით.

2. გაუქმდა მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძი-  
ება – გირაო.

3. ნივთიერი მტკიცებულება – გ. ყ-ს ტანსაცმელი, რომელიც  
ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... გან-  
ყოფილებაში უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან  
შესაბამის უფლებამოსილ პირს.

4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტო-  
მასალა CD-R დისკზე და შპს „...“ ვიდეორჩანაწერი DVD დისკზე,  
რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს შენახულ უნდა  
იქნეს საქმის შენახვის ვადით.

5. განაჩენით მსჯავრდებულ ს. ჟ-ს მიერ ჩადენილი დანაშაუ-  
ლი გამოიხატა შემდეგში:

6. 2015 წლის 12 ნოემბერს, ღამით, დაახლოებით 0310 საათ-  
ზე, ქუთაისში, ... №...-ში განთავსებულ შპს „...“ ავტოგასამართ  
სადგურზე, ს. ჟ-მ გ. ყ-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკ-

ლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.

7. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

8. მსჯავრდებულ ს. ჟ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. დ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და გამოსაცდელი ვადის შემცირებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ს. ჟ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ს. ჟ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, კერძოდ: მან აღიარა ჩადენილი დანაშაული, რასაც ნანობს, ითანამშრომლა გამოძიებასთან და მიაჩნია, რომ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სამართლიანი იქნება მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება იმ მიმართებით, რომ გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 2 წელი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ს. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ს. ყ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

4. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლების საფუძველზე ს. ყ-ს ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელება და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ს. ყ-ს დაევალოს, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

6. ნივთიერი მტკიცებულება – გ. ყ-ს ტანსაცმელი, რომელიც ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში, დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან შესაბამის უფლებამოსილ პირს.

7. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა CD-R დისკზე და შპს „...“ ვიდეოჩანაწერი DVD დისკზე, რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

### ამნისტია

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№111-17

29 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ვ. ც-ს ინტერესების დამცველის,  
ადვოკატ ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი თელავის რაიონული სასა-  
მართლოს 2013 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე.

#### აღწერითი ნაწილი:

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის  
განჩინით ვ. ც-ი, – დაბადებული 19.. წელს, ძებნილი, – ცნობილ  
იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნა-  
წილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თა-  
ვისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე  
მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაც-  
დელი ვადით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე და-  
მატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3.000 ლარი.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემ-  
ბრის დადგენილებით ვ. ც-ს მიმართ გაუქმდა თელავის რაიონუ-  
ლი სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის განჩინით დანიშნული  
პირობითი მსჯავრი და აღსასრულებლად მიექცა დანიშნული  
სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მის მიმართ გა-  
მოცხადდა ძებნა.

3. თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემ-  
ბრის განჩინით ვ. ც-ი დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშა-  
ვედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სას-  
ჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღ-  
კვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე  
დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5.000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ბოლო გა-

ნაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი და ვ. ც-ს საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 5.000 ლარი.

4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, ძებნილი მსჯავრდებულის – ვ. ც-ს მიმართ ამნისტიის აქტის გამოყენების მიზნით, კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა გ. ბაჩიაშვილმა და თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნათია მუხიაშვილმა შუამდგომლობებით მიმართეს თელავის რაიონულ სასამართლოს.

5. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის განჩინებით იმავე სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. ც-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენით დანიშნული საბოლოო სასჯელი (ჯარიმის გარდა) და განესაზღვრა – 4 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ც-ს სასჯელის მოხდა უნდა დაენციოს დაკავების მომენტიდან.

6. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ ვ. ც-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ა-მ 2017 წლის 17 მარტს საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა დაზარალებულის თანხმობის გამო, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 26-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება პირს, რომელზეც გავრცელდა ამნის-

ტია, შეუძლია გაასაჩივროს ერთჯერადად, მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ამნისტიის მასალებში არ მოიპოვება მსჯავრდებულ ვ. ც-თვის თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის განჩინების ჩაბარების დასტური და, შესაბამისად, ვერ დგინდება, თუ როდიდან უნდა აითვალოს გასაჩივრების 2-კვირიანი ვადა, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია მითითებული მუხლით დადგენილი მოთხოვნის დაცვით.

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

4. ადვოკატმა ვ. ა-მ წარმოადგინა დაზარალებულ მ. გ-ს სანოტარო წესით დამოწმებული, 2017 წლის 24 იანვრით დათარიღებული განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ იგი თანახმაა, მსჯავრდებულ ვ. ც-ს მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული ამნისტია და მის მიმართ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება და მსჯავრდებული ვ. ც-ი უნდა გათავისუფლდეს თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. ც-ს ინტერესების დამცველის ადვოკატ,



ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ცვლილება შევიდეს თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის განჩინებაში.

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ვ. ც-ი გათავისუფლდეს თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთისაგან.

4. თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი – 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შემცირდეს ერთი მეოთხედით და ვ. ც-ს მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

5. თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. ვ. ც-ს სასჯელის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

7. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# კერძო ნაწილი

## 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

### განზრახ მკვლელობა

#### განაჩენი

#### საქართველოს სახელმწიფო

№424აპ-16

30 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა პროკურორ ნ. ჯ-სა და მსჯავრდებულ ლ. კ-ის სა-  
კასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016  
წლის 25 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აგვის-  
ტოს განაჩენით ლ. კ. – დაბადებული ...ს, ნასამართლობის არ-  
მქონე, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-  
თველოს სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. ლ. კ.  
ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის  
187-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა; სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმა – 2000 ლარი.  
საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე  
უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და სა-  
ბოლოოდ ლ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4  
წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალა 2014  
წლის 12 ნოემბრიდან.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ლ. კ-ს ბრა-  
ლი დაედო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, სსკ-ის 187-ე  
მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწი-  
ლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, სხვისი ნივთის  
დაზიანება და განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გა-  
მოიწვია, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით და ძალადობა, რამაც  
დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ  
მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწი-

ნებული შედეგი. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

- 2014 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ...-ში, ბ-ის ქუჩა №...-ში, ლ. კ-მა განზრახ განახორციელა ფიზიკური ძალადობა ამავე მისამართზე მცხოვრებ ბ. შ-ას მიმართ და მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად.
- 2014 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 22:30 საათზე, ...-ში, პ-ის ქუჩის №..., ბინა №...-ში, ურთიერთშელაპარაკების დროს წარმოქმნილი კონფლიქტისას ლ. კ-მა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები ამავე მისამართზე მცხოვრებ ბ. ბ-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების გამო შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ლ. კ-მა აღნიშნულ ბინაში განზრახ გააჩინა ხანძარი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ხანძრის შედეგად დაზიანდა ...-ში, პ-ის ქუჩა №... მდებარე ბინა №... და განადგურდა ბინაში არსებული ნივთები, ხოლო ბინის მეპატრონეს ბ. კ-ეს მიაღდა 5515,00 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ...-ში, ბ-ის ქუჩა №...-ში, ლ. კ-მა განზრახ განახორციელა ფიზიკური ძალადობა ბ. შ-ას მიმართ და მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად; 2014 წლის 10 ნოემბერს პ-ის №... ბინა №...-ში ლ. კ-მა გააჩინა ხანძარი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ხანძრის შედეგად დაზიანდა ...-ში, პ-ის ქუჩა №...-ში მდებარე ბინა №... და განადგურდა ბინაში არსებული ნივთები, ხოლო ბინის მეპატრონეს ბ. კ-ეს მიაღდა 5515,00 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ.

6. პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას და ლ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დამნაშავედ ცნობას იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტითაა დადასტურებული ლ. კ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმე-

დების ჩადენა.

7. ბრალდებულმა ლ. კ-მა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა. ალტერნატივის სახით მსჯავრდებულმა ითხოვა მისთვის სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა მსჯავრდებულ ლ. კ-ის ბრალდების საქმის მასალები, შეამოწმა პროკურორისა და მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მიიჩნია, რომ პროკურორის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, ხოლო მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ იგი არ იზიარებს ბრალდების პოზიციას ლ. კ-ის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში არ ყოფნისა და მის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის შესახებ, რადგან ბრალდებულის ჩვენება ამ ნაწილში (რომ პირველი მას თავს ბ. ბ. დაესხა დანით ხელში და მიაყენა დაზიანებები) არ არის უარყოფილი არც ერთი მტკიცებულებით – საკასაციო პალატა არ ეთანხმება, კერძოდ:

3. როგორც ცნობილია, ნებისმიერი დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს – პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს. თუკი დადგინდება შემადგენლობის არსებობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მათ შორის – აუცილებელი მოგერიების ვითარება და შემადგენლობის შემცველი ქმედება განხორციელდა თუ არა ასეთი მოგერიების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში, გარდაცვლილ ბ. ბ-ვის მიყენებული დაზიანებების სიმრავლე და მათი ლოკალიზაცია, მათ შორის – ზურგის არეში, აგრეთვე ერთ-ერთი დაზიანება, რომელიც მიყენებულია დანით სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან შინაგან ორგანოებში შემავალი ორმაგი ჭრილობის სახით, რაც გახდა სიკვდილის მიზეზი, გამორიცხავს ამ დაზიანებების გაუფრთხილებლობით მიყენების შესაძლებლობას, რაც პირდაპირ მიუთითებს სხვისი სიცოცხლის

განზრახ მოსპობის შემადგენლობის არსებობაზე. აღნიშნული შეესაბამება ასევე თვით მსჯავრდებულის მიერ თავის ჩვენებაში განვითარებულ ვერსიას, რომელშიც ის აღწერს იმ ვითარებას, თუ რა პირობებში მიიღო დაზიანებები გარდაცვლილმა ბ. ბ-მა.

4. ამის შემდეგ გადასაწყვეტია მთავარი საკითხი: არსებობდა თუ არა საფუძველი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების აუცილებელ მოგერიებად სამართლებრივი შეფასებისათვის, სხვაგვარად რომ ითქვას, ლ. კ-ის ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი იწვევს თუ არა ისეთ გონივრულ ეჭვს, რაც შეიძლება მისი უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი გახდეს, როგორც ეს გასაჩივრებული განაჩენით არის მიჩნეული. საკასაციო პალატის აზრით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, როგორც წესი, ხდება დაზარალებულისა და მომხდარი შემთხვევის სხვა თვითმხილველი მოწმეების პირდაპირი ჩვენებების, თვით ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ჩვენების გათვალისწინებითაც, მაგრამ, თანაბრად ამისა, მსგავსი შეფასება დასაშვებია აგრეთვე სხვა ობიექტური ხასიათის მტკიცებულებების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სასამართლო ექსპერტიზების დასკვნები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებიც ასევე შესაძლებელია, გვევლინებოდეს პირდაპირი მტკიცებულების როლში და რომელთა სანდოობის შემოწმება შესაძლებელია საქმეში არსებული არაპირდაპირი მტკიცებულებების მეშვეობით.

5. საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მთავარი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ლ. კ-ის მიერ ბ. ბ-ის განზრახ მკვლელობა გარდაცვლილის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის მისაღებ ოთახში, ხოლო შემდეგ იმავე ბინის მისაღებ ოთახში ცეცხლის წაკიდება ორ სხვადასხვა ადგილზე, აგრეთვე სხვა ფაქტობრივი გარემოებები – ბ. ბ-ის მსჯავრდებულზე დანით თავდასხმისა და, აქედან გამომდინარე, ლ. კ-ის მიერ მსგავსი თავდასხმის მოგერიების არარსებობა, დადგენილია ნაწილობრივ თვით ლ. კ-ის პირდაპირი ჩვენებით, ასევე, ბ. ბ-ის გვამზე ჩატარებული სასამართლო – სამედიცინო ესპერტიზების დასკვნებითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, როგორც პირდაპირი მტკიცებულებებით.

6. ლ. კ-ის ჩვენებით ცალსახადაა გარკვეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბ. ბ-ს ის დაზიანებები, რომლებიც მას სხეულზე აღენიშნებოდა, მათ შორის – სასიკვდილო დაზიანებაც, მიღებული აქვს ლ. კ-თან ფიზიკური დაპირისპირებისას და

დანის გამოყენებით; ბ. ბ-ის მიერ ჭრილობების მიღებისას და გარდაცვალებისას შემთხვევის ადგილზე ანუ ბ. ბ-ის ბინაში სხვა, მესამე პირი არ ყოფილა; შესაბამისად, მისი სიკვდილის შემდეგ ბ. ბ-ის ბინაში ცეცხლი არ გაჩენილა მესამე პირის მოქმედებით; ბ. ბ-ს სხეულზე თვითდაზიანებები არ მიუყენებია; ლ. კ. თვითონ მივიდა თავისი ინიციატივით ბ. ბ-ის ბინაში მათ შორის ურთიერთობის გასარკვევად.

7. ბ. ბ-ის გვამზე ჩატარებული სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით სხეულზე აღინიშნება: მრავალრიცხოვანი დაზიანებები ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობების სახით სხეულის მარცხენა წინა მხარეს, ასევე კისრის არეში, რომლის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა ვერ მოხერხდა; მუცლისა და გულმკერდის ღრუში შემავალი ორმაგი ჭრილობა – სიცოცხლისათვის საშიფათო, რაც გახდა კიდევ სიკვდილის გამომწვევი მთავარი ფაქტორი; ნაკვეთი ჭრილობა ზურგის არეში, ხერხემალთან, რომელიც მიემართება უკნიდან წინ, თითქმის პირდაპირ. იმავე საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ბ. ბ-ის სხეულზე აღინიშნებოდა სხვა ხასიათის დაზიანებებიც ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების სახით, რაც განვითარებულია მკვრივი ბლავგი საგნის მოქმედებით.

8. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დგინდება: მომხდარი შემთხვევის დროს აღნიშნულ ადგილზე ანუ ბ. ბ-ის საცხოვრებელი ბინის მისაღებ ოთახში, არც სანოლზე, სადაც აღმოჩენილია მისი სისხლის ლაქები, და არც იატაკზე არ არსებობდა რაიმე მჭრელი ან მჩხვლეტავი ლითონის საგანი ანდა მინის კუთხოვანი ნამსხვრევი, რომელზე დაცემითაც შესაძლებელი იქნებოდა ბ. ბ-ს ჭრილობა მიეღო ზურგის არეში; ბ. ბ-ის ბინაში გაჩენილი ცეცხლის კვალის, მათ შორის – ცეცხლის ორი ერთმანეთისგან დაშორებული კერის არსებობა; ბ. ბ-ის ბინაში ლ. კ-ის სისხლის კვალის არარსებობა.

9. ზემოაღნიშნული, უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ სამართლებრივად უნდა შეფასდეს: რამდენად შეესაბამება ამ ფაქტობრივ გარემოებებს მსჯავრდებულ ლ. კ-სა და დაცვის მხარის მიერ განვითარებული ვერსია იმის თაობაზე, რომ ის გახდა ბ. ბ-ის მხრიდან მასზე მიპარვით თავდასხმის ობიექტი, რის შედეგადაც იგი აღმოჩნდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, რა დროსაც მასა და ბ. ბ-ს შორის მიმდინარეობდა ძალისმიერი დაპირისპირება. იმავე ვერსიის თანახმად, ბ. ბ. ურთიერთჭიდილის დროს ცდილობდა მისთვის დანის დარტყმას, მაგრამ ლ-მა მას დანიანი ხელი დაუჭირა და ცდილობდა დანის წართმევას, თუმცა ეს ვერ მოახერხა –

დანა კვლავ ბ. ბ-ს ეჭირა და მისკენ ჰქონდა მიმართული. ამ ჭიდილის დროს ისინი საწოლზე დაეცნენ, რის შემდეგაც გრძელდებოდა მათი ფიზიკური დაპირისპირება, ხოლო ბოლო მომენტში ისინი საწოლიდან იატაკზე გადმოცვივდნენ, მანამდე კი ლ. კ-მა შეძლო მისკენ მიმართული დანა, რომელიც ისევ ბ. ბ-ს ეჭირა ხელში, მისი სხეულისკენ შეეტრიალებინა. შესაძლოა, სწორედ ამ დროს მიიღო გარდაცვლილმა მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა.

10. სააპელაციო სასამართლო დაცვის მხარის იმ პოზიციის დადასტურების მიზნით, რომლის მიხედვით, ლ. კ. ქმედების ჩადენისას იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, ერთმანეთს უპირისპირებს, ერთი მხრივ, ბრალდების მხარის მიერ დანიშნული სასამართლო – სამედიცინო ექსპერტების (ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) და, მეორე მხრივ, დაცვის მხარის მიერ დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის (დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი – შპს „გ-ს“) მიერ გაცემულ დასკვნებსა და სასამართლოში მათ მიერ მიცემულ ჩვენებებს. ამასთან, სასამართლო ისე ანიჭებს ამ უკანასკნელს უპირატესობას და იზიარებს მის დასკვნასა და ჩვენებას, რომ განაჩენში არ იკვეთება მსჯობა, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა სწორედ მას და არა სხვა ექსპერტების ბევრად უფრო ცხად და კატეგორიულ დასკვნებსა და ჩვენებებს მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ გაზიარებულ საექსპერტო დასკვნაში, ასევე თვით ამ დასკვნის გამცემი ექსპერტის ჩვენებაშიც ერთობ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი მოსაზრებები და პოზიციებია გამოხატული ყველაზე მნიშვნელოვან და არსებით საკითხებთან დაკავშირებით.

11. მსჯავრდებულ ლ. კ-ის მიერ მონოდებული ვერსიის სასამართლოებრივი შეფასებისას, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დამოუკიდებელი, თვითმხილველი მონმის პირდაპირი ჩვენება, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ თუკი სხვა ლეგიტიმური მტკიცებულებებით დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები ამკარად გამორიცხავენ ასეთი ვერსიის საფუძვლიანობასა და რეალურ სინამდვილესთან მის შესაბამისობას, მაშინ ეს ვერსია არ უნდა იქნეს მიღებული და გაზიარებული. ამიტომ საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება განაჩენებულ განაჩენში გამოხატულ პოზიციას, რომლის მიხედვით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. კ-ის ჩვენება, რომ თითქოს ერთმანეთთან ფიზიკური დაპირისპირების დროს მან ვერ წაართვა დანა ბ. ბ-ს, ხოლო ზურგის არეში ბ. ბ-თვის ჭრილობის

მიყენებისას დანა მას ეჭირა ხელში და არა – მსჯავრდებულს, არ არის უარყოფილი ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

12. საკასაციო პალატის აზრით, გარდაცვლილ ბ. ბ-ის სხეულზე სრულიად სხვადასხვა ადგილას დანით მიყენებული დაზიანებები, მათი სიმრავლე და ადგილმდებარეობა, განსაკუთრებით კი ბ. ბ-თვის ზურგში, უკნიდან წინ, თითქმის პირდაპირი მიმართულებით მიყენებული ჭრილობა, მთლიანად გამორიცხავს მსჯავრდებულის ვერსიას, რომ მათი ურთიერთჭიდილის თითქმის მთელი დროის მანძილზე დანა ეჭირა ბ. ბ-ს, რომელიც მუდმივად მისკენ ჰქონდა მიმართული და ის ამაოდ ცდილობდა მის წართმევას, რომ მხოლოდ ბოლო მომენტში, საწოლიდან იატაკზე მათი გადმოვარდნის წინ, მოახერხა მან ბ. ბ-ის ხელში არსებული დანა მისკენ შეეტრიალებინა და შესაძლოა, სწორედ ამ დროს მიიღო გარდაცვლილმა დაზიანება მუცლის ღრუში შემაგალი ჭრილობის სახით. ეს მაშინ, როდესაც მთელი ამ ჭიდილისა და დაპირისპირების დროს, მისკენ მიმართული დანის მიუხედავად, ლ. კ-ს ერთი მცირე განაკანრიც კი არ აქვს მიღებული.

13. ამრიგად, საქმეშია მტკიცებულებები, მათ შორის – თვით მსჯავრდებულის ჩვენებაც, რომელთა მეშვეობით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ერთი მხრივ, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ გარდაცვლილ ბ. ბ-ს მხოლოდ ლ. კ-სგან შეიძლება და მიეღო ის დაზიანებები, რომლებმაც ერთობლივად მისი სიკვდილი გამოიწვია, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი მთლიანად გამორიცხავენ საფუძველს სამართლებრივი შეფასებისათვის, რომ ამ დროს მსჯავრდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, კერძოდ, ბ. ბ-ის თავდასხმის მოსაგერიებლად.

14. იგივე ფაქტობრივი გარემოებები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც ზემოთ იყო მოხმობილი, გამორიცხავს ასევე იმის შესაძლებლობას, რომ ლ. კ-მა ბ. ბ-ის მიმართ ქმედება შეიძლება ჩაიდინა გაუფრთხილებლობით. მაშასადამე, არსებობს დასაბუთებული საფუძველი დასკვნისათვის, რომ მსჯავრდებულ ლ. კ-ის მიერ ბ. ბ-ის მიმართ ჩადენილი ქმედების სახით საქმე გვაქვს განზრახ მკვლევლობასთან. ამასთან, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, არ მოიპოვება რაიმე საფუძველი ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული ქმედება ლ. კ-მა შესაძლოა, ჩაიდინა ბრალის გარეშე, ვინაიდან არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ანდა სხვა ზეკანონური გარემოება. ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ



მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ლ. კ-ის ქმედებაში სახეზეა, ზოგადად, დანაშაულის სამივე ნიშანი, ხოლო კონკრეტულად კი ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე.

15. სააპელაციო სასამართლო, იმის დასადასტურებლად, რომ მსჯავრდებული ლ. კ. ქმედების ჩადენისას იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, უთითებს მის სხეულზე არსებულ დაზიანებებზე, როგორც ბ. ბ-ს მიერ მიპარვით მასზე დანით თავდასხმის შედეგზე. იმ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის მიხედვით, რომელიც ბრალდების მხარემ დანიშნა, აღნიშნული დაზიანებები განლაგებულია: მარჯვენა იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე – 17 სმ სიგრძის რკალოვანი ქრილობის სახით; მარცხენა დუნდულოს ზედა შიგნითა კვადრატში – 9 სმ სიგრძის განივად მდებარე ქრილობის სახით; მარცხენა თეძოს ფრთის არეში, უკანა ზედაპირზე – 6,5 სმ სიგრძის ქრილობის სახით; იქვე ქვემოთ, 4 სმ მანძილზე – 1,5 სმ სიგრძის ქრილობის სახით; მარჯვენა თეძოს ფრთის საპროექციოდ, უკანა გვერდითა ზედაპირზე – მორუხო, ღია მოყვანისფრო ზოლისებური ნაჭდევების სახით. დაახლოებით იმავეს ადასტურებს დაცვის მხარის მიერ დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც. აღნიშნული ქრილობები თავისი ხასიათით ერთობლივად მიეკუთვნებიან ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების კატეგორიას.

16. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში იმ ვერსიის დადასტურებას, რომლის მიხედვით, ეს ქრილობები მსჯავრდებულმა მიიღო ბ. ბ-სგან მასზე მოულოდნელი თავდასხმის შედეგად სწორედ იმ მომენტში, როდესაც ის ჯერ კიდევ მის ბინაში იმყოფებოდა და კარისკენ მიდიოდა იმ განზრახვით, რომ ბინა დაეტოვებინა, ცდილობს მსჯავრდებულის ჩვენებაზე დაყრდნობით და, ამასთანავე, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბ. ბ-ის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს პირველი სართულის კიბის საფეხურიდან, აგრეთვე იმავე სადარბაზოს მე-3-მე-4 სართულებს შორის კიბის საფეხურიდან ამოღებულია იქ დაღვრილი ლ. კ-ის სისხლის ნიმუშები.

17. საკასაციო პალატა მსჯავრდებულ ლ. კ-ის მიერ მიღებული ქრილობების შესახებ გასაჩივრებულ განაჩენში წარმოდგენილ ვერსიას ვერ გაიზიარებს, რადგან ამ ნაწილში მსჯავრდებულის ჩვენება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: გარდაცვლილი ბ. ბ-ის ბინა-

ში არსად – არც სანოლზე, სადაც თვით მსჯავრდებულის ჩვენების მიხედვით, მათ შორის საკმაო ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ორთაბრძოლა, ასევე, არც იატაკსა და არც სხვა ადგილზე არ არის აღმოჩენილი ლ. კ-ს სისხლის კვალი; უფრო მეტიც, ლ. კ-ის სისხლის კვალი არ არის აღმოჩენილი მის ტანსაცმელზეც კი (როგორც ზედა, ისე ქვედა ტანსაცმელზე), რომელიც მას ეცვა ბ. ბ-ის ბინაში ყოფნისას; ლ. კ-ის ჭრილობები ისეთი ხასიათისაა, რომ მას საკმარისი რაოდენობის სისხლი უნდა დაეკარგა, რომლის კვალიც აუცილებლად დარჩებოდა ბინაში, განსაკუთრებით კი – სანოლზე, სადაც მსჯავრდებულის ჩვენების შესაბამისად, მიმდინარეობდა მძაფრი ფიზიკური დაპირისპირება მხარეებს შორის. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მჭრელი პირის მქონე საგნით (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ლ. კ-ს დაზიანებები მიყენებული აქვს მჭრელი პირის მქონე საგნით) ლ. კ-ის სხეულზე ზემოქმედებას უნდა გამოენვია არა მარტო სხეულის დაზიანებები, არამედ, ასევე ამ დაზიანებების (ჭრილობების) შესაბამის ადგილებზე ტანსაცმლის დაზიანებაც (ლ. კ-ის ტანსაცმელზე მიყენებული ჭრილობების შესატყვისი დაზიანებები არ აღინიშნება).

18. განხილული გარემოებები გამორიცხავს როგორც მსჯავრდებულის მიერ მის ჩვენებაში წარმოდგენილ ვერსიას, ასევე საფუძველს – სააპელაციო სასამართლოს დასკვნისათვის იმის თაობაზე, რომ ჭრილობები, რომლებიც ლ. კ-ს სხეულზე აღმოაჩნდა, მიიღო ბ. ბ-ის ბინაში ყოფნისას, როცა იგი მას დანით თავს დაესხა, რის გამოც, ის აღმოჩნდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რასაც მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება მათ შორის და რა დროსაც ბ. ბ-მა მიიღო ის დაზიანებები, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. გასაგებია, რომ, თუკი მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით არ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს ხსენებული დასკვნა, მაშინ დაუდგენელი რჩება, თუ როდის, სად, ვისგან და რა ვითარებაში მიიღო ლ. კ-მა სხეულზე ჭრილობების სახით მიყენებული დაზიანებები. მაგრამ ეს საკითხი სხვა ძიების საგანი შეიძლება იყოს, რომლის გარკვევა ამ ეტაპზე სასამართლოს მოვალეობას არ წარმოადგენს, რადგან არ მოიპოვება ლეგიტიმური საფუძველი აღნიშნული დაზიანების უშუალოდ ბ. ბ-ის ბინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებისათვის, ხოლო მსჯავრდებულის ჩვენება ამ ნაწილში, როგორც აღინიშნა, აშკარად ეწინააღმდეგება მოცემულ საქმეზე ობიექტურად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც ის მოკლებულია ყოველგვარ და-

მაჯერებლობას და საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატის აზრით, სათანადოდ უნდა შეფასდეს კიდევ ერთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც შეეხება ლ. კ-ის მიერ ჩადენილი ქმედების წინასწარ განზრახულ ხასიათს. მხედველობაშია შემდეგი საკითხი: რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მსჯავრდებულის ჩვენების ის ნაწილი, რომლის მიხედვით დანა, რომლითაც მათი ურთიერთდაპირისპირებისას დაზიანებები მიიღო გარდაცვლილმა ბ. ბ-მა, მას არ ჰქონდა, ეს დანა მას დახვდა ბ. ბ-ის ბინაში, დაბალი, პატარა კარადის, ეგრეთ წოდებული ტუმბოს თავზე დადებული, საიდანაც აიღო და შარვლის საწელურში ჩაიდო ზურგის მხარეს, თუმცა შემდეგ ბ. ბ-მა ეს დანა მიპარვით ამოაცალა, თავს დაესხა და მიაყენა ჭრილობები. ბ-ის დასაზიანებლად გამოყენებული დანის წარმომავლობის ეს ვერსია, რომელიც მსჯავრდებულმა წარმოადგინა, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, კერძოდ, ვიდეოკამერის ჩანაწერი, აგრეთვე ლ. კ-ის თანხმობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, მასში წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტებით, რომლებზეც აღბეჭდილია ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობა. საქმეში არსებობს მონმე გ. გ-ის ჩვენებაც ხსენებულ დანასთან დაკავშირებით და მონმის სახით დაკითხული იმ პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც აღნიშნულ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან სასამართლოში ბრალდებულმა ლ. კ-მა უარყო საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ყველა აღიარებითი ჩვენება, ამის გამო, ის ინფორმაცია, რომელიც გამომძიებლებმა საგამოძიებო ექსპერიმენტისას მისგან მიიღეს ადგილზე შემოწმებული ჩვენების სახით, ვერ იქნება გამოყენებული მისი ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი მთლიანად დაუშვებელი მტკიცებულებაა და მასში ასახული სხვა მონაცემები და ფაქტები საერთოდ ვერ იქნება მტკიცებულებად გამოყენებული.

20. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატას საქმეზე №561აპ-15 (პ. სილაგაძე, ნ. გვენეტაძე, გ. შავლიაშვილი) ზ. ტ-სა და ვ. გ-ის მიმართ განმარტებული აქვს შემდეგი: საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ჩვენება არ მიუციათ, არამედ ვითარება აღადგინეს იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მათ გამოიყენეს ბრალდების მხარის მიერ მათთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის

ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის. თუმცა, იმავეს თქმა შეუძლებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელზეც ვრცელდება ის ზოგადი შემზღუდავი წესი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

21. აღნიშნული განმარტების შესაბამისად, ლ. კ-ის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი წარმოადგენს დასაშვებ და რელევანტურ მტკიცებულებას, გარდა იმისა, რომელიც წარმოადგენს ლ. კ-ის აღიარებითი ჩვენების ნაწილს.

22. მითითებულ ოქმში წარმოდგენილია ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობის ამსახველი მრავალი ფოტოდოკუმენტი, რომლებითაც დგინდება ის გარემოება, რომ ექსპერიმენტის დროს პოლიციის თანამშრომლები, მათთან ერთად ლ. კ-ც, მოძრაობენ და გადაადგილდებიან აღნიშნული მაღაზიის მიმართულე-ბით თვით ბრალდებულის მითითებების შესაბამისად, რომელიც თავისი ხელით უჩვენებს მათ, თუ რა მიმართულებით უნდა იმოძრაონ, ასევე მაღაზიის ადგილმდებარეობას (ბ-ის ქ. №...). ის ასევე უჩვენებს ექსპერიმენტში მონაწილე გამომძიებლებს იმავე მაღაზიაში იმ სექციას, სადაც გასაყიდად დანებია გამოფენილი. მაღაზიის თანამშრომელი გ. გ., რომელიც სასამართლოში მოწმედ დაკითხეს, თავის ჩვენებაში ადასტურებს, რომ ამ მაღაზიაში ნამდვილად იყიდება სწორედ ისეთი ტიპის და ფორმის დანები, როგორც საქმეში ფიგურირებს, რაც ასევე დასტურდება საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მაღაზიაში გადაღებული ფოტოდოკუმენტით.

23. ბუნებრივია, რომ ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა: როგორ შეეძლო ლ. კ-ს საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გამომძიებლები მიეყვანა ზემოხსენებულ მაღაზიაში, თუკი მანამდე იქ არ იყო ნამყოფი? უფრო მეტიც, მანამდე მას საერთოდ არ უნდა სცოდნოდა ამ უბანში მსგავსი მაღაზიის არსებობის შესა-

ხებ, ვინაიდან ის არ იყო ამ უბნის მაცხოვრებელი. ამას უდავოდ ადასტურებს, ასევე, ლ. კ-ის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება, რომლითაც ირკვევა, რომ მომხდარ შემთხვევამდე მან ბ. ბ-ის საცხოვრებელი ბინის მისამართიც კი არ იცოდა. თავის ჩვენებაში იგი აღნიშნავს, რომ მისგან თანხის სესხების შემდეგ ბ. ბ. თავს არიდებდა და კონტაქტზე არ გადიოდა. ამიტომ მან შეიძინა მობილური ტელეფონის სხვა ნომერი და შეცვლილი ხმით დაურეკა ბ. ბ-ს, რომელსაც კლიენტად გაეცნო და შეუთანხმდა მას შეხვედრაზე. ამ საუბრის დროს უთხრა ბ. ბ-მა თავისი საცხოვრებელი ბინის მისამართი, რის შემდეგაც ის მივიდა მასთან სახლში.

24. დაცვის მხარეს საქმის სასამართლო განხილვის არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია რაიმე პრეტენზია იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა ბრალდებულის თანხმობის გარეშე, იძულებით ან მოტყუებით, ანდა სხვა უკანონო საშუალებითა თუ მისი რომელიმე საპროცესო უფლების დარღვევით. ამიტომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმისა და მასში წარმოდგენილი მისი მიმდინარეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტების, როგორც მტკიცებულების, სანდოობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი არ არსებობს, ხოლო ეს უკანასკნელი და მასთან ერთად მონმე გ. გ-ის ჩვენება, ერთობლივად იმაზე მიუთითებს, რომ ლ. კ-მა დანა, რომლითაც ქმედება ჩაიდინა, ცოტა ხნით ადრე წინდანინ შეიძინა ხსენებულ მაღაზიაში, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს აღნიშნული ქმედების სპონტანურ ხასიათს, როგორც მსჯავრდებულს სურს ის წარმოადგინოს, მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს წინასწარ მოფიქრებულ, გამიზნულ ქმედებასთან.

25. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივად, ურთიერთშეჯერების გზით განხილვასა და მათ ობიექტურ ანალიზს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: არ არსებობს კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი საიმისოდ, რომ ლ. კ-ის მიერ ბ. ბ-ის მიმართ ჩადენილი ქმედება სამართლებრივად შეფასდეს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავის დაცვის მიზნით განხორციელებულ აუცილებელ მოგერიებად, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია. საკასაციო პალატის აზრით, გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მსჯავრდებულმა ლ. კ-მა ჩაიდინა ბ. ბ-ის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, ვინაიდან მოცემულ შემთხვე-

ვაში არ მოიპოვება რელევანტური საფუძველი ამ ფაქტის მიმართ გონივრული ეჭვის არსებობისთვის.

26. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ლ. კ-ის მსჯავრდების თაობაზე, როგორც მტკიცებით ნაწილში, ასევე სამართლებრივ დასკვნებთან მიმართებით, რადგან მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში საფუძვლიანად და ამომწურავად არის განხილული და დადასტურებული, რომ ლ. კ-ს ნამდვილად აქვს ბრალეულად ჩადენილი აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. ამიტომ მსჯავრდებულის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება მასში წარმოდგენილი მოტივების უსაფუძვლოების გამო. საკასაციო პალატა ეთანხმება ასევე ამ დანაშაულების გამო მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელების სახეებსა და ზომებს, მთლიანობაში კი ლ. კ-ის მსჯავრდების ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

27. საბოლოოდ საკასაციო პალატამ დაასკვნა შემდეგი: მსჯავრდებულ ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი, რომლითაც ის ითხოვს გამართლებას, არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად. პროკურორ ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის საუარესოდ შებრუნების მიზნით, კერძოდ: ლ. კ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ ბ. ბ-ის განზრახ მკვლელობის ჩადენაში და ამ ნაწილში მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

28. აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი ქმედების სიმძიმე და შედეგი, ასევე ის გარემოება, რომ ამ დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებდა ლ. კ-ის მიერ იმავე დღეს სხვა განზრახი დანაშაულის ჩადენა, რომლის შემდეგაც მან კიდევ ერთი განზრახი დანაშაული ჩაიდინა, ხოლო მისი პასუხისმგებლობის სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განზრახ მკვლელობისათვის ლ. კ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც საკმარისი იქნება მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციის უზ-

რუნველსაყოფად.

29. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. პროკურორ ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ლ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 108-ე მუხლით განსაზღვრულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ლ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2014 წლის 12 ნოემბრიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ქმედების გადაკვალიფიცირება მაკვალიფიცირებაზე  
ბარამოუბაჰში განზრახ მკვლელობიდან  
მაკვალიფიცირებაზე ბარამოუბაჰში განზრახ  
მკვლელობის მცდელობაზე**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№420აპ-16

29 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა ა. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის განაჩენით ა. კ., – დაბადებული ...ს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ა“, „გ“ „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 109-ე მუხლის „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ ა. კ-ეს განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. კ-ემ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა და ტარება; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; განზრახ მკვლელობის მცდელობა სამი პირის მიმართ, ჯგუფურად, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგნაირად:

2.1. ა. კ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა „აკმ“-



ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი თავისივე ვაზნებით, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2.2. 2005 წლის 22 ოქტომბერს, 22:30 საათზე, ა. კ., კ. კ., ი. ჯ. და გამოძიებით დაუდგენელი სამხედროკამუფლაჟირებულ ტანსაცმლიანი ორი პირი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი, იმყოფებოდნენ ს-ის რაიონის სოფელ მ-ას ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნეს ს-ის შს განყოფილების თანამშრომლები, რომლებმაც უბრძანეს იარაღის დაყრა. ა. კ. და მისი თანმხლები პირები წინასწარი განზრახვით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს, არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და ხუთი წუთის განმავლობაში ისროდნენ პოლიციელთა მიმართულებით. პოლიციის მუშაკები იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი მათი მიმართულებით. ა. კ-სა და მისი თანმხლები პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლების შედეგად პოლიციის მუშაკმა დ. კ-მა მუცლის არეში მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის გამოც იგი გარდაიცვალა. პოლიციელთა საპასუხო სროლის შედეგად კი ადგილზე გარდაიცვალა ი. ჯ.. ვინაიდან პოლიციის მუშაკები კვლავ განაგრძობდნენ სროლას დამნაშავეთა დასაკავებლად, ა. კ-ემ და თანმხლებმა პირებმა ვერ შეძლეს განზრახვის სისრულეში მოყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. კ-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ: 1/4-ით შეუმცირდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენით მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის განაჩენში, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 თებერვლის განჩინების გათვალისწინებით, შევიდა შემდეგი ცვლილება: ა. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 109-ე მუხლის „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძ-

ველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ა. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ა. კ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2015 წლის 14 თებერვლიდან.

5. კასატორები – მსჯავრდებული ა. კ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა. ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა ა. კ-ის ბრალდების საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და, შესაბამისად, გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით მსჯავრდებულ ა. კ-ის გამართლებას ითხოვს შემდეგი ძირითადი მოტივებიდან გამომდინარე:

ა) კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი დაუსაბუთებელია, რითაც დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მოთხოვნა. დაცვის მხარე აპელირებს იმაზე მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას არ გაარკვია ბრალდების მთავარი მოწმეების, საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები, აგრეთვე ამ ჩვენებათა წინააღმდეგობა საქმის სხვა მასალებთან და ისე დაეყრდნო ამ ჩვენებებს, როგორც პირდაპირ მტკიცებულებებს.

ბ) სარწმუნო მტკიცებულებებით არ არის დადგენილი, რომ პოლიციის თანამშრომლებთან შეტაკებისა და ორმხრივი სროლების შემდეგ შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ი. ჯ-ის ცხე-

დართან აღმოჩენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე იქვე ნაპოვნი ამ ავტომატიდან გასროლილი 6 მასრა ნამდვილად გარდაცვლილს ეკუთვნოდა, როგორც ეს სასამართლომ მიიჩნია, თუ ვინმე სხვა პირს.

გ) გარდა ამისა, გაურკვეველია ასევე შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ავტომატური იარაღიდან გასროლილი 10 მასრის წარმომავლობა და ისიც – ვის მიერ და ვისი იარაღიდან არის ისინი გასროლილი, რადგან არ ეკუთვნის შემთხვევის ადგილზე მყოფ პოლიციის თანამშრომელთა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღებს, ხოლო ორმხრივ სროლებში მონაწილე სხვა პირები დადგენილი არ არის და არც მათი იარაღია ამოღებული, გარდა ერთისა, რომელიც სასამართლომ გარდაცვლილ ი. ჯ-ს მიაკუთვნა.

დ) კასატორის აზრით, გაურკვეველია აგრეთვე, ზუსტად რა ადგილზე და ვის მიერ გასროლილი ტყვიით დაიღუპა შეტაკებაში მონაწილე პოლიციის თანამშრომელი დ. კ., რა ვითარებაში დაიჭრა იგი სასიკვდილოდ. არ არსებობს იმის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომ მსჯავრდებული ა. კ. ნამდვილად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და რომ სწორედ მისი გასროლილი ტყვიით დაიღუპა ხსენებული პოლიციელი.

ე) გამომძიებელს არაკვალიფიციურად აქვს შემთხვევის ადგილი დათვალიერებული, რის გამოც მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები გაურკვეველი და დაუდგენელი დარჩა, კერძოდ, შემთხვევის ადგილზე რა მდგომარეობაში იყო გარდაცვლილი პოლიციელის გვამი, გარეგნულად რა დაზიანებები აღენიშნებოდა მის სხეულსა და ტანსაცმელს, აღმოჩნდა თუ არა მისი სისხლის კვლები, არ არის განსაზღვრული სროლის მანძილი და სხვა.

ვ) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, რის გამოც განაჩენი, თუნდაც ამ გარემოების გათვალისწინებით, არის უკანონო.

3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას ა. კ-ის უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან საქმეში არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია მსჯავრდებულ ა. კ-ის დანაშაულში მონაწილეობა. აღნიშნული მტკიცებულებები გამოკვლეულია როგორც პირველი ინსტანციის, ასევე – სააპელაციო სასამართლოში მხარეთა მონაწილეობით საქმის განხილვისას, რა დროსაც მათ ჰქონდათ სრული შესაძლებლობა, რომ ჯეროვნად წარმოედგინათ და ემტკიცე-

ბინათ თავიანთი პოზიციები ა. კ-ის ბრალდებასთან დაკავშირებით.

4. მსჯავრდებულ ა. კ-ის ბრალს, პირველ რიგში, ადასტურებს ბრალდების მოწმეების, კერძოდ, ა. კ-სა და მის თანმხლებ სხვა პირებთან ორმხრივ შეტაკებასა და სროლებში უშუალოდ მონაწილე პოლიციის თანამშრომლების – კ. დ-სა და კ. კ-ის პირდაპირი ჩვენებები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2005 წლის 22 ოქტომბერს, სალამოს, ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას პოლიციის სხვა თანამშრომლებთან – ზ. ბ-სა და დ. კ-თან ერთად. ისინი ახორციელებდნენ შემოვლას ს-ის რაიონის სოფელ მ-ას უბანში, რა დროსაც გზაზე შეხვდნენ ერთ-ერთი ჩიხიდან მომავალ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით აღჭურვილ პირებს, რომლებიც შემოსილნი იყვნენ სამხედროკამუფლაჟირებული ტანსაცმლით. ისინი მოძრაობდნენ მათგან ახლო მანძილზე – 7–10 მეტრში, რის გამოც მათ შეიარაღებულ პირებს შორის შეიცნეს ძმები – ა. და კ. კ-ები, კრიმინალური წარსულის მქონე პირები, რომლებსაც ახლდა კიდევ სხვა სამი პირი, სულ ხუთნი იყვნენ. პოლიციელებმა მათ განუცხადეს თავიანთი ვინაობის შესახებ, კერძოდ, რომ ისინი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და მოსთხოვეს შეიარაღებულ პირებს იარაღის დაყრა და დანებება. ნაცვლად ამისა, ა. კ-ემ და სხვა შეიარაღებულმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები მოიყვანეს საბრძოლო მდგომარეობაში და დაიწყეს სროლა. ავტომატების გადატენის ხმის გაგონებისთანავე პოლიციელები უკუიქცნენ და თავი შეაფარეს ახლომდებარე ეზოსა და სახლ-კარს, საიდანაც იძულებულნი იყვნენ, გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი ა. კ-სა და მისი თანმხლები პირების თავდასხმის მოსაგერიებლად. ორმხრივი სროლები მიმდინარეობდა ხუთიდან ათ წუთამდე დროის განმავლობაში. მძიმედ დაიჭრა და იქვე გარდაიცვალა პოლიციის თანამშრომელი დ. კ.. სროლების შემდეგ ა. კ. და მისი თანმხლები პირები, რომლებიც პოლიციელთა მიმართულებით ისროდნენ ავტომატურ ცეცხლსასროლი იარაღებს, შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. მათი გაქცევის შემდეგ კი შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა სამხედროფორმისანი ერთ-ერთი თავდამსხმელის ცხედარი, რომელიც, სავარაუდოდ, ორმხრივი სროლებისას დაიღუპა და რომლის ვინაობაც დადგინდა – ის იყო ი. ჯ.. აღნიშნული მოწმეები დანამდვილებით მიუთითებენ, რომ ისინი, თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ვიზუალურადაც იცნობდნენ ა. კ-ეს, როგორც მძიმე კრიმინალური წარსულის მქონე პირს, რის გამოც მომხდარი შემთხვევის დროს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე და-

მე იყო, ახლო მანძილიდან მისი ცნობა არ გასჭირვებიათ.

5. მოწმე პოლიციელთა ჩვენებების შესაბამისობა მომხდარი შემთხვევის რეალურ გარემოებებთან დასტურდება სხვა მტკიცებულებებითაც. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, ი. ჯ-ის ცხედრის სიახლოვეს ნაპოვნი და ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე – ამ იარაღით გასროლილი ტყვიის მასრები და კიდევ, ამის გარდა, იქვე, ახლო არეალში, თავდამსხმელთა ადგილსამყოფელზე ნაპოვნი და ამოღებულია სხვა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით გასროლილი ტყვიის მასრები, ხოლო საპირისპირო მხარეს, დაახლოებით 3მ მეტრ მანძილზე, ნაპოვნი და ამოღებულია პოლიციელთა კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღებით საპასუხოდ გასროლილი ტყვიის მასრები, რაც ასევე დადასტურებულია ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით.

6. უდავო ფაქტია, რომ პოლიციის თანამშრომელი დ. კ. დაილუპა სწორედ ზემოაღნიშნული შემთხვევის ადგილზე ა. კ-ეს, მის თანმხლებ პირებსა და პოლიციის თანამშრომელთა შორის მომხდარი ორმხრივი სროლების დროს, ისევე როგორც ა. კ-ის თანმხლები პირი – ი. ჯ.. აღნიშნული დადასტურებულია არა მხოლოდ ხსენებულ მოწმეთა ჩვენებებით, არამედ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითაც, რომლებშიც მითითებულია მათი გარდაცვალების სავარაუდო დრო.

7. აღნიშნული გარემოებების გამო საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ა. კ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მიცემულ ჩვენებაში წარმოდგენილ ვერსიას იმის თაობაზე, რომ ის არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, რის გამოც ვერანაირად ვერ მიიღებდა მონაწილეობას პოლიციელებზე თავდასხმაში. მისი ჩვენების მიხედვით, მომხდარი შემთხვევის დროს, 2005 წლის 22 ოქტომბერს, იგი იმყოფებოდა სრულიად სხვა ადგილზე, კერძოდ, მისი შვილის ნათლიის ოჯახში სტუმრად, სადაც მას თან ახლდა ი. ჯ-ც. იქ დიდხანს არ დარჩენილა და საღამოს წავიდა სახლში მარტო, ხოლო დანარჩენები კი იქ დარჩნენ. მომხდარი შემთხვევის შესახებ შემდგომში გაიგო. ვინაიდან მას მოსაკლავად დასდევდნენ, ამიტომ წავიდა და იმყოფებოდა მონასტერში. ის გარემოება, რომ მას ბრალად ედებოდა პოლიციელის მკვლელობა, გაიგო იმის შემდეგ, როდესაც გაეცნო მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს. ა. კ-ის ეს ჩვენება პირდაპირ ეწინააღმდეგება ბრალდების მოწმე პოლიციელების – კ. დ-სა და კ. კ-ის ჩვენებებს, რომლებიც შეესაბამება როგორც ერთმანეთს, ასევე საქმის სხვა გარემოებებს.

8. საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია: საქმეში არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც თუნდაც ვარაუდის დონეზე, მიუთითებს, რომ ბრალდების მოწმე პოლიციის თანამშრომლები არიან დაინტერესებული პირები ა. კ-ის წინააღმდეგ, რომ მათ საამისოდ გააჩნიათ რაიმე მიზეზი და საბაბი იმისათვის, რომ მიეცათ განზრახ ცრუ ჩვენება სასამართლოსათვის და ა. კ-თვის დაებრალეზინათ ისეთი ქმედების ჩადენა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ ასეთ შესაძლო მიზეზზე არც თავად ა. კ. მიუთითებს თავის ჩვენებაში და მსგავს რამეზე არც დაცვის მხარის საკასაციო საჩივარშია მითითებული. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს დასკვნისათვის, რომ ამ შემთხვევაში მოწმე პოლიციელები არიან დაინტერესებული პირები და მათი ჩვენება არ უნდა იქნეს მიღებული სარწმუნო მტკიცებულებად.

9. საქმის გარემოებებზე ობიექტური და სრული წარმოდგენისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: ა. კ-ის ბრალდების საქმის სასამართლოში განხილვისას დაცვის მხარემ წარმოადგინა თავისი მოწმეები, რომლებსაც უნდა დაედასტურებინათ ალიბი იმის თაობაზე, რომ მომხდარი შემთხვევის დროს, 2005 წლის 22 ოქტომბრის საღამოს, ა. კ. იმყოფებოდა თავისთან სახლში და ამ დროს მას შინ ჰყავდა დაპატიჟებული სტუმრები, რის გამოც იმ საღამოს ა. კ-ემ მათგან წაიღო ღვინო და პურ-მარილი, რათა სტუმრებს გამასპინძლებოდა. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს მოწმეების – ნ. კ-სა და პ. ლ-ის ჩვენებები. თუმცა მათი ჩვენებების შინაარსი არ არის ურთიერთთავსებადი, მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა და ვერ მიუთითებენ კონკრეტულ დროს, როდესაც ა. კ. თითქოსდა მათთან ერთად იმყოფებოდა. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ალიბზე არც თვითონ ა. კ. არაფერს არ ამბობს თავის ჩვენებაში და არც დაცვის მხარის საკასაციო საჩივარშია ის ნახსენები, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ა. კ-სა და დაცვის მხარის მიერ მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე ჩამოყალიბებული პოზიციის უსაფუძვლობასა და არადამაჯერებლობაზე.

10. გარდა ამისა, საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ სხვა ძირითად მოტივებსაც, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული და რომლებითაც ის ცდილობს, ეჭვქვეშ დააყენოს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერება და დაასაბუთოს, რომ მსჯავრდებულ ა. კ-ეს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად

შერაცხული ქმედება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ დაცვის მხარის აზრით, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები ბრალდების მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს შორის, რომლებიც საქმეზე ცნობილი არიან დაზარალებულებად, აგრეთვე, ამ ჩვენებებსა და საქმის სხვა მასალებს შორის. ამის დასტურად კასატორი უთითებს მოწმეების – კ. დ-სა და კ. კ-ის ჩვენებებზე და მათ შორის არსებულ ცალკეულ განსხვავებებზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებები ეხება მხოლოდ ისეთ წვრილმან ტექნიკურ დეტალებს, რომლებსაც არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ხსენებულ ჩვენებებს შორის ამგვარი არაარსებითი განსხვავების არსებობა ბუნებრივია, რადგან მოწმეებს მოქმედება და მოვლენების აღქმა უზდებოდათ ექსტრემალურ პირობებში. პირიქით, ეს ჩვენებები საეჭვო სწორედ მაშინ იქნებოდა, თუკი ისინი ერთმანეთთან აბსოლუტურად თანხვედნილი და ერთმანეთის იდენტური იქნებოდა. მთავარი კი შემდეგია – არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მათ ჩვენებებს შორის იმ საკითხზე, რომ ადგილზე ნამდვილად დაინახეს და იცნეს ა. კ., რომელიც სხვა პირებთან ერთად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა პოლიციელების მიმართულებით, რა დროსაც დაიღუპა კიდევ პოლიციის თანამშრომელი დ. კ..

11. დაცვის მხარე გასაჩივრებული განაჩენის მიმართ დაობს შემდეგ საკითხზე: მისი დასკვნით უტყუარად არ არის დადგენილი, რომ ორმხრივი სროლების შემდეგ შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ი. ჯ-ის ცხედრის ახლოს აღმოჩენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ამ იარაღიდან გასროლილი ტყვიების მასრები (სულ 6 ცალი) ნამდვილად ეკუთვნოდა ან გარდაცვლილ ი. ჯ-ს, თუ ვინმე სხვას იმ პირთაგან, რომლებიც პოლიციელთა მიმართულებით ისროდნენ. საკასაციო პალატის აზრით, ამ საკითხს არა აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა ა. კ-ის ბრალეულობისათვის. მთავარი აქ ის არის, რომ ეს იარაღი არ ეკუთვნოდა პოლიციის თანამშრომლებს და მისი გამოყენებით თავდამსხმელები ესროდნენ პოლიციელებს, რასაც ადასტურებს ი. ჯ-ის ცხედართან ახლოს აღმოჩენილი, ამ ავტომატური იარაღიდან გასროლილი ტყვიის მასრები და რაც დგინდება აგრეთვე ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით.

12. იგივე უნდა ითქვას შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სხვა გასროლილი ტყვიების მასრების (სულ 10 ცალი) შესახებ, რომლებიც არ არის გასროლილი პოლიციელთა კუთვნილი იარაღებიდან, ხოლო იმ გარემოებას, რომ 2005 წლის 22 ოქტომბერს, საღამოს მომხდარ შემთხვევის ადგილზე პოლიციელებისა და



ზემოხსენებული, შეიარაღებული სხვა პირების გარდა არავინ იმყოფებოდა, ვერც დაცვის მხარე უარყოფს, გარდა ერთისა, რაზეც დაობს კასატორი – ზემოხსენებულ შეიარაღებულ პირთა შორის მსჯავრდებული არ ყოფილაო. არგუმენტად იმას ასახელებს, რომ არ არის დადგენილი აღნიშნული 10 მასრა ვისი კუთვნილი იარაღიდან არის გასროლილი. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ვერ დადგინდებოდა, რადგან ა. კ. ორმხრივ სროლებს უვნებელი გადაურჩა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა თავის იარაღიანად, რაც დადასტურებულია მოწმე პოლიციელთა პირდაპირი ჩვენებებით.

13. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არ არის ზუსტად გარკვეული და დადგენილი, რა ვითარებაში და ვის მიერ გასროლილი ტყვიით დაიღუპა პოლიციელი დ. კ., კერძოდ, ის გარემოება, რომ იგი სწორედ ა. კ-ის მიერ გასროლილი ტყვიის მოხვედრის შედეგად არის გარდაცვლილი. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის ამ პოზიციას იმ ნაწილში, რომლის მიხედვით, თითქოს დაუდგენელია როდის და რა ვითარებაში დაიღუპა პოლიციის თანამშრომელი დ. კ., რადგან ის გარემოება, რომ ეს პირი ნამდვილად 2005 წლის 22 ოქტომბერს, საღამოს, ა. კ-სა და მის თანმხლებ სხვა პირებთან პოლიციელთა შეტაკებისას დაიღუპა, საქმეში არსებული საკმარისზე მეტი პირდაპირი, თუ არაპირდაპირი მტკიცებულებებით არის დადასტურებული. რაც შეეხება კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, დ. კ. ნამდვილად ა. კ-ის მიერ გასროლილი ტყვიით არის თუ არა დაღუპული, ამ ნაწილში საკასაციო პალატა ეთანხმება დაცვის მხარეს, მაგრამ ამ საკითხს უფრო ვრცლად მოგვიანებით შევეხებით.

14. გარდა ამისა, დაცვის მხარე თავის საკასაციო საჩივარში დაობს სხვა მრავალ საკითხზე, კერძოდ, კასატორის აზრით, არაკვალიფიციურად არის ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რის გამოც გაურკვეველია: რა მდგომარეობაში იქნა ნაპოვნი გარდაცვლილი პოლიციელის – დ. კ-ის გვამი; იყო თუ არა მისი სისხლის კვლები; რა დაზიანებები აღენიშნებოდა მას გარეგნულად; რა მანძილიდან მოხდა გასროლა, სად და როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა დ. კ. მაშინ, როდესაც ის დაიჭრა; რატომ არ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე მისი იარაღიდან გასროლილი მასრები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოძიებლებს არ დაუცავთ ამ საპროცესო მოქმედების ჩატარების ტაქტიკური წესები, ხოლო მის თაობაზე შედგენილ ოქმში საერთოდ არ არის მითითებული გარდაცვლილი



პოლიციელის გვამის მდებარეობაზე; არ არის განსაზღვრული სროლის ის მანძილი, რომელიც ერთმანეთს აშორებდა პოლიციელებსა და თავდამსხმელებს; თუკი პოლიციელებმა მაშინვე იცნეს ა. კ., ამ შემთხვევის გამო აღძრული საქმის პირველად დოკუმენტებში რატომ არის საუბარი დაუდგენელ პირებზე და თავიდანვე რატომ არ არის მითითებული ა. კ-ის პიროვნებაზე, როგორც შესაძლო დამნაშავეზე და რატომ ჩნდება მისი ვინაობა საქმეში მოგვიანებით; პოლიციელთა მიერ გასროლილი ტყვიების მასრების აღმოჩენის ადგილსა და პოლიციელებზე თავდამსხმელთა მიერ გასროლილი ტყვიების მასრების აღმოჩენის ადგილს შორის მანძილი უნ მეტრია და, აქედან გამომდინარე, ასეთ მანძილზე, ღამის საათებში, არასათანადო ხილვადობის პირობებში, იყო თუ არა შესაძლებელი მონმე პოლიციელებს ეცნოთ ა. კ., ის სინამდვილეში მართლაც რომ ყოფილიყო შემთხვევის ადგილზე.

15. კასატორის აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ გარემოებებს ვერ მიენიჭება არსებითი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა მსჯავრდებულ ა. კ-ის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხის გადანყვეტისათვის. ის, თუ რა მდგომარეობაში იყო გარდაცვლილი პოლიციელის – დ. კ-ის გვამი შემთხვევის ადგილზე, ვერ შეცვლის იმ გარემოებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იგი დაიღუპა თავდამსხმელთა მხრიდან გასროლილი ტყვიით; არც ის გარემოებაა მნიშვნელოვანი საქმისათვის, თვითონ დ. კ-იც ისროდა თუ არა თავისი იარაღიდან, ანდა რა მანძილიდან მოხდა ის გასროლა, რომელმაც იგი იმსხვერპლა; რაც შეეხება იმას, თუ როგორი ტაქტიკით წარმართეს გამოძიებლებმა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ეს პრაქტიკის საკითხია და ყოველი გამოძიებელი გარკვეული მეთოდით მუშაობს შემთხვევის ადგილზე მისი დათვალიერების ჩატარებისას. რაც მთავარია, დაცვა ვერ უთითებს, რომ ეს საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა საპროცესო ნორმების დარღვევით, რადგან ასეთი დარღვევები არ მომხდარა; ის გარემოება, რომ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით საქმის წარმოების დაწყებისას ოფიციალურ დოკუმენტებში თავიდანვე არ არის მითითებული ა. კ-ის პიროვნებაზე, როგორც დანაშაულის სავარაუდო ჩამდენზე, შეიძლება აიხსნას სამართალდამცავი ორგანოების სრულიად სწორი და გასაგები სიფრთხილით, რათა გამოძიების ჯერ კიდევ ადრეულ, საწყის ეტაპზე დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ არ ყოფილიყო ეს პირი დამნაშავედ შერაცხული, როდესაც ჯერ მხოლოდ მტკიცებულებების მოპოვება და საპროცესო დამაგრება მიმ-

დინარეობდა.

16. შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ რა მანძილიდან მიმდინარეობდა ორმხრივი სროლები თავდამსხმეულებსა და პოლიციელებს შორის და შესაძლებელი იყო თუ არა ასეთ მანძილზე ღამის პირობებში ბრალდების მოწმე პოლიციელებს ეცნოთ ა. კ., თუკი ის იმყოფებოდა თავდამსხმელთა შორის. საქმეში არსებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და თანდართული შემთხვევის ადგილის სქემის მეშვეობით დადგენილია, რომ, როდესაც უკვე ორმხრივი სროლები მიმდინარეობდა პოლიციელებსა და თავდამსხმელთა შორის, მათ შორის იყო დაახლოებით 36 მეტრი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ სროლებს წინ უძღოდა პოლიციელებისა და სამხედრო-ფორმიანი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი პირების შეხვედრა ახლო მანძილზე, რა დროსაც იცნეს პოლიციელებმა ა. კ., ხოლო მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა პირებმა გადატენეს ავტომატები და დაიწყეს სროლები, პოლიციელები უკუიქცნენ, სასწრაფოდ გადაადგილდნენ შორიანხლოს მდებარე ეზოში და ამის შემდეგ გახსნეს საპასუხო ცეცხლი თავის დაცვის მიზნით. სწორედ ამ დროს იყო მათ შორის მანძილი 36 მეტრი, ხოლო პირველი შეხვედრისას მათ ბევრად უფრო მოკლე მანძილი – შვიდიდან ათ მეტრამდე ამორებდათ ერთმანეთს, რაც სრულიად შესაძლებელს ხდის ნაცნობი ადამიანის შეცნობას, თუნდაც ღამის პირობებში, მით უმეტეს – გამოცდილი პოლიციელების მხრიდან. ამიტომ ამ მხრივ, ბრალდების მოწმე პოლიციელების ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

17. კასატორი თავის საჩივარში მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს საქმის წარმოებისას დაშვებულ საპროცესო ნორმების დარღვევებზე, თუმცა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ უთითებს, კონკრეტულად რომელი საპროცესო ნორმა დაირღვა და, რაც მთავარია – რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელებისას. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, რასაც საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს საფუძვლიან მოსაზრებად, რადგან გასაჩივრებულ განაჩენში საქმის ყველა მნიშვნელოვანი და არსებითი გარემოება დადგენილია ჯეროვანი და კანონიერი მტკიცებულებების საფუძველზე, მტკიცებულებები გაანალიზებულია, წარმოჩენილი და შედარებულია როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის პოზიციები და განხილულია ორივე მხარის მტკიცებულებები. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივრის დასაწყისსა და ბოლო, დასკვნით ნა-

წილში გამოთქმულ პრეტენზიას, რომ საქმე განიხილა არაკანონიერმა სასამართლო შემადგენლობამ, მაგრამ კასატორს ერთი სიტყვაც კი არ აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის უკანონობა. საკასაციო პალატამ ამ მხრივაც შეამონმა საქმე, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც თუნდაც არაპირდაპირ მაინც მიუთითებს საქმის განმხილველი სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობაზე.

18. კასატორის მოსაზრებებს, რომ საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო იყო არაობიექტური და მიკერძოებული, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას დაცვის მხარე სრულად იყო უზრუნველყოფილი საერთაშორისო კონვენციებით, საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობით საიმისოდ, რათა ჯეროვნად წარმოედგინა თავისი პოზიცია და ბრალდების მხარესთან თანაბარ პირობებში ემტკიცებინა მისი სისწორე და საფუძვლიანობა, წარედგინა და გამოეკვლია თავისი მტკიცებულებები, პროცესზე მოენვია და დაეკითხა თავისი მონმეები, მონაწილეობა მიეღო მოპაექრე მხარის მტკიცებულებების გამოკვლევასა და ბრალდების მონმეების დაკითხვაში, დაეყენებინა შუამდგომლობები და სხვა. დაცვის მხარე არ მიუთითებს, რომ ამ მხრივ დაირღვა რომელიმე მისი ლეგიტიმური უფლება, რაც უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ყველა სასამართლო ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვისას დაცვის მხარემ სრულად ისარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით და ამ მხრივ რაიმე პრეტენზიის გასაცხადებლად არავითარი საფუძველი არ არსებობს.

19. ამავე დროს საკასაციო პალატა გასაჩივრებულ განაჩენს არ ეთანხმება ერთ ნაწილში, კერძოდ, მსჯავრდებულ ა. კ-ის მიერ ჩადენილი მკვლელობის ქმედების სამართლებრივი შეფასებისა და მისი კვალიფიკაციის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ის მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, როგორც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი ჯგუფურად, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე – იმავე კოდექსის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, როგორც მკვლელობის მცდე-

ლობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი სამი პირის მიმართ, ჯგუფურად, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (იხ. საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 2003 წლის 20 ივნისის რედაქცია, რომელიც მოქმედებდა ა. კ-ის მიერ ქმედების ჩადენისას). მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის თანამშრომელი დ. კ. ნამდვილად ორმხრივი სროლების დროს მსჯავრდებულ ა. კ-სა და მისი თანმხლები შეიარაღებული პირების მხრიდან გასროლილი ერთ-ერთი ტყვიის მოხვედრის შედეგად გარდაიცვალა, მისი სიკვდილის ფაქტი, როგორც დამთავრებული დანაშაული, ა. კ-ს ვერ შეეარა ცხება. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ა. კ. ნამდვილად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე სხვა შეიარაღებულ პირებთან ერთად და სხვებთან ერთად ისიც ისროდა ავტომატური იარაღიდან პოლიციელების მიმართულებით, მაგრამ არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ ნამდვილად უშუალოდ ა. კ-ის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა ან გარდაცვლილ პოლიციელ დ. კ-ს და, აქედან გამომდინარე, სწორედ მის მიერ ჩადენილი ქმედებაა მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – პოლიციელის სიკვდილთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მერვე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს: „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შეიქმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის“.

20. კანონის ამ სავალდებულო მოთხოვნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს: იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი პირი მკვლელობის ერთიანი განზრახვით, ერთდროულად ისვრის ცეცხლსასროლი იარაღიდან სხვა პირის ან პირების მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი ან რომელიმე მათგანი იღუპება ერთ-ერთი ტყვიის მოხვედრით, ამასთან, ვერ დგინდება, კონკრეტულად ვის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა მსხვერპლს, რომელმაც შედეგის სახით მისი სიკვდილი გამოიწვია, მაშინ დამდგარი შედეგი ვერც ერთ დამნაშავეს ვერ შეეარა ცხება და მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა დამთავრებულ დანაშაულად, არამედ – მკვლელობის მცდელობად.

21. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ის მიერ ჩადენილი ქმედება დამთავრებულ მკვლელობად შეაფასა, ამით იგი გასცდა როგორც

მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, ასევე, სასამართლო გამოძიებით სწორად და უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ა. კ-სა და მის თანმხლებ პირთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღებიდან სროლების შედეგად პოლიციის მუშაკმა დ. კ-მა მუცლის არეში მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რამაც გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა და იგი ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდების იგივე ფორმულირებაა მოცემული სააპელაციო სასამართლოს განაჩენშიც, რაც მან დადგენილად მიიჩნია სრულიად საფუძვლიანად და კანონიერად.

22. როგორც ვხედავთ, ამ ბრალდებაში მითითებულია დამანაშავეთა, მათ შორის ა. კ-ის მიერ პოლიციელთა მიმართულე-ბით განხორციელებულ ერთობლივ სროლებზე, ხოლო პოლიციელის სიკვდილზე – როგორც ამ გასროლების შედეგზე. მაგრამ ბრალდებაში არ არის მითითებული, რომ გარდაცვლილს უშუალოდ ა. კ-ის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა და სწორედ ამ გასროლის შედეგად დადგა სიკვდილი. ასეთი მითითება ვერც იქნებოდა ბრალდების ფორმულირებაში, რადგან მისი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ არსებობდა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსგავს ვითარებაში, როდესაც ორი ან მეტი პირი, თუნდაც მკვლელობის საერთო განზრახვით, ერთდროულად ისვრის ცეცხლსასროლი იარაღებიდან სხვა პირის მიმართ, თითოეული მათგანის მოქმედება ობიექტურად და მიზეზობრივად ერთმანეთისგან დამოუკიდებელია ანუ არც ერთი მათგანის ქმედება არ წარმოადგენს ხელშემწყობ ფაქტორს მეორის მოქმედებისათვის, რის გამოც ისინი ვერ იქნება განხილული როგორც შედეგის გამონვევის საერთო, ერთიანი მიზეზი, ესე იგი საერთო აუცილებელი პირობა (condition sihe sua non). ამიტომ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გარდაცვლილ პოლიციელს ა. კ-ის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა, მაგრამ, არსებული მტკიცებულებითი ბაზის პირობებში, ის ვერ ჩაითვლება გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულ ფაქტად, რის გამოც, in dubio pro reo – ს პრინციპის მიხედვით, დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და მსჯავრდებულ ა. კ-ეს ბრალად უნდა შეერაცხოს არა დამთავრებული მკვლელობის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობის ჩადენა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაცვის მხარის საკა-

საციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ა. კ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან და ამ კოდექსის მე-19 მუხლიდან და 109-ე მუხლის „ა“, „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის მე-19 მუხლსა და 109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებზე (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია).

24. მსჯავრდებულ ა. კ-ის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ა. კ-ეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია; ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

25. ამავე დროს, მსჯავრდებულ ა. კ-ის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 პუნქტი, რომლის საფუძველზეც აღნიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ იმავე კანონის მე-3 პუნქტის საფუძველზე ა. კ. უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და ნიშნული სასჯელების მოხდისაგან და მას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის,

ადვოკატ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ა. კ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან და მე-19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებზე (2006 წლის მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე გაუნახვერდეს და განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე ა. კ. გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელებისგან.

5. მსჯავრდებულ ა. კ-ს სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2015 წლის 14 თებერვლიდან.

6. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ქმედების გადაკვალიფიცირება „ჯანმრთელობის  
განზრახ მიმე დაზიანებიდან, რამაც გამოიწვია  
სიცოცხლის მოსპობა“ „გაუფრთხილებლობით  
სიცოცხლის მოსპობაზე“**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№449აპ-16

9 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ა. ხ-ისა და მისი ინტერესების დამ-  
ცველის, ადვოკატ ი. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2016 წლის 9 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის  
განაჩენით ა.ხ-ი, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამ-  
ნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში,  
რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მიმე დაზიანება, ე.ი. სხე-  
ულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რამაც  
გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 18 აპრილს, სალამოს საათებში, ქ-ის რაიონის  
სოფელ ა-ში ა. ხ-მა ხელის დარტყმით ჯანმრთელობის განზრახ  
მიმე დაზიანება მიაყენა ჯ. ტ-ეს, რომელიც მიღებული დაზიან-  
ების შედეგად 2015 წლის 29 აპრილს გარდაიცვალა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ა. ხ-ს სსკ-ის 117-ე მუხლის  
მე-2 ნაწილით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც  
შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაი-  
სის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1  
წელი, 4 თვე და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განე-  
საზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა და-  
ენყო 2015 წლის 29 აპრილიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ-  
მა ა. ხ-მა და მისმა ადვოკატმა ი. ბ-მა. მათ ითხოვეს ხაშურის  
რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენის გა-



უქმება, ა. ხ-ის გამართლება და გათავისუფლება.

5. ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ნ-მ შესაგებლთ ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორები – მსჯავრდებული ა. ხ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

- 2015 წლის 18 აპრილს ქ-ის რაიონულ საავადმყოფოში სხეულის მრავლობითი დაზიანებებით მიიყვანეს ჯ. ტ-ე, რომელმაც ეს დაზიანებები, ახლობლების გადმოცემით, მიიღო ნასვამმა, კიბიდან გადმოვარდნის შედეგად. იგი 2015 წლის 29 აპრილს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.
- 2015 წლის 18 აპრილს ქარელის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მოწმეთა ჩვენებებით, სუფრაზე მომხდარი კამათის გამო, ა. ხ-მა ჯ. ტ-ეს ერთხელ შემოარტყა ხელი სახეში. ჯ. ტ-ე წაიქცა და გონება დაკარგა, თუმცა რამდენიმე წუთში მოვიდა გონებაზე და თავისი ფეხით წავიდა სახლში; სახლში მისვლისას ჯ. ტ-ის ოჯახის წევრებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ მის მოსვლას არ დაელოდნენ და მ. ბ-ის მანქანით წაიყვანეს ქ-ის რაიონულ საავადმყოფოში. გამოძიების დაწყების მეორე დღეს ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ისე, რომ ექსპერტ-კრიმინალისტს არ დაუთვალა იერებია შემთხვევის ადგილი; ასევე არ ამოიღეს ჯ. ტ-ის ტანსაცმელი, რომელზეც აუცილებლად იქნებოდა გამოძიებისათვის საჭირო კვლები, რაც გამოძიებას საშუალებას მისცემდა, სრულყოფილად და ობიექტურად დაედგინა საქმისათვის საინტერესო ნიუანსები.
- საქმეში არსებობს ფოტოილუსტრაცია, რომელზეც აშკარად ჩანს გარდაცვლილის დაზიანებები. შეუძლებელია, ამდენი დაზიანება განვითარებულიყო ხელის ერთი დარტყმითა და მიწაზე ერთხელ დაცემით, რაც დაადასტურეს ექსპერტებმაც სასამართლოში დაკითხვისას. სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, რომ არ არსებობს გამოძიების მიერ დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც უნდა განე-

საზღვრა ჯ. ტ-ის სხეულზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმი და შეესაბამება თუ არა ისინი საქმის მასალებში არსებულ გარემოებებს.

- ამდენად, ა. ხ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება არათუ დასტურდება რაიმე მტკიცებულებით, არამედ აბსოლუტურად აბსურდულია, ხოლო მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის განაჩენის გაუქმებას, ა. ხ-ის გამართლებასა და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

8. ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორი გ. ნ-ე შესაგებლთ ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა ა. ხ-ის ბრალდების საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ასეთი დასკვნის გამოსატანად არ მოიპოვება საფუძველი ა. ხ-ის ბრალდების საქმის მასალებში. კასატორი მხარე ცდილობს, თავისი პოზიცია ააგოს იმ ვერსიაზე, რომ ან გარდაცვლილმა ჯ. ტ-ემ ის მძიმე დაზიანებები, რომლებიც შემდგომში მისი სიკვდილის მიზეზი გახდა, მიიღო არა შემთხვევის ადგილზე, სადაც მას სახეში ხელი დაარტყა ა. ხ-მა, არამედ სახლში მიყვანის შემდეგ, როდესაც ის კიბიდან გადავარდა, რასაც ადასტურებენ გარდაცვლილის ახლობლები. მაგრამ ადვოკატი ი. ბ-ი კონკრეტულად არ ასახელებს, ვინ იყვნენ ის ახლობლები, რომლებიც დაადასტურებდნენ აღნიშნულ ფაქტს. საქმის მასალებში რაიმე მსგავსი ჩვენებები არ არსებობს, ხოლო საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით, ცხადად არის დადასტურებული, რომ შემთხვევის ადგილის დატოვების შემდეგ ჯ. ტ-ე მალევე გახდა ცუდად და ძლიერ დამძიმდა მისი მდგომარეობა, ხოლო როდესაც შინ მიიყვანეს, ცოტა ხნის შემ-

დეგ გონება დაკარგა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ვერსიას იმის თაობაზე, რომ ჯ. ტ-ემ მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები, რომლებიც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა, მიიღო თავის სახლში კიბიდან გადავარდნის შედეგად.

3. საკასაციო პალატა არ ეთანხმება ასევე სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომელთა მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ხ-ს ჩადენილი აქვს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით. სასამართლოს ასეთი დასკვნები ისე აქვს გამოტანილი, რომ, ერთი მხრივ, ეყრდნობა მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის ჩვენებაში წარმოდგენილ არა კატეგორიულ, არამედ ვარაუდებს გარდაცვლილი ჯ. ტ-ის ქალა-ტვინის დახურული ტრავმის განვითარების შესაძლებელ მექანიზმზე, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებში არსებული ობიექტური მონაცემები არ არის ერთობლივად განხილული და ურთიერთმიჯვრებით გაანალიზებული.

4. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეთანხმება და სამართლებრივ შეფასებებში ეყრდნობა მსჯავრდებულ ა. ხ-სა და გარდაცვლილ ჯ. ტ-ეს შორის მომხდარი კონფლიქტის ორი თვითმხილველი მოწმის – ბ. ნ-ისა და ვ. ო-ის პირდაპირ ჩვენებებს, რომელთა მიხედვით, ქეიფის დროს ა. ხ-მა, განაწყენებულმა იმით, რომ მას სახეში მოხვდა ჯ. ტ-ის მიერ ნასროლი ქიქა, მას ხელი დაარტყა სახის არეში, რის შედეგადაც ჯ. ტ-ე გადავარდა, ხეს დაარტყა თავი და ძირს უგონოდ დაეცა. ნაწილობრივ იმავე ფაქტს ადასტურებს თვითონ მსჯავრდებული ა. ხ-იც თავის ჩვენებაში. ამ ჩვენებებს საკასაციო პალატაც იზიარებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემდეგში სააპელაციო სასამართლო მომხდარი შემთხვევის შესახებ ისეთ სამართლებრივ დასკვნას აკეთებს, რაც არ შეესაბამება ხსენებულ სარწმუნო მტკიცებულებებს და რომლის მიხედვით, ან გარდაცვლილმა ჯ. ტ-ემ მიიღო ქალა-ტვინის მარჯვენამხრივი დაზიანება სისხლჩაქცევით, რაც მისი სიკვდილის მიზეზი იყო და რაც უშუალოდ გამოიწვია ა. ხ-ის მიერ მისთვის სახეში ხელის დარტყმამ.

5. ამავე დროს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: სააპელაციო სასამართლოს განაჩენი იმ

დასკვნის გამოტანისას, რომლის მიხედვით, ჯ. ტ-ის ქალა-ტვი-  
ნის მარჯვენა მხარის დახურული ტრავმა სისხლჩაქცევით უშუ-  
ალოდ ა. ხ-ის მიერ მისთვის სახეში ხელის დარტყმამ გამოიწვია,  
ეყრდნობა ექსპერტ მ. ჭ-ის მიერ გამოთქმულ ვარაუდებს, მაგ-  
რამ სასამართლო რატომღაც ყურადღებას არ აქცევს გარდაც-  
ვლილ ჯ. ტ-ის გვამზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო  
ექსპერტიზების დასკვნებში მოცემულ ობიექტურ მონაცემებს,  
რომელთა მიხედვით, გარდაცვლილს მარჯვენა მხარეს არა მხო-  
ლოდ ქალა-ტვინის დახურული ტრავმა აქვს მიღებული, არამედ  
ასევე: გულ-26მკერდის დახურული ტრავმა; რბილი ქსოვილების  
დაჟეჟილობა; მარჯვენამხრივი ტრავმული პნევმოთორაქსი  
(ფილტვის მძიმე დაზიანება), რომელიც მიეკუთვნება სიცოცხლი-  
სათვის სახიფათო მძიმე დაზიანების ხარისხს. როგორ და საიდან  
გაჩნდა ეს დაზიანებები – ამ საკითხზე არც ერთ სასამართლოს  
არ აქვს ნამსჯელი, კერძოდ, სახეში ხელის დარტყმით როგორ  
შეიძლება აღნიშნული დაზიანებები განვითარებულიყო.

6. გარდა ამისა, სასამართლოს არ უმსჯელია იმის თაობაზეც,  
თუ სახის რომელ ნაწილში, რომელ მხარეს დაარტყა ხელი ა. ხ-  
მა, ამასთან, მუშტი დაარტყა თუ გაშლილი ხელი. თვითონ მსჯავ-  
რდებული ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მან ჯ. ტ-ეს სახეში გაშ-  
ლილი ხელი დაარტყა, რასაც ადასტურებს სასამართლო-სამე-  
დიცინო ექსპერტიზით დადგენილი მონაცემები გარდაცვლილის  
სახის მარცხენა მხარეს არსებული დაზიანებების შესახებ, კერ-  
ძოდ, როგორცაა მარცხენა თვალებუდისა და იმავე მხარეს, ქვე-  
მოთ, ტუჩებთან არსებული დაზიანება, ასევე მარცხენა ყვრი-  
მალს ქვემოთ, ცხვირის გასწვრივ არსებული დაზიანება ნაჭდე-  
ვების სახით. ვინაიდან დადგენილია, რომ ალ. ხ-მა ჯ. ტ-ეს მხო-  
ლოდ ერთხელ დაარტყა, ზემოაღნიშნული მრავლობითი დაზი-  
ანებები ადასტურებს გაშლილი ხელით მოქმედებას.

7. სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებში  
მითითებულია, რომ ჯ. ტ-ის სხეულის მარჯვენა მხარეს არსე-  
ბული მძიმე დაზიანებები მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგ-  
ნის მოქმედებით. მოწმეების – ბ. ნ-ისა და ვ. ო-ის პირდაპირი  
ჩვენებებით დგინდება, რომ ა. ხ-ის მიერ სახეში ხელის დარ-  
ტყმის შემდეგ ჯ. ტ-ე გადავარდა და თავით ხეს დაეჯახა, რის  
შემდეგაც მან გონება დაკარგა. მოწმეთა ამ ჩვენებებითა და  
სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში მოცე-  
მული მონაცემებით ჯ. ტ-ის სხეულზე არსებული დაზიანებე-  
ბის შესახებ, ასევე თვით მსჯავრდებულ ა. ხ-ის ჩვენებით დად-  
გენილია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კონფლიქტის დროს  
მსჯავრდებულმა ა. ხ-მა ჯ. ტ-ეს გაშლილი ხელი დაარტყა სახის

მარცხენა მხარეს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი, დარტყმის მიმართულების შესაბამისად, გადავარდა მარჯვენა მხარეს და ხეზე დაჯახების შედეგად მიიღო მარჯვენამხრივი გულმკერდის ღრუს დახურული ტრავმა და ქალა-ტვინის შიგა დახურული ტრავმა, რომლებიც წარმოადგენენ სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანებებს.

8. ამის შემდეგ განხილულ უნდა იქნეს საკითხი: ქმედების ჩადენისას ა. ხ-ი მოქმედებდა განზრახ, თუ განზრახვის გარეშე. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ქმედების ჩადენისას ა. ხ-ს არ გამოუყენებია სპეციალურად სხეულის დასაზიანებლად მომარჯვებული რაიმე მჭრელი, მჩხვლეტავი ან სხვა ისეთი მყარი საგანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანების მიყენება. რაც შეეხება ა. ხ-ის მიერ გაშლილი ხელის განზრახ დარტყმას ჯ. ტ-ისათვის სახეში, ძნელად სავარაუდებელია, რომ ეს განზრახვა შედეგის სახით მოიცავდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას. მსჯავრდებულსა და გარდაცვლილს შორის, ფიზიკური აგებულებისა და ძალის თვალსაზრისით, არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი სხვაობა მის სასარგებლოდ, რაც სათანადო საფუძველს მოგვცემდა გვევარაუდა, რომ ქმედების ჩადენისას ა. ხ-ი შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა, ანდა თუნდაც მას ინტელექტუალურად შეცნობილი ჰქონდა გაშლილი ხელის სახეში დარტყმით ისეთი შედეგის დადგომა, როგორცაა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანება ქალა-ტვინის დახურული ტრავმისა და სისხლჩაქცევის სახით, რადგან ასეთი დასკვნისათვის საქმეში უტყუარი მტკიცებულებები არ მოიპოვება. მსჯავრდებულის დარტყმის ძალა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იმისათვის, რომ ჯ. ტ-ს ნონასნორობა დაეკარგა და გადავარდნილიყო ხის მიმართულებით, ამასთან, სახის მარცხენა მხარეს მიეღო გარეგანი დაზიანებები ნაჭდევების სახით – მარცხენა თვალებუდის არეში, მარცხენა ყვრიმალს ქვემოთ და ტუჩების მარცხენა მხარეს. ამდენად, მძიმე დაზიანება – ქალა-ტვინის დახურული ტრავმისა და სისხლჩაქცევის სახით – რომელმაც საბოლოოდ დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, უნდა განვიხილოთ როგორც ხეზე დაჯახების შედეგი, რაც, თავის მხრივ, მიზეზობრივ კავშირშია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. საქმეში არ არსებობს რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომ ქმედების ჩადენისას ა. ხ-ი ითვალისწინებდა ხსენებული მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რისი დამადასტურებელი მტკიცებუ-

ლება განაჩენშიც არ არის მითითებული. ამიტომ ინ დუბიო პრო რეო – ს პრინციპის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იმის ვარაუდი, რომ მსჯავრდებულ ა. ხ-ს მოსალოდნელი შედეგის მიმართ შეიძლება ჰქონოდა განზრახი ან თვითიმედოვნებითი დამოკიდებულება, უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ, რადგან გასაჩივრებულ განაჩენში ასეთ ვარაუდს არ გააჩნია დასაბუთებული საფუძველი.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხი: იმ ვითარებასა და პირობებში, რომელთა არსებობისას ა. ხ-ი ახორციელებდა თავის ქმედებას, იყო თუ არა შესაძლებელი, გაეთვალისწინებინა იმ მძიმე შედეგის დადგომა, რაც საბოლოოდ მოჰყვა ამ ქმედებას ჯ. ტ-ის სიკვდილის სახით. მომხდარი შემთხვევის გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, საშუალო დონის ადამიანსაც კი შეეძლო გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი და წარმოედგინა მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის განვითარების ისეთი ვარიანტი, რაც რეალურად მოხდა. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანისათვის სახეში ხელის ძლიერმა დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაცემა, რის შედეგადაც შესაძლოა, მან მიიღოს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, მათ შორის სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება და სიკვდილიც დადგეს, არსებულ ვითარებაში ა. ხ-ისათვის სავსებით შესაძლებელი იყო, ვინაიდან ისინი არ იმყოფებოდნენ ისეთ უსაფრთხო ადგილზე, სადაც გამორიცხული იქნებოდა მსგავსი შედეგის დადგომა. ქმედების ჩადენის მომენტში ა. ხ-მა არ გამოიჩინა ელემენტარული წინდახედულება იმასთან მიმართებით, რომ სავსებით შესაძლებელი იყო ჯ. ტ-ე სუფრაზე ან სუფრის გარშემო არსებულ ხის ჯირკვებზე დაცემულიყო და თავი დაერტყა, ანდა ახლოს მდგარ ხეს დასჯახებოდა, როგორც მოხდა კიდევ, და რაც დადასტურებულია თვითმხილველი მონმეების პირდაპირი ჩვენებებით.

10. ამრიგად, სარწმუნოდ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ა. ხ-ის ქმედების სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს, კერძოდ: მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში ა. ხ-მა ჩაიდინა დაუდევრობით.

11. აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს ა. ხ-ის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მისი ჩადენის გარემოებებს, აგრეთვე თვით მსჯავრდებულის პიროვნებას, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ინკრიმინირებული ქმედების ჩადენისას მის მიმართ უკვე მიმდინარეობდა სისხლისსამართალწარმოება მანამდე ჩადენილ, განზრახ ძალადობრივ დანაშაულზე, რის შესახებაც არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი. მოცემული პირობებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. ხ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საკმარისი იქნება მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სასჯელის გამოყენების პრევენციული მიზნების მიღწევისათვის.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ ა. ხ-ის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. ხ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის განაჩენი შეიცვალოს:

3. ა. ხ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ა. ხ-ს განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

### ოჯახში ძალადობა

#### განაჩენი

#### საქართველოს სასჯელით

№456აპ-16

9 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ  
მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის  
განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ გ. ჩ-ას, ნასა-  
მართლევს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწი-  
ლითა და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა და-  
ნაშაულის შესახებ ცრუ დასმენა, ოჯახში ძალადობა, ე.ი. ოჯა-  
ხის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამო-  
იწვია ფიზიკური ტკივილი, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს  
სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული  
შედეგი (2 ეპიზოდი) და რაც გამოიხატა შემდეგში:

- 2016 წლის 14 მარტს, დაახლოებით 22.51 საათზე, გ. ჩ-ა თა-  
ვის საცხოვრებელ სახლში, ზ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში, დაუ-  
კავშირდა 112-ის ოპერატორს და განზრახ გადასცა ცრუ შეტ-  
ყობინება ქურდობის შესახებ, თითქოსდა მას მოჰპარეს 200  
კგ თხილი.
- 2016 წლის 17 მარტს ზ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში გ. ჩ-ამ ურ-  
თიერთშელაპარაკების ნიადაგზე რამდენჯერმე დაარტყა  
ხელი სხეულის სხვადასხვა ადგილას ოჯახის წევრებს: დე-  
დას – ი. ბ-ას და დას – ც. ხ-ას, რის გამოც მათ განიცადეს  
ფიზიკური ტკივილი.
- 2016 წლის 24 მარტს ზ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში გ. ჩ-ამ ურ-  
თიერთშელაპარაკების ნიადაგზე ოჯახის წევრს – ი. ბ-ას მო-



ქაჩა თმა და წიხლი ჩაარტყა ფეხში, რა დროსაც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენით გ. ჩ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2016 წლის 16 მარტის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2016 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით გ. ჩ-ას საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რომლის მოხდა დაენციო 2016 წლის 25 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა მათა ჯაბუამ. მან ითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენის გაუქმება, გ. ჩ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სასჯელის ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენი შეიცვალა: გ. ჩ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2016 წლის 17 მარტის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2016 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით გ. ჩ-ას საბოლოოდ მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2016 წლის 25 მარტიდან.

4. კასატორი – ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი მათა ჯაბუა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გ. ჩ-ა არის 6-ჯერ ნასამართლვეი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, ამიტომ საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. სასამართლოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გ. ჩ-ასათვის უნდა განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, სასამარ-

თლომ არასწორად გადააკვალიფიცირა მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რადგან ბრალის დისპოზიციაში, სადაც არ წერია „ორი ან მეტი პირი“, არ იყო კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი მათა ჯაბუა ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განაჩენის გაუქმებას, გ. ჩ-ას დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეუბნქტით და სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით მისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა გ. ჩ-ას ბრალდების საქმის მასალები, შეამოწმა პროკურორის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის საუარესოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ. ჩ-ას ნამდვილად აქვს ბრალეულად ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ის მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებშიც მას ჯერ კიდევ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდების სახით წარედგინა. მის მიერ აღნიშნული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მოპოვებულია კანონიერი გზით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით მსჯავრდებულ გ. ჩ-ას საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ უარყვია მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.

3. 2016 წლის 26 მარტის დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ გ. ჩ-ას ბრალად წარედგინა დანაშაულის შემდეგი სამი ეპიზოდი შესაბამისი კვალიფიკაციით: 2016 წლის 14 მარტს, დაახლოებით 22:51 საათზე, ზ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში, თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას, გ. ჩ-ა ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის ადმინისტრაციის ოპერატორს და განზრახ გააკეთა ცრუ შეტყობინება ქურდობის შესახებ, რომ თითქოსდა მას მოჰპარეს 200 კგ თხილი, რითაც ჩადინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით; გარდა ამისა, გ. ჩ-ას ბრალად წარედგინა, რომ მან 2016 წლის 17 მარტს

ზ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ოჯახის წევრებს, დედას – ი. ბ-ას და დას – ც. ხ-ას რამდენჯერმე დაარტყა ხელი სხეულის სხვადასხვა ადგილას, რის შედეგადაც მათ განიცადეს ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ესე იგი, ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; მანვე 2016 წლის 24 მარტს იმავე მისამართზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ოჯახის წევრს, დედას – ი. ბ-ას მოქაჩა თმაზე და წიხლი ჩაარტყა ფეხზე, რის გამოც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები, ამით ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. გ. ჩ-ას ბრალდების საქმის განხილვის შემდეგ, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავიანთ განაჩენებში შეცვალეს მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია ბრალის ერთ ეპიზოდში, კერძოდ, მხედველობაშია ბრალდებულის მიერ თავისი ოჯახის ორი წევრის – დედისა და დის მიმართ 2016 წლის 17 მარტს ჩადენილი ძალადობა. იმის გამო, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით არ იყო მითითებული ბრალდებულის მიერ ამ ქმედების ორი პირის მიმართ ჩადენის შესახებ, სასამართლოებმა მიიჩნიეს: ხსენებული საბრალდებო დოკუმენტით გ. ჩ-ას ფაქტობრივად ბრალი არ ჰქონდა წარდგენილი ოჯახში ძალადობის მაკვალიფიცირებელ გარემოებაში ანუ ორი პირის მიმართ ჩადენაში და, აქედან გამომდინარე, ამ ეპიზოდში გ. ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირეს იმავე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის საფუძველზეც განესაზღვრა მას სასჯელის ზომა.

5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დაფუძნებულია შემდეგ მსჯელობაზე: პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში 2016 წლის 17 მარტის ეპიზოდთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ გ. ჩ-ამ თავისი ქმედება (ოჯახში ძალადობა) ჩაიდინა ორი პირის, დედის – ი. ბ-ასა და დის – ც. ხ-ას მიმართ, ხოლო ბრალდების ფორმულირებაში ანუ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ შეფასებაში არ მიუთითა აღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე და მხოლოდ ამ ქმედების კვალიფიკაციაზე – საქართველოს

სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით დაკმაყოფილდა. მოსამართლის აზრით, ვინაიდან სისხლის-სამართლებრივ დევნას ახორციელებს მხოლოდ პროკურორი, ხოლო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ მართლმსაჯულება განახორციელოს, სასამართლოს არ შეუძლია პირის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასებისას გასცდეს მისთვის ბრალად შერაცხული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს. შესაბამისად, დაუშვებელია იმაზე უფრო მძიმე კვალიფიკაციით პირის მსჯავრდება, ვიდრე მას ბრალად ჰქონდა წარდგენილი, თუნდაც აშკარა იყოს მისი ჩადენა. ამიტომ აღნიშნულ ეპიზოდში გ. ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, ისე, როგორც ბრალდების დადგენილებაში ინკრიმინირებული ქმედების სამართლებრივი შეფასებაა მოცემული. სააპელაციო სასამართლო დასაბუთებისას იშველიებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს პირის ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსთან დაკავშირებით, რომლებიც, მოსამართლის აზრით, ბრალდების მხარემ დაარღვია.

6. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენში წარმოდგენილ ასეთ პოზიციას და მის დასაბუთებას, კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების სავალდებულო რეკვიზიტებს, არ არის მითითებული ბრალდების ამ დოკუმენტში სამართლებრივი შეფასების სახით შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმამში მოცემული დისპოზიციის შინაარსის გადმოცემის ვალდებულებაზე და ამ უკანასკნელზე, როგორც სავალდებულო რეკვიზიტზე. ამ საპროცესო ნორმის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ხსენებულ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და იარაღი, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი. რაც შეეხება იმავე საპროცესო ნორმის „დ“ ქვეპუნქტს, მასში ნათქვამია, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაული. ამ მიმართებით რაიმე სხვა მოთხოვნას სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილი ბრალდების მხარეს არ უყენებს.

7. საკასაციო პალატის აზრით, საპროცესო კანონით დადგე-

ნილი ყველა სავალდებულო მოთხოვნა ბრალდების მხარეს შესრულებული აქვს. მართალია, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებში, ასევე მათ შესაბამისად გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში, გარდა ზემოაღნიშნული რეკვიზიტებისა, მითითებულია ასევე შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაზეც, მაგრამ ასეთი მითითება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკითაა დამკვიდრებული, თუმცა ის არც ამჟამად წარმოადგენს და არც წინათ წარმოადგენდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნას. რა თქმა უნდა, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების აღწერასა და ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად საბრალდებო დოკუმენტსა თუ გამამტყუნებელ განაჩენში შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციის შინაარსიცაა წარმოდგენილი, ეს უფრო მეტ სისრულესა და სრულყოფილებას ანიჭებს პირის მიმართ წარდგენილ ან შერაცხულ ბრალს, მაგრამ მისი არარსებობა არ შეიძლება გახდეს ბრალისა და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი, ამიტომ სასამართლოს მიერ 2016 წლის 17 მარტის ეპიზოდში მსჯავრდებულ გ. ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირება არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. ჩ-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და ის უნდა შეფასდეს, როგორც ოჯახში ძალადობა მაკვალიფიცირებელ გარემოებაში – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ორი პირის მიმართ. ამ დანაშაულისათვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებული გარემოებების, აგრეთვე ჩადენილი ქმედებისა და მისი ჩამდენის პიროვნების მახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებითა და საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასჯელის დანიშვნის წესის შესაბამისად,

მსჯავრდებულ გ. ჩ-ას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ჩ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2016 წლის 17 მარტის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები და გ. ჩ-ას საბოლოოდ განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ**

**ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის –  
წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის  
გაუპატიურება**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№466აპ-16

18 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. კ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით ა.ს-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 11<sup>1</sup>, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმას, რომ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ჩადენილი არაერთგზის, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრთან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებელი ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი. ა. ს-ის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:



- გაუპატიურებისთვის ნასამართლევა ა. ს-მა 2013 წლის გაზაფხულზე, ზუსტი თარიღი უცნობია, ქ. ქ-ში, რ-ის გ-ის №-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ძალადობის გამოყენებით სქესობრივი კავშირი დაამყარა თოთხმეტ წელს მიუღწეველ დისშვილთან – თ. ლ-თან. აღნიშნულის შემდეგ დაემუქრა მოკვლით არასრულწლოვან დაზარალებულს და პერიოდულად, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ამყარებდა მასთან სქესობრივ კონტაქტს, კერძოდ: 2013 წლის გაზაფხულზე ა. ს-მა სქესობრივი კავშირი დაამყარა თ. ლ-თან ქ. ქ-ში, ა-ის გ-ზე მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში. ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა თ-ის რესპუბლიკაშიც, ხოლო მოგვიანებით – ქ. ს-ში, ჭ-ას ქუჩა №-ში, თ. ლ-ის დროებით საცხოვრებელ სახლში. ა. ს-მა არასრულწლოვან თ. ლ-თან ძალადობის მუქარით სქესობრივი კავშირი ბოლოს დაამყარა 2015 წლის 25 იანვარს ქ. ს-აში, ჭ-ას ქუჩა №-ში.
- ა. ს-მა 2013 წლის გაზაფხულზე, ზუსტი თარიღი უცნობია, ქ. ქ-ში, რ-ის გ-ის №-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ძალადობითა და ძალადობის მუქარით ოთხი დღის განმავლობაში თოთხმეტ წელს მიუღწეველ დისშვილ თ. ლ-თან გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სექსუალური კონტაქტი. იგივე გაიმეორა 2014 წლის დეკემბერში, კერძოდ, ქ. ს-ში, ჭ-ას ქუჩის №-ში, არასრულწლოვან თ. ლ-თან ორჯერ გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სექსუალური კონტაქტი.
  2. აღნიშნული ქმედებისათვის ა. ს-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 11<sup>1</sup>, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ასევე – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა მეორე და ა. ს-ს განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს დავმატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 2000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ა. ს-ს საჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი. მას სასჯელის მოხდა აეთვალა 2015 წლის 28 იანვრიდან.
  3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენით ქუთაისის სა-



ქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორები – მსჯავრდებული ა. ს-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. კ-ა საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სასამართლო მხოლოდ არასრულწლოვნების – თ. ლ-ისა და ლ. ძ-ის ჩვენებებს დაეყრდნო, რომ თითქოს ა. ს-ი 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით იძულებითა და მუქარით ამყარებდა სქესობრივ კავშირს თ. ლ-თან. აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს და გამონვეულია იმით, რომ ა. ს-ი თ. ლ-ს უკრძალავდა გამომწვევად ჩაცმას, არ უშვებდა ს-ის პარკში, სადაც საეჭვო რეპუტაციის გოგონები იკრიბებოდნენ. მან ასევე არაერთხელ ნახა თ. ლ-ის ტელეფონში სხვადასხვა უხამსი სიტყვების შემცველი საეჭვო შეტყობინებები, რის გამოც სცემა კიდეც და აქედან დაიწყო თ. ლ-ის მისდამი სიძულვილი. ერთხელ ისიც უთხრა – „დაგიჭერო“ და შეუსრულა კიდეც. თუ მას ამ ხნის განმავლობაში მასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, ერთხელ მაინც რატომ არ უთხრა დედამისს ან მამინაცვალს, როცა იგი მათთან იყო თ-ის რესპუბლიკაში, ან რატომ არ უთხრა ამის შესახებ მამამისსა და მამიდებს მათთან თვე-ნახევრის განმავლობაში ყოფნისას, ან რატომ არ განუცხადა სამართალდამცავ ორგანოებს. რაც შეეხება ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმად, თ. ლ-ის სვიტერზე ა. ს-ის სპერმის კვალია აღმოჩენილი, ეს აიხსნება იმით, რომ ა. ს-თან ა-დან ჩამოსული იყო მისი მეუღლე – ა. ა-ა, რომელთანაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც ა. ა-ამ თავი მოინესრიგა (გაინმინდა) იქვე არსებული სვიტერით.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენის გაუქმებასა და ა. ს-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ კასატორების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სექსუალური ძალადობა, უდავოდ, საზარელი ტიპის დანაშაულია, რომელსაც დამანგრეველი ეფექტი აქვს მსხვერპლზე. ბავშვებსა და სხვა დაუცველ პირებს უფლება აქვთ, სახელმწიფოს მიერ იყვნენ დაცულნი, რომ მათი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში ასეთი უხეში ტიპის ჩარევა

ეფექტიანად იყოს აღკვეთილი<sup>1</sup>.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ მითითებას და უკვე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დამნაშავის გამოვლენასა და მისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებას, ხოლო დანაშაულის მსხვერპლის მიმართ – სათანადო მორალური/ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენას. საკასაციო პალატა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე არასრულწლოვან დაზარალებულ თ. ლ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს და საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

4. რაც შეეხება ა. ს-ის მსჯავრდების კანონიერებას, იმის გათვალისწინებით, რომ სქესობრივი დანაშაულები, როგორც წესი, არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით, რაც ლოგიკურია მისი ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ჩვენებას, მის თანმიმდევრულობასა და შესაბამისობას საქმეზე დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტითაა დადასტურებული ა. ს-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი), კერძოდ:

6. არასრულწლოვანი დაზარალებულის – თ. ლ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მისი ბიძა (-ის ძმა) ა. ს-ი მრავალი წლის მანძილზე სასჯელს იხდიდა მკვლელობისათვის და იგი მას თითქმის არ იცნობდა. როცა სასჯელის მოხდა დაასრულა, ბიძა მათთან გადავიდა საცხოვრებლად. დედამ მ. ს-მა წაიყვანა თ-ში,

---

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Gardel v. France, №16428/05.

სადაც ცხოვრობდნენ რვა თვის განმავლობაში და საქართველოში დაბრუნდნენ 2012 წელს. თ-დან დაბრუნების შემდეგ ბინა იქირავეს ქ.ქ-ში, რ-ის ქუჩაზე მდებარე კერძო საცხოვრებელ სახლში, სადაც პირველ სართულზე ცხოვრობდნენ თვითონ, ბებია, ძმა და ბიძა – ა. ს-ი, ხოლო მეორე სართულზე – სახლის მეპატრონე – ხანდაზმული, მარტოხელა ქალბატონი. 2012 წლის გაზაფხულზე ბებიას – ნ. ს-ს შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და საჭირო გახდა მისი საავადმყოფოში მოთავსება. ბებია დაანვინეს საავადმყოფოში, ხოლო სახლში მარტო დარჩნენ თვითონ, მისი მცირეწლოვანი ძმა – რ. ლ-ი და ბიძა – ა. ს-ი. ერთ საღამოს, როცა სააბაზანოდან ხალათით გამოვიდა, ბიძამ შესთავაზა ეთამამათ კარტი, რაზედაც ის სიამოვნებით დათანხმდა. კარტის თამაშის დროს ბიძამ უთხრა, რომ ხალათი გადაენია და ფეხი გამოეჩინა, რაზეც თ. ლ-მა უარი უთხრა. ამის შემდეგ ბიძამ თვითონ გადაუწია ხალათი და დაახლოებით 5-10 წუთის განმავლობაში ხელს უსვამდა მუხლის ზემო არეში, ხოლო შემდეგ დასაძინებლად გაუშვა. 2012 წლის გაზაფხულის პერიოდში, ზუსტი თარიღი არ ახსოვს, ქ. ქ-ში რ-ის ქუჩაზე მდებარე მათ დროებით საცხოვრებელ ბინაში იმყოფებოდნენ ის და ა. ს-ი, იგი თავის საძინებელ ოთახში შევიდა, რათა ტანსაცმელი გამოეცვლა. ამ დროს კარი შეუღო ბიძამისმა. ვინაიდან შარვალი გახდილი ჰქონდა, დაიმორცხვა და შარვალი ტანზე მიიფარა, თან ბიძას უთხრა, რომ გასულიყო ოთახიდან, რასაც ს-მა ყური არ ათხოვა, მიუახლოვდა, ხელები მხრებზე მოჰკიდა და სანოლზე ძალით დაანვინა, სრულად გააშიშვლა, თვითონაც ჩაიძრო შარვალი და ტრუსი, დაანვა ზემოდან, ძალის გამოყენებით გადაუწია ფეხები და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. აქტის დროს მან სასქესო ორგანოს არეში იგრძნო ძლიერი ტკივილი, რის გამოც ინსტინქტურად ხელი ჰკრა ა. ს-ს და გადააგდო. თვითონ კი წამოხტა, შევარდა სააბაზანოში და დაიწყო ტირილი. ამ დროს მას კარი შეუღო ბიძამ და უთხრა, რომ ხმა არ ამოეღო, არავისთვის არაფერი ეთქვა, თორემ ყელს გამოსჭრიდა. აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე დღეში ოჯახი გადასვლას აპირებდა სხვა ბინაში, კერძოდ, ქ.ქ-ში, ა-ის გამზირზე მდებარე საერთო საცხოვრებლის მე-9 სართულზე. ა.ს-მა უთხრა, რომ ბინა უნდა დაელაგებინათ. ბინაში ასულს მასთან, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ბიძამისმა კვლავ დაამყარა სქესობრივი კავშირი. მეორე დღეს გამოიყვანეს საავადმყოფოდან ბებია – ნ. ს-ი და რამდენიმე დღეში გაემგზავრნენ თ-ში დედასთან: თვითონ, ბებია, ბიძა და ძმა. თ-ში ყოფნის პერიოდში თითქმის ყოველდღე ამყარებდა ბიძამის მასთან სქესობრივ კავშირს, გარ-

და ხუთშაბათი დღისა, რადგან ხუთშაბათს დედა არ მუშაობდა, სახლში იყო მათთან ერთად და ა.ს-ი შიშობდა, არაფერი შეეცყო. სქესობრივი კავშირის დროს რამდენჯერმე სცადა ეყვირა, მაგრამ ბიძამ გაარტყა სახეში, რა დროსაც სისხლი წასკდა ცხვირიდან. მოგვიანებით, თ-დან დაბრუნების შემდეგ, მის ოჯახს დედამ სახლი უქირავა ს-ში, სადაც ცხოვრობდა ბებიასთან – ნ. ს-თან, ძმასთან – რ. ლ-თან და ბიძასთან – ა. ს-თან ერთად. სწავლობდა ქ.ს-ის № საჯარო სკოლაში. რამდენიმე თვის შემდეგ, უკვე 2014 წლის გაზაფხულზე, როდესაც სკოლიდან ბრუნდებოდა, დაინახა, რომ მათი სახლის ჭიშკართან იდგა ბიძამისი, რომელიც თ-ის რესპუბლიკიდან ჩამოსულიყო. ის მიესალმა ბიძას და სახლში შევიდა. იმ ღამით მათ შორის არაფერი მომხდარა, ხოლო მეორე დღეს უთხრა, რომ ძალიან ენატრებოდა, მასთან ყოფნა უნდოდა და როდესაც ძმას და ბებიას ეძინათ, მასთან ამყარებდა სქესობრივ კავშირს, რაც დაზარალებულს ზიზღს გვრიდა, ცდილობდა თავის დალწევას ხან კბენით, ხან დაკანვრით, მაგრამ ბიძა ამის საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ, როდესაც სახლში იყვნენ და ბებიას და ძმას ეძინათ, მიიყვანა მაგიდასთან, აუნია კაბა და დაიწყო სქესობრივი აქტის დამყარება. ამ დროს თავის დალწევის მიზნით ხელი ჰკრა იქვე, მაგიდაზე მდგარ ჭიქას, რომელიც გადავარდა და იატაკზე დაიმსხვრა, ხმაურზე გამოეღვიძა ბებიას – ნ. ს-ს და დაუძახა, თუ რა ხდებოდა, რაზედაც ა. ს-მა უპასუხა „არაფერია, თ-ს ჭიქა გაუტყდა, დაიძინე“. ყოველი აქტის დროს აფრთხილებდა და ემუქრებოდა, რომ თუ ვინმეს ამის შესახებ გაუმჟღავნებდა, მასაც და იმ ადამიანსაც ყელს გამოსჭრიდა. დაზარალებულის განმარტებით, ბიძა მასზე სისტემატურად ძალადობდა 2015 წლის 25 იანვრის ჩათვლით, სწორედ 25 იანვარს ჰქონდა ა. ს-ს ბოლოს სქესობრივი კავშირი მასთან ქ.ს-ში, მათ დროებით საცხოვრებელ სახლში. ის უკანა მხრიდან მიუდგა დაზარალებულს, თუმცა ჩვეულებრივი გზით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, ხოლო აქტის დასასრულს სასქესო ორგანო გამოიღო და სპერმა დაღვარა გარეთ (მონმის განმარტებით, ა. ს-ი ყოველთვის ასე იქცეოდა, ვინაიდან ემინოდა, რომ არ დაფეხმძიმებულებოდა, ან ხმარობდა პრეზერვატივს). აღნიშნულის თაობაზე თ. ლ-მა გაუმჟღავნა მეგობარს და თანაკლასელს – ლ. ძ-ს, რომელიც გააფრთხილა არავისთვის ეთქვა, თუმცა ლ. ძ-მა ამის შესახებ უთხრა თავის ბებიას, რომელიც მივიდა თ. ლ-თან და ურჩია, ეს ამბავი ან დედისთვის ეთქვა ან მამასთან წასულიყო ბ-ში, რაზედაც თ. ლ-მა უპასუხა, რომ ემინოდა ბიძას არ მოეკლა. თუმცა, ლ-ს ბებიამ დაარწმუნა, სკოლის მანდატურებისათვის მოეთ-

ხრო მომხდარის შესახებ, რადგან ეს სასტიკი დანაშაული იყო და ამის დამალვა არ შეიძლებოდა. მან მომხდარი ფაქტი აცნობა სკოლის მანდატურებს – ი-ას და ვ-ას, რომლებმაც მაშინვე აცნობეს სკოლის დირექტორსა და კლასის დამრიგებელს, მათ კი, თავის მხრივ, გამოიძახეს პოლიცია. პოლიციამ იმავე დღეს დააკავა ა. ს-ი. მოწმის განმარტებით, ბიძა უშლიდა მეგობრებთან ურთიერთობას, მოკლე კაბის ჩაცმას და გაპრანჭვას. ჩამოაშორა თავყვანისმცემელი და თუკი ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, აიძულებდა ჩამოშორებოდა, ვინაიდან ემინოდა, რომ ვინმესთან არ წამოსცდენოდა მისი ქმედებების შესახებ.

7. არასრულწლოვანი მოწმის – ლ. ძ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წელს, სასწავლო წლის მიწურულს, მათ სკოლაში გადავიდა თ. ლ-ი. ისინი ერთ ჯგუფში სწავლობდნენ, თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, დამეგობრდნენ, ჰქონდათ მიმოსვლა და არც რაიმეს უმაღლავდნენ ერთმანეთს. ვინაიდან ერთმანეთს სახლშიც სტუმრობდნენ, კარგად იცნობდა თ. ოჯახის წევრებსაც, მათ შორის ბიძას – ა. ს-ს. ატყობდა, რომ თ. სასტიკად სძულდა ბიძა. ჰკითხა კიდეც ამის მიზეზი, რაზეც თ. მოუყვა, როგორ ძალადობდა მასზე ა. ს-ი. ერთხელ, თ. ლ-თან სახლში სტუმრად ყოფნისას, ნახა, რომ ა. ს-ი ტელევიზორით უხამს ფილმებს უყურებდა. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ა. ს-მა მას ჰკითხა, მამაკაცის ასო თუ ჰქონდა ნანახი, რაზედაც უარყოფითი პასუხი გასცა და გაეცალა. ბიძამისი თ-ს არსად არ უშვებდა, არავისთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდა. მანვე განმარტა, რომ თ-ს ჰყავდა შეყვარებული, ეს ორმხრივი სიყვარული იყო და როცა ამის შესახებ ბიძამისმა გაიგო, შეხვდა იმ ბიჭს და ჩამოაცილა თ-ს. როცა თ. ლ-მა მოუყვა მის მიმართ ჩადენილი ქმედებების შესახებ, სთხოვა, რომ არავისთვის ეთქვა, რადგან ბიძამისი მოკვლით ემუქრებოდა და აუცილებლად აასრულებდა მუქარას. მოწმემ განმარტა, რომ ბოლო დროს თ. შეიცვალა, უფრო გულჩათხრობილი გახდა, უკონტაქტო, უნდოდა მარტოობა, მასთანაც კი დისტანციურ ურთიერთობას იჭერდა, დათრგუნვილი იყო. სწორედ აღნიშნულის გამო გადანყვიტა მომხდარი ბებიისთვის – ლ. გ-ისთვის მოეყოლა.

8. მოწმე ლ. გ-მა დაადასტურა ლ. ძ-ის მონათხრობი და განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შვილიშვილისგან შეიტყო აღნიშნული ამბავი, მივიდა თ. ლ-თან და დაარიგა, რომ ეს ყველაფერი მოეთხრო სკოლის მანდატურებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ განაცხადებდა პოლიციაში.

9. მოწმე ი. გ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ქ. ...-ის

№1 საჯარო სკოლაში მანდატურად. არ იცნობს ბრალდებულ ა. ს-ს, ხოლო დაზარალებული თ. იგივე თ. ლ-ი, არის მათი სკოლის მოსწავლე, რომელსაც კარგად იცნობს, დაახასიათა დადებითად და მომხდარი ფაქტის ირგვლივ განმარტა, რომ 2015 წლის 27 იანვარს სკოლაში მე-3 გაკვეთილის დასრულების შემდეგ, როცა ის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა (ახორციელებდა სკოლის შემოვლას) ნახა, რომ თ. ლ-ი ტიროდა და ისტერიულად გაიძახოდა: „ეს რომ ვინმემ გაიგოს, თავს მოვიკლავო“. იგი დაინტერესდა, თუ რა ხდებოდა, თ. ლ-ი ნაიყვანა თავის სამუშაო ოთახში, ტელეფონით შეატყობინა მეწყვილე ვ. ყ-ს, რომ სკოლის მოსწავლე თ. ლ-ი იყო ანერვიულებული და სთხოვა, მისულებო. როცა გამოკითხეს თ. ლ-ს, თუ რაში იყო საქმე, მან უპასუხა, რომ ბიძა მასზე ძალადობდა. თავიდან ეგონათ, რომ ძალადობაში ბავშვი ცემას გულისხმობდა, მაგრამ შემდეგ თ-მ მათ მოუყვა, რომ 2012 წლიდან ბიძა მას აუპატიურებდა სისტემატურად, როგორც ქ-ში, ასევე ს-აში. მონაცემთა იხილი შეძრა, თავიდან არასარწმუნოდ მიიჩნიეს თ. ლ-ის ნაამბობი. გააფრთხილეს კიდევ, რომ ეს მძიმე დანაშაულში ბრალდება იყო და ტყუილი არ ეთქვა, თუმცა თ. დაბეჯითებით და დაწვრილებით უყვებოდა მათ ბიძის მიერ განხორციელებული სქესობრივი ძალადობის დეტალებს. თ. ლ-ი მათ სთხოვდა, რომ არავისთვის ეთქვათ, პოლიცია არ გამოეძახებინათ, რადგან ბიძამისს რომ გაეგო, მოკლავდა, ყელს გამოსჭრიდა. მაშინვე აცნობეს აღნიშნულის შესახებ სკოლის დირექტორსა და დამრიგებელს, ხოლო ამის შემდეგ გამოიძახეს პოლიცია.

10. ანალოგიური ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე ვ. ყ-მაც.

11. მოწმე ი. ხ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ქ.ს-ის №1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლად. იყო თ. ლ-ის კლასის დამრიგებელი. იცნობს ა. ს-ს, როგორც თ. ლ-ის ბიძას. თ. ცოტა ემოციური, კონფლიქტური გოგონა იყო და იოლად ვერ დაუახლოვდა თანაკლასელებს სკოლაში გადმოსვლისას. თუმცა მისი, როგორც კლასის ხელმძღვანელის, ძალისხმევით თ. შეიცვალა, უფრო კომუნიკაბელური და დამჯერი გახდა. სულ ატყობდა, რომ გოგონას რაღაც შინაგანად ანუხებდა, რასაც არ ამბობდა. მომხდარი ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა 2015 წლის 27 იანვარს, როცა მანდატურებს მოუყვა თ. თავისი პრობლემის შესახებ, კერძოდ კი იმას, რომ ა. ს-ი სისტემატურად ახორციელებდა მასზე სქესობრივ ძალადობას, აუპატიურებდა და ემუქრებოდა, თუკი აღნიშნულის თაობაზე ვინმესთან გაამხელდა, ყელს გამოსჭრიდა.

12. ანალოგიურ ჩვენება მისცა ქ.ს-ის № საჯარო სკოლის დირექტორმა ხ. ფ-ემ.

13. მოწმე ნ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ დაზარალებული თ. (-) ლ-ი არის მისი შვილიშვილი (ქალიშვილის შვილი) ხოლო ბრალდებული ა. ს-ი – შვილი. თვითონ, მისი შვილიშვილები – თ. და რ. ლ-ი, ასევე მისი შვილი ა. ს-ი ცხოვრობდნენ ერთად დაახლოებით 3-4 წლის მანძილზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი შეუნიშნავს, რაც თ. ლ-ის მიმართ ა. ს-ის სექსუალურ ძალადობაზე მიანიშნებდა. მხოლოდ ხედავდა, რომ თ. და მისი ვაჟი ა. ძალიან ხშირად ჩხუბობდნენ, არ ჰქონდათ კარგი დამოკიდებულება, თუმცა მიზეზი არ იცოდა და არც უეჭვია. ერთხელ ახსოვს, რომ, როცა ეძინა, გამოაღვიძა ჭიქის მსხვრევის ხმამ, დაიძახა კიდეც, თუ რა ხდებოდა, რას ამტვრევდნენ, რაზედაც მისმა შვილმა უპასუხა, „არაფერია, დაიძინე, თ-ს ჭიქა გაუტყდაო“. მისთვის აღნიშნული ფაქტის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც ა. ს-ი თ-იდან ს-აში დაბრუნდა. იმ დღეს ბრალდებული კარგ ხასიათზე იყო, დაურეკა თ-ს მობილურზე, რომელიც იმ დროს სკოლაში იყო. მის მობილურზე უპასუხეს, რომ თ. დირექტორთან იყო შესული. აღნიშნულზე ა. ანერვიულდა, თითქოს რაღაც საფრთხე იგრძნო და გარეთ გავარდა, უნდოდა თ-სთვის სკოლაში მიეკითხა. ამ დროს ეზოდან შემოესმა ყვირილის ხმა: „თუ რამეში დამნაშავე ვარ, დამიჭირეთ, აქ ვარ, არსად არ გავრბივარო“. როცა პოლიციამ მისი ვაჟი წაიყვანა, გაიგო, რომ ბრალი ედებოდა დისშვილის – თ. ლ-ის გაუპატიურებაში.

14. ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის 2015 წლის 26 მარტის №... დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თ. ლ-ის სვიტერისა და ქვედაბოლოს ზედაპირზე აღინიშნება მორუხო-მწვანე ფერის პოლიაკრილნიტრილის ბოჭკოები, რომლებსაც აქვთ საერთო გვარობრივი კუთვნილება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ა. ს-ის სვიტერის ძირითად ნართში შემავალ შესაბამის ბოჭკოებთან და მოშავო-მორუხო ფერის არათანაბრად შეღებილი ბამბის ბოჭკოები, რომლებსაც აქვთ საერთო გვარობრივი კუთვნილება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ა. ს-ის შარვლის ქსოვილის შემადგენელ ბოჭკოებთან. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ა. ს-ის შარვლისა და სვიტერის ზედაპირზე აღინიშნება მკვეთრი მწვანე პოლიაკრილნიტრილის ბოჭკოები, რომლებსაც აქვთ საერთო გვარობრივი კუთვნილება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თ. ლ-ის სვიტერის ძირითად ნართში შემავალ შესაბამის ბოჭკოებთან, ასევე აღინიშნება ვარდისფერი, მუქ მოიისფრო ფერში გადასული ვისკოზას ბოჭკოები, რომლებსაც



აქვთ საერთო გვარობრივი კუთვნილება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თ. ლ-ის ქვედაბოლოს ქსოვილის ნართის შემადგენელ ბოჭკოებთან.

15. ბიოლოგიური (გენეტიკურ-სეროლოგიური) ექსპერტიზის 2015 წლის 13 მარტის №... დაკვნის თანახმად დადგენილია, რომ – პაკეტი, წარწერით: „...თ. ლ-ის მიერ წარმოდგენილი მისი კუთვნილი ტანსაცმელი...“ მოთავსებულ მომწვანო ფერის ნაქსოვ კაბასა და ქვედაბოლოზე არსებული მოთეთრო-მონაცრისფრო ლაქები (ობ. №2,3,7), აღმოჩნდა სპერმა. ობ. №2-ის გენეტიკური პროფილი იდენტურია ა. ს-ის გენეტიკური პროფილის. ობ. №3,7-ის გენეტიკური პროფილები შერეული ტიპისაა და ეკუთვნის ორ პირს. ობ. №3,7-ის გენეტიკური პროფილის ერთი წილი ა. ს-ის, ხოლო მეორე წილი – თ. ლ-ის გენეტიკური პროფილების იდენტურია.

16. სამედიცინო ექსპერტიზის 2015 წლის 28 იანვრის №... დასკვნის თანახმად, თ. ლ-ის საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია, არ არის მთელი. მისი დარღვევის ხანდაზმულობის განსაზღვრა ამჟამად შეუძლებელია, ვინაიდან დარღვევიდან გასულია ორ კვირაზე მეტი დრო.

17. ამბულატორული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2015 წლის 30 იანვრის №... დასკვნის თანახმად, თ. ლ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ არის. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით თ. ლ-ს შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში.

18. სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2015 წლის 23 მარტის №... დასკვნის თანახმად, ა. ს-ს ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენამდე და ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა – დისოციალური (ამორალური) პერსონოლოგიური აშლილობა. ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის დროს ა. ს-ი ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით ან ჭკუასუსტობით დაავადებული არ იყო. მას აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა – დისოციალური (ამორალური) პერსონოლოგიური აშლილობა, მას შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლსაწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა).

19. პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას ა. ს-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო



და განმარტა, რომ 1993 წლიდან სასჯელს იხდიდა და კალენდა-რულად გათავისუფლდა 2011 წელს. გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა დედასთან – ნ. ს-თან, რომელიც იმ-ჟამად ცხოვრობდა ვ-ის რაიონის სოფელ შ-ში, დის შვილებთან – თ. და რ. ლ-თან ერთად. 2012 წელს საცხოვრებლად გადავიდ-ნენ ქ.ქ-ში, ჯერ რ-ის, შემდეგ კი გ-ას ქუჩაზე, ხოლო 2013 წელს – ქ.ს-აში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრალდებული ცხოვ-რობდა დედასთან და დისშვილებთან, ყველანაირად ეხმარებო-და ოჯახს. დისშვილებთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონ-და, თუმცა თ. ლ-ს განსაკუთრებით აკონტროლებდა, რადგან მოზარდი იყო და არ აძლევდა საშუალებას, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილებები, წასულიყო, სადაც უნდოდა, ჩაეც-ვა გამომწვევად და ა.შ. თ. ლ-თან აწყდებოდა წინააღმდეგობას, გოგონას არ მოსწონდა შეზღუდვები და ბიძას არ ემორჩილებო-და, რაზედაც ხშირად კონფლიქტიც ჰქონდათ. მიუხედავად აღ-ნიშნულისა, ის მზრუნველი და მოსიყვარულე ბიძა იყო და დის-შვილებს არაფერს აკლებდა. განსაკუთრებით კი ურთიერთობა მაშინ დაეძაბათ, როცა ა. ს-მა მის მობილურ ტელეფონში ნახა უცხო ბიჭის მიერ გამოგზავნილი შეტყობინება, რომელიც უხამ-სად ეკითხებოდა „მომცემო?“ აღნიშნულზე განაწყენებულმა ტელეფონი ჩამოართვა, მოძებნა ის ბიჭი და დაელაპარაკა, თან გააფრთხილა, რომ მის დისშვილს ახლოს აღარ გაჰკარებოდა, თ-აც აუკრძალა იმ ბიჭთან შეხვედრები. აღნიშნულზე განაწყე-ნებულმა თ. ლ-მა გადაწყვიტა, შური ეძია ბიძაზე და მოიფიტრა ყველაზე სასტიკი ბრალდება, რაშიც ჯერ უახლოესი მეგობარი ლ. ძ-ი დაარწმუნა, შემდეგ კი – სკოლის მანდატურები და მას-წავლებლები. რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ საიდან აღმოჩნდა მისი სპერმის კვალი თ. ლ-ის სვიტერზე, რომელიც ბოლოს და-ზარალებულს 2015 წლის 25 იანვარს ეცვა, ა. ს-მა განმარტა, რომ ეს სვიტერი ეკუთვნის მის მეუღლეს, რომელიც ცხოვრობს ა-ში და პერიოდულად ჩამოდიოდა მასთან, შესაბამისად, და-ტოვებული ჰქონდა ტანსაცმელი და თ. ლ-იც იცვამდა ბიცოლას ტანსაცმელს. ბოლოს, დეკემბრის ბოლოს იყო ჩამოსული მისი მეუღლე, რომელიც დარჩა და ერთად ეძინათ, ჰქონდათ ცოლ-ქმრული ურთიერთობა და მისი სპერმის კვალიც ამიტომ დარჩა სვიტერზე.

20. სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარის შუამდგომ-ლობით დაკითხულმა მონმე ა. ა-ამ აჩვენა, რომ ა. ს-ი არის მისი მეუღლე. 2011 წელს, მას შემდეგ, რაც მეუღლე გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, პერიოდულად ჩამო-დის ა-დან, სადაც ცხოვრობს და გარკვეული დროის შემდეგ ისევ

უკან ბრუნდება. 2014 წლის ბოლოს 2 თვე იმყოფებოდა ს-ში და თვის ბოლოს, 29 დეკემბერს, აპირებდა ა-ში დაბრუნებას. 29-ში ვერ შეძლო გადასვლა და დაბრუნდა უკან. იმ ღამეს მეუღლესთან – ა. ს-თან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც პირადი ჰიგიენა არ ჩაუტარებია და იქვე, დივანთან, დადებული თავისი „კოფთა“ გამოიყენა გასანმენდად. მის მეუღლესა და თ. ლ-ს შორის ხშირად იყო კონფლიქტი, ვინაიდან თ-ს ბიძამისი უკრძალავდა სახლში გვიან დაბრუნებას, გამომწვევი ტანსაცმლის ტარებას. ეს თ-ს არ მოსწონდა და დაემუქრა ბიძამისს, ციხეში დაგაბრუნებო.

21. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ა. ს-ის აპელირებას იმ საკითხზე, რომ თ. ლ-ს მდიდარი ფანტაზია აქვს, რომ მან შურისძიების მოტივით შეთხზა და მოიგონა ყველაფერი, რათა თავი დაეღწია მის მიერ დაწესებული შეზღუდვებისაგან; სასამართლოს არასარწმუნოდ და არადამაჯერებლად მიაჩნია მსჯავრდებულის ეს ვერსია შემდეგ გარემოებათა გამო:

22. დაზარალებული თ. ლ-ი დამაჯერებლად და თანმიმდევრულად აღწერს ჩვენებაში ა. ს-ის მიერ მასზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებს, რომლებიც სრულად არის თანხვედნილი სხდომაზე დაკითხული მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებსა და ექსპერტიზის დასკვნებთან, კერძოდ:

23. დაზარალებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს დეტალურად აღწერა, თუ როდის და სად ძალადობდა მასზე ა. ს-ი. მიუთითა, რომ ბიძა მუდმივად ემუქრებოდა არავისთან გაემხილა, რაც ხდებოდა მათ შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდა მასაც და იმასაც, ვისაც ეტყოდა. მანვე განმარტა, რომ ბიძასთან არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება და ზიზღს გვრიდა ეს ურთიერთობა.

24. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ს-ის დედამ – ნ. ს-მა დაადასტურა ბიძა-დისშვილს შორის დაძაბული კონფლიქტური ურთიერთობის არსებობა. დაადასტურა ისიც, რომ ერთ ღამეს გააღვიძა მტვრევის ხმამ და მის შეკითხვაზე, თუ რა ხდებოდა, ა. ს-მა უპასუხა, რომ თ-ს ჭიქა გაუტყდა. აღნიშნული სრულად შეესაბამება თ. ლ-ის ჩვენების იმ ნაწილს, რომლითაც მან განმარტა, რომ როდესაც ერთ ღამეს მასთან ბიძა ამყარებდა სქესობრივ კავშირს, მაგიდაზე მდგარ ჭიქას ხელი ჰკრა და გადააგდო, რათა მძინარე ბებიას გაღვიძებოდა.

25. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, თ. ლ-ის მიერ წარმოდგენილ, მის კუთვნილ ტანსაცმელზე – მომწვანო ფერის ნაქსოვ კაბასა და ქვედაბოლოზე არსებული მოთეთრო-

მონაცრისფრო ლაქები აღმოჩნდა სპერმა, რომლის გენეტიკური პროფილი იდენტურია ა. ს-ის გენეტიკური პროფილისა, რაც სრულად არის თანხვედნილი დაზარალებულის ჩვენების იმ ნაწილთან, რომ ა. ს-ნი სქესობრივი აქტის დამთავრებისას, იმის შიშით, რომ დაზარალებული არ დაფეხმძიმებულიყო, სასქესო ორგანოს იღებდა საშოდან და სპერმას გარეთ ღვრიდა. ეს ასევე ლოგიკურად ხსნის იმ გარემოებას, რომ სპერმის კვალი აღმოჩნდა არა დაზარალებულის სხეულში, არამედ – მის ტანსაცმელზე.

26. პალატა არ იზიარებს ა. ს-ისა და მისი მეუღლის – ა. ა-ას განმარტებებს იმის თაობაზე, რომ ა. ს-თან სქესობრივი კავშირის შემდეგ ა. ა-ამ იქვე, საწოლთან დადებული თავისი „კოფთა“ გამოიყენა გასაწმენდად, ვინაიდან გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ა. ს-ის გენეტიკური პროფილის იდენტური სპერმის კვალი აღმოჩნდა თ. ლ-ის როგორც მომწვანო ნაქსოვ კაბაზე, ასევე – მონითალო ქვედაბოლოზეც.

27. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს დაზარალებულ თ. ლ-ისა და მისი მეგობრის – ლ. ძ-ის ჩვენებებზე, სადაც მიუთითებენ, რომ ა. ს-ი ცდილობდა თ-სთვის ყველა ჩამოეშორებინა და უშლიდა სხვებთან ურთიერთობას; პალატის მოსაზრებით, ა. ს-ის ასეთი ქმედება არა დისპეილზე ზრუნვით, არამედ იმით იყო გამოწვეული, რომ არ გამჟღავნებულიყო მისი დანაშაულებრივი ქმედებები. ამაზე მიუთითებს ნ. ს-ის ჩვენებაც, რომ ა. ს-ი განერვიულდა, როცა გაიგო, რომ თ. სკოლის დირექტორთან იყო შესული, რაც პალატის აზრით, სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ა. ს-ს ეშინოდა, არ გამჟღავნებულიყო მისი საქციელი.

28. პალატა მხედველობაში იღებს ასევე დაზარალებულის მასწავლებლის – ი. ხ-ის განმარტებას, რომ თ. ცოტა ემოციური, კონფლიქტური გოგონა იყო და იოლად ვერ დაუახლოვდა თანაკლასელებს სკოლაში გადმოსვლისას. თუმცა მისი, როგორც კლასის ხელმძღვანელის, ძალისხმევით თ. შეიცვალა, უფრო კომუნიკაბელური და დამჯერი გახდა. ატყობდა, რომ გოგონას რაღაც შინაგანად აწუხებდა, რასაც არ ამბობდა. მსგავსი ჩვენება მისცა სასამართლოს ლ. ძ-მაც, რომელმაც მიუთითა, რომ თ. შეიცვალა, უფრო გულჩათხრობილი გახდა, უკონტაქტო, უნდოდა მარტოობა, მასთანაც კი დისტანციურ ურთიერთობას ინარჩუნებდა, დათრგუნვილი იყო. პალატას მიაჩნია, რომ არასრულწლოვნის ასეთი ემოციური მდგომარეობა სწორედ მის მიმართ განხორციელებული სისტემატური ძალადობითაა გამოწვეული.

29. პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე მონმე ლ. ძ-ის

ჩვენების იმ ნაწილზე, რომელშიც იგი უთითებს, რომ ერთხელ, თ. ლ-თან სახლში სტუმრად ყოფნისას, ნახა, რომ ა. ს-ი ტელევიზორით უხამს ფილმებს უყურებდა. იყო ისეთი შემთხვევა, რომ ა. ს-მა მას ჰკითხა, მამაკაცის ასო თუ ჰქონდა ნანახი, რაზედაც უარყოფითი პასუხი გასცა და გაეცალა. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ასეთი ქმედება მიანიშნებს ა. ს-ის პიროვნებაზე, ზოგადად – მის არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე არასრულწლოვნების მიმართ.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის არგუმენტები არა-დამაჯერებელია, ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს და მოგონილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მიზნით, რის გამოც მათ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

31. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ა. ს-ის მიერ გაუპატიურების არაერთგზის ჩადენის თაობაზე და მსჯავრდებული ბრალდების ამ ნაწილში უნდა გამართლდეს შემდეგ გაემოებათა გამო:

32. საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლეთი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლზე კანონმდებელს ამგვარი დათქმა არ გაუკეთებია. რაც შეეხება ადრე ამავე მუხლით მსჯავრდებას, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ა. ს-ი გასამართლებულია საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლის შესაბამისობა საქართველოს მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლთან არ არის დადგენილი კანონით გათვალისწინებული წესით, საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოირიცხება საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლით ნასამართლეთი ა. ს-ისთვის საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (გაუპატიურება, ჩადენილი არაერთგზის) ბრალად შერაცხვის სამართლებრივი შესაძლებლობა.

33. რაც შეეხება ა. ს-ისთვის შერაცხულ სხვა მაკვალიფიცი-რებელ გარემოებებს – გაუპატიურება არასრულწლოვნისა და ასევე, 14 წელს მიუღწეველი პირისა – საკასაციო პალატა მიუ-თითებს, რომ ეჭვს არ იწვევს და არც კასატორი ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ მან იცოდა დისშვილის ასაკი. ეჭვს არ იწვევს ასევე ის გარემოება და არც მხარეების მიერაა სადავოდ გამ-ხდარი, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული ერთმანეთის ოჯახის წევრები არიან, რის გამოც ამ საკითხებზე საკასაციო პალატა დამატებით არ მსჯელობს.

34. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. ს-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწი-ნებული დანაშაულის ჩადენას, საკასაციო პალატა ყურადღე-ბას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული განაჩე-ნი აღნიშნული კვალიფიკაციით მსჯავრდების ნაწილში (ოჯა-ხის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრთან სხვაგვარი სექსუ-ალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძა-ლადობითა და ძალადობის მუქარით, დამნაშავისათვის წინას-წარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, იგივე ქმედება, ჩა-დენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმე-ტი წელი) ეფუძნება დაზარალებულ თ. ლ-ის ჩვენების იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც, კარტის თამაშის დროს ბიძამ უთხრა, რომ ხალათი გადაენია და ფეხი გამოეჩინა, რაზეც თ. ლ-მა უარი უთ-ხრა. ამის შემდეგ თვითონ ბიძამ გადაუნია ხალათი და დაახლო-ებით 5-10 წუთის განმავლობაში ხელს უსვამდა მუხლის ზემოთ, ფეხისა და ბარძაყის არეში. აღნიშნულზე თვითონ გაუძალიან-და, რაზედაც ბიძამ მუქარით უთხრა, რომ ხმა არ ამოელო და ეს არავისთვის ეთქვა, თორემ ყელს გამოსჭრიდა. მეორე საღამოს, ისევ კარტის თამაშის დროს, კვლავ შეუყო ხელი კაბის ქვეშ და ეფერებოდა ბარძაყსა და სასქესო ორგანოზე დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში, თან მკაცრად აფრთხილებდა კრინტი არსად დაეძრა, რამდენიმე დღის მანძილზე ანალოგიური ყო-ველ საღამოს ხდებოდა, როცა ბებიას და ძმას ეძინათ. ს-ი მას საკუთარ სასქესო ორგანოზე მოფერებასაც აიძულებდა.

35. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემო-ებაზე, რომ წინასწარ გამოძიებაში დაზარალებულმა ნამდვი-ლად მისცა მსგავსი შინაარსის ჩვენება, თუმცა სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას მას ჩვენების ეს ნა-წილი არ დაუდასტურებია და არც ბრალდების მხარეს დაუს-ვამს მისთვის ამ ნაწილში დამაზუსტებელი კითხვები. საქარ-თველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სა-

სამართლოს განაჩენი ეყრდნობა სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, გამოძიებაში მათ მიერ მიცემული ჩვენებების მხედველობაში მიუღებლად. არსებითი განხილვის სხდომაზე დაზარალებული ამ ნაწილში შემოიფარგლა შემდეგი ტიპის განცხადებით: კარტის თამაშის დროს ბიძამ უთხრა, რომ ხალათი გადაენია და ფეხი გამოეჩინა, რაზეც მან უარი უთხრა, ამის შემდეგ თვითონ ბიძამ გადაუნია ხალათი და დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში ხელს უსვამდა მუხლის ზემო არეში, ხოლო შემდგომ დასაძინებლად გაუშვა.

36. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით იგულისხმება არაბუნებრივი სექსუალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა (გარდა მამათმავლობისა და ლესბოსელობისა). გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი სახეზეა მაშინ, როცა ქმედება გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციას ქმნის, ჰგავს და აღიქმება სექსუალურ კავშირად, მაგრამ განხორციელებულია არაბუნებრივი ფორმით (მაგალითად, მამაკაცის სექსუალური კავშირი ქალთან ქალის სწორი ნაწლავის მეშვეობით და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ არის გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი, თუნდაც ასეთი ქმედება პირს სექსუალურ კმაყოფილებას ანიჭებდეს. მოცემულ შემთხვევაშიც, შესაძლოა, დაზარალებულისთვის მუხლს ზემოთ ხელის მოსმა მსჯავრდებულს ანიჭებდა სექსუალურ კმაყოფილებას, მაგრამ ის ვერ ჩაითვლება გაუკუღმართებულ სქესობრივ კონტაქტად, ვინაიდან ასეთი ქმედება თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით არ ქმნის სქესობრივი კავშირის იმიტაციას და ნორმალური განვითარების ადამიანისთვის არ აღიქმება სქესობრივ კონტაქტად.

37. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ა. ს-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, ვინაიდან არც დაზარალებულის ჩვენება და არც რაიმე სხვა მტკიცებულება არ მიუთითებს ა. ს-ის მიერ თ. ლ-ის მიმართ გაუკუღმართებული ფორმით სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დამყარების შესახებ.

38. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ა. ს-ის ქმედება ამ ნაწილში, შესაძლოა, შეიცავდეს სხვა დანაშაულის – იძულების ან გარყვნილი ქმედების – ნიშნებს, მაგრამ პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებელი შეფასება მისცეს მას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 150-ე და 141-ე მუხლებით კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენი-

ჭემა დაზარალებულის ნებას (კერძოდ: იძულების დანაშაულის შემთხვევაში ადგილი აქვს დაზარალებულის ნების სანინალ-მდეგო მოქმედებას, რაც დამნაშავის მხრიდან მომდინარე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის შედეგია, ხოლო სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული გარყვნილი ქმედება – ძალადობის გარეშე ქმედებას გულისხმობს), რასაც ვერც დაზარალებულის ჩვენებით, რომელიც დაუზუსტებელია ამ ნაწილში, და ვერც სხვა მტკიცებულებით სასამართლო ვერ ადგენს.

39. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღო ა. ს-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: ა. ს-ს არა აქვს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია ის, რომ ნასამართლევია არაერთი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; პალატამ მხედველობაში მიიღო ასევე ჩადენილი ქმედების სიმძიმე, მისი განსაკუთრებულად ამორალური ხასიათი და მიაჩნია, რომ მისთვის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა – სამართლიანია და არ არსებობს მისი შემსუბუქების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. ს-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. კ-ას საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. ს-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

4. ა. ს-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვე-



პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

5. ა. ს-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 111,137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს დაემატოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 2000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ა. ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა აეთვალოს 2015 წლის 28 იანვრიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გარყვნილი ქმედება**

### **განაჩენი საქართველოს სასხლით**

№77აპ-17

27 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, კ. კ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და საბრძოლო მასალის მართლსა-



წინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

– თბილისში, ... ქუჩაზე, ...-ე კორპუსის №..... ბინაში, 19.. წელს დაბადებული კ. კ-ი თავის ნათლულთან, ..... წელს დაბადებულ თ. მ-თან სჩადიოდა გარყვნილ ქმედებებს. მან 2015 წლის 21 სექტემბერს თ. მ-ი დაიყოლია მასტურბაციაზე. 2015 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, კ. კ-მ 16 წლის ასაკს მიუღწეველი თ. მ-ი კვლავ დაიყოლია და განახორციელებინა მასტურბაცია, რითაც ჩაიდინა გარყვნილი ქმედება.

– კ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა, კერძოდ – კუსტარული წესით დამუხტული, სროლისათვის ვარგისი ერთი საბრძოლო ვაზნა, ასევე ქარხნული წესით დამზადებული 5,6 მმ კალიბრიანი სროლისათვის ვარგისი რგოლური აალების 8 საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც 2015 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე №... კორპუსის №...-ში მდებარე ნ. ი-ს კუთვნილ ბინაში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის განაჩენით კ. კ-ი, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა უდანაშაულო და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

კ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2015 წლის 25 სექტემბრიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო.

გაუქმდა კ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

ნივთიერი მტკიცებულება:

– ორი CD დისკი, რომლებიც ერთვის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით, ხოლო საბრძოლო მასალა უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამსახურს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ კ. კ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. მსჯავრდებულ კ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სა-

სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ვიდეოფირი არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად, რადგან მასში ასახული პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია და მასზე არ ჩატარებულა ექსპერტიზა; ვიდეოფირზე მითითებული დრო არ ემთხვევა ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული დანაშაულის ჩადენის დროს; დაზარალებულის მშობლების ჩვენებები არის ირიბი მტკიცებულებები, ხოლო დაზარალებულის ჩვენება არ არის სარწმუნო და დამაჯერებელი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ კ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების შეფასებას კ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების შესახებ და დამატებით აღარ მსჯელობს მოცემულ საკითხზე, ვინაიდან ბრალდების მხარეს სააპელაციო და საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია განაჩენები, ხოლო რაც შეეხება სასამართლოების დასკვნას საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით ინკრიმინირებულ ქმედებაში მისი ბრალეულობის თაობაზე, იგი სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ:

3. არასრულწლოვანი დაზარალებულის – თ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულ კ. კ-ი არის მისი ნათლია. იგი ხშირად მიდიოდა მათთან სახლში. საძინებელ ოთახში ამეცადინებდა, ისვამდა კალთაში, ეფერებოდა, ხშირად უხერხულ ადგილზეც ჰკიდებდა ხელს, ასევე, ეთამაშებოდა მას „წეროებს“. ერთ-ერთი ასეთი თამაშის დროს კ. კ-მ უთხრა, რომ თუ თვითონ წააგებდა, ტკბილედ უყიდდა, ხოლო მისი წაგების შემთხვევაში 50-ჯერ გააკეთებდა იმას, რასაც ეტყოდა. როდესაც წააგო, ნათლიამ უთხრა, რომ პირი გაელო და მისი თითი 50-ჯერ აელოკა. თავიდან იუარა, მაგრამ მკაცრი ტონით რომ უთხრა,

შეეშინდა. თითს პირში უდებდა და ამოდრავებდა. აღნიშნული რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ერთხელ რომ წააგო, მსჯავრდებულმა უთხრა, რომ მის შარვალში ხელი ჩაეყო და 50-ჯერ აენია და ჩამოენია მისი სასქესო ორგანო. თავიდან იუარა, მაგრამ მან ისევ მკაცრი ტონით უთხრა და შეეშინდა. წასვლისას კ. უთხრა, რომ კიდევ მივიდოდა და გააკეთებინებდა იმავეს. აღნიშნულის შესახებ მ-მ უამბო მამას, ასევე, უთხრა, რომ კ. ნათლია ხუთშაბათს უნდა მისულიყო მათთან. ხუთშაბათს კ. ნათლიამ ისევ იგივე გააკეთებინა, შეიხსნა შარვალი, ხელი ჩააყოფინა და 50-ჯერ ამოდრავებინა ხელით მამაკაცის სასქესო ორგანო.

4. დაზარალებულის მამის, მოწმე ფ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ერთოთახიან ბინაში, მეუღლესთან, სიდედრთან და ორ შვილთან, 18 წლის ვაჟიშვილსა და თ. მ-თან ერთად, რომელიც მე-5 კლასში სწავლობს. კ. კ-ს იცნობს 2003 წლიდან. იგი არის მისი შვილის ნათლია. კ. ხშირად მიდიოდა მათთან ოჯახში, ხანდახან რჩებოდა კიდევ. იმ დროს, როცა ოჯახის წევრებს არ ეცალათ, კ. სთხოვდნენ, რომ თ. სკოლიდან გამოეყვანა. 2015 წლის 21-22 სექტემბერს ადრე დაბრუნდა სახლში, მ. გვიანობამდე მეცადინეობდა. დასაძინებლად ემზადებოდა, როდესაც მ-მ უთხრა, რომ არ უნდოდა კ. ნათლია მათ სახლში მისულიყო, რადგან ცუდ რაღაცეებს აკეთებინებდა. მ-მ უამბო, რომ „წეროების“ თამაშის წაგების შემთხვევაში კ. კ-ი მას პირში ხელს უყოფდა და ამოდრავებდა, ასევე, ხელს აყოფინებდა შარვალში და ამოდრავებინებდა სასქესო ორგანოს. ეს ყველაფერი ხდებოდა 8 საათზე, საინფორმაციო გამოშვების ტელევიზიით გადმოცემის დროს, როდესაც ბებია გვერდით ოთახში გადიოდა ტელევიზორის საყურებლად. ამის თაობაზე ფ. მ-მ უამბო მეუღლეს, რომელმაც არ დაუჯერა. გააანალიზა და მიხვდა, რომ ფაქტის გარეშე კ. ვერაფერს დაუმტკიცებდა, რის გამოც შეიძინა და ბინის შესასვლელში არსებული კარის კუთხეში დაამონტაჟა კამერა, რომელიც მიმართული იყო სანოლისკენ. იმ დღეს ბავშვმა ადრე დაამთავრა მეცადინეობა. მან კამერა გამორთო და დაათვალიერა. მეუღლესაც აჩვენა ჩანაწერი, რომელზეც მართლაც აღმოჩნდა ზუსტად ის, რაც ბავშვმა აღუწერა. ნათლად იყო ასახული, თუ როგორ ამეცადინებდა კ. კ-ი ბავშვს და წელზემთ შიშველი, სანოლზე წამოწოლილი, როგორ აყოფინებდა შარვალში ხელს. როდესაც მშობლები დარწმუნდნენ, რომ ბავშვი არ ტყუოდა, მიმართეს პოლიციას.

5. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულის დედამ – მ. ა-მ.

6. ფ. მ-ს მიერ თბილისის შსს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-..... განყოფილებაში წარდგენილი ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით დადგენილია შემდეგი: კადრში ჩანს საცხოვრებელი ბინის ოთახი. კედელთან მიდგმულ სანოლზე ზის წელზემოდ შიშველი კ. კ-ი, რომელსაც თ. მ-ი უზის კალთაში, სახით მისკენ. ბავშვს ფეხები აქვს გაშლილ მდგომარეობაში და უდევს კ. კ-ს ბარძაყებზე გარდიგარდმო. ოთახში ასაკოვანი ქალბატონის, ფ. მ-ს სიდედრის, ნ. ი-ს შესვლისას, კ. კ-ი ხელით ანიშნებს გოგონას და ბავშვი ჯდება მის გვერდით, ხელმარცხნივ. ჩანაწერის დაწყებიდან მე-7 წუთზე (ამ დროს ბებია უკვე გასულია ოთახიდან) კ. კ-ი ხელით ანიშნებს თ. მ-ს, რომ ჩაუჯდეს კალთაში. ბავშვი გადასწევს მარცხენა ფეხს და ისევ ჯდება კ. კ-ს კალთაში. ეს უკანასკნელი ბავშვის გენიტალიის ადგილებს მორგებულად ისწორებს თავის სასქესო ორგანოსთან. ხელს ჰკიდებს თ. მ-ს დუნდულებზე და ოდნავ სწევს წინ, მუხლების მხარეს. ამის შემდეგ ორივე ხელი შემოხვეული აქვს ბავშვის წელზე, კოცნის ყელში, ტუჩებში და წელ-წელა, საქანელას მსგავსი მოძრაობით ხან წინ გადაინევა ბავშვთან ერთად, ხან – უკან. ჩანაწერის მე-11 წუთზე ბავშვი ისევ გვერდით დასაჯდომად გადადის სანოლზე. ამ დროს კ. კ-ი ფეხებმოკეცილი ჯდება, იღებს იქვე დადებულ ჟურნალს და იღებს მუხლებზე, ბავშვს რალაცას ეუბნება, რის შემდეგაც თ. მ-ს, მართალია, არ უჩანს მარჯვენა ხელი კადრში, ხელს ეფარება კ. კ-ს მუხლები, მაგრამ მოჩანს ბავშვის მკლავი, რომელიც მოძრაობს ზევით-ქვევით მიმართულებით, სავარაუდოდ, ძალას ატანს ამ მოძრაობას, რის გამოც თავიც ანალოგიურად ხან წინ მისდის და ხან – უკან. მე-13 წუთზე კ. კ-ი დგება საწოლიდან, რა დროსაც ჩანს, რომ ბავშვმა უცბად ამოიღო ხელი მისი შარვლიდან. კ. კ-ი გადის ოთახიდან. ჩანაწერის საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 15 წუთს და მასზე დაფიქსირებულია დრო – 2007.12.16.

7. 2015 წლის 25 სექტემბერს გამოძიებულ ი. ბ-ს მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ ფ. მ-ს მიერ წარდგენილი სათვალთვალო კამერით საგამოძიებო ორგანოში მოხდა მცირემეტრაჟიანი ვიდეოგადაღება, რა დროსაც ჩანაწერზე დაფიქსირდა დრო – 2007.12.17.

8. აღნიშნული საგამოძიებო ექსპერიმენტის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა გამოძიებულმა ი. ბ-მ, რომელმაც განმარტა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარა ფ. მ-გან წარდგენილი ვიდეოჩანაწერის დროსთან შესაბამისობის შესამოწმებლად, რამდენადაც განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ჩანაწერი გაკეთებული იყო 2015

წლის 24 სექტემბერს, ხოლო მის მიერ წარდგენილ ვიდეორჩანაწერში მითითებული იყო – 2007 წელი. გამომძიებელმა იმავე კამერით გადაიღო და გააკეთა მცირემეტრაჟიანი, დაახლოებით ორნუთიანი ჩანაწერი, რა დროსაც მასზე დაფიქსირდა კვლავ 2007 წელი, თუმცა ერთი დღით მეტი, ვიდრე შესამოწმებელ ჩანაწერზე იყო მითითებული.

9. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ვიდეორჩანაწერით არ დგინდება მასში ასახული პირების ვინაობა, ასევე მასში მითითებული დრო არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის დროს და აღნიშნავს შემდეგს: ფ. მ-მ თავის საცხოვრებელ სახლში სათვალთვალ კამერა (..... მანქანის ვიდეორეგისტრატორი) დაამონტაჟა სპეციალურად იმ მიზნით, რომ დარწმუნებულიყო დაზარალებულ თ. მ-ს ნაამბობის სისწორეში; მან ვიდეოთვალის დააყენა სწორედ იმ დღეს, როდესაც დაფიქსირდა დანაშაულებრივი ფაქტი და ამასთან, დადასტურებულია, რომ იმ დღეს (2015 წლის 24 სექტემბერს) მსჯავრდებული კ. კ-ი იმყოფებოდა მათ საცხოვრებელ ბინაში; ფ. მ-მ ვიდეორჩანაწერს თვითონაც უყურა და ასევე აყურებინა მეუღლე-საც – მ. ა-ს და როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ დაზარალებული სიმართლეს ამბობდა, დაუყოვნებლივ, მეორე დილასვე, მიმართეს პოლიციას და ვიდეორჩანაწერიც წარადგინეს.

10. რაც შეეხება ვიდეორჩანაწერზე ასახულ დროს, როგორც საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმიდან და მისი შემდგენელი პირის, გამომძიებელ ი. ბ-ს ჩვენებიდან ირკვევა, 2015 წლის 25 სექტემბერს მან ჩაატარა საგამომძიებო ექსპერიმენტი ვიდეორჩანაწერზე დაფიქსირებული თარიღის შესამოწმებლად, რადგან ფ. მ-ი უთითებდა, რომ ვიდეო ჩაინერა 2015 წლის 24 სექტემბერს, თუმცა იგი დათარიღებული იყო 2007 წლით. გამომძიებელმა 2015 წლის 25 სექტემბერს იმავე კამერით გადაიღო მცირემეტრაჟიანი, დაახლოებით ორნუთიანი ვიდეორჩანაწერი, რა დროსაც დაფიქსირდა კვლავ 2007 წელი, თუმცა შესამოწმებელ ჩანაწერზე ერთი დღით მეტი. შესაბამისად, დადგენილია, რომ ფ. მ-მ ვიდეორჩანაწერი გააკეთა ნამდვილად 2015 წლის 24 სექტემბერს, ხოლო კამერაზე მითითებული დრო ვიდეოგადაღებისას მას არ გაუსწორებია.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასევე უსაფუძვლოა კასატორის განმარტება, რომ დაზარალებულის ჩვენება არის არადამაჯარებელი, რადგან იგი ფაქტებს ვერ გადმოსცემდა სწორად და აღნიშნავს, რომ დაზარალებულის ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველი პალატას არ გააჩნია, ვინაიდან იგი არის თანმიმდევრული, სარწმუნო და ამასთან, სრულად თანხვედნი-

ლი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან – ფ. მ-ს, მ. ა-ს ჩვენებებსა და ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებულ ფაქტებთან.

12. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ვინაიდან დაზარალებულის მშობლები გადმოსცემენ მის ნაამბობს (რაც თავისი შინაარსით წარმოადგენს ირიბ ჩვენებებს), მათი მტკიცებულებად მითითება და გამოყენება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და ეთანხმება სააპელაციო პალატის არგუმენტებს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც წესი, არ არის საჯარო ხასიათის, რის გამოც მითითებული კატეგორიის საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში დანაშაულის შემსწრე უშუალო თვითმხილველი მოწმეები არ არსებობენ. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ფ. მ-ი დანაშაულს უშუალოდ არ შესწრებია, მაგრამ სწორედ მან მოიპოვა ზემოხსენებული ვიდეოჩანაწერი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას.

13. ასევე, კასატორის აპელირება, იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს მართლაც რომ ჩაედინა მისთვის მსჯავრად შერაცხული ქმედება, ამას აუცილებლად დაინახავდა დაზარალებულის ბებია, რომელიც ყოველთვის სახლში იმყოფებოდა, უსაფუძვლოა, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მსჯავრდებული დანაშაულებრივ ქმედებას სჩადიოდა სწორედ იმ მომენტში, როდესაც თ. მ-ს ბებია ოთახიდან გადიოდა და დაზარალებული და მსჯავრდებული მარტო რჩებოდნენ.

14. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ კ. კ-თვის განსაზღვრულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხის, მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

16. ამასთან, ვინაიდან არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებში არასრულწლოვანი დაზარალებულის – თ. მ-სა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის განმარტებული არ არის საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით

გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, საკასაციო პალატა მითითებული ნორმის საფუძველზე არასრულწლოვან დაზარალებულ – თ. მ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს და განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ კ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენი კ. კ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. არასრულწლოვან დაზარალებულ თ. მ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს განემარტოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

### თაღლითობა

#### განაჩენი საქართველოს სასჯელით

№434აპ-16

10 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენით ნ. გ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 8 აგვისტოდან.

2. ნივთიერი მტკიცებულებები – 5 DVD დისკი და დალუქული პაკეტი №....., მასში მოთავსებული განცხადებებითა და ხელწერის ნიმუშებით, რაც დართულია საქმეზე, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით, ხოლო მობილური ტელეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათით უნდა დაუბრუნდეს ნ. გ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

3. განაჩენით მსჯავრდებულ ნ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის ივლისში ნ. გ-ე ზ. გ-ს გაეცნო თბილისის პროკურატურის თანამშრომლად და მის ძმასთან – ბრალდებულ გ. გ-თან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად მოსთხოვა და 2015 წლის 8 აგვისტოს თბილისში, თავის საც-



ხოვრებელ ბინაში, მოტყუებით, ვითომდა საპროცესო შეთანხმების პირობები შეთანხმებული ჰქონდა ზემდგომ პროკურორთან, გამოართვა 5000 ლარი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

4. ნ. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და თავის საცხოვრებელ ბინაში – თბილისში, ... ქ.№.....-ში, შეინახა 9 მმ კალიბრიანი საბრძოლო ვაზნა, რაც ამოღებულ იქნა ჩხრეკის შედეგად.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებული ნ. გ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით ნ. გ-თვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. გ-ს მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმეში არსებული, საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებებით: ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებით, მონმეების – ზ. გ-ს, მ. მ-ს, დ. ხ-ს, გ. გ-ს დაკითხვის ოქმებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალებით, ბინის ჩხრეკის ოქმით, გ. გ-ს ბრალდების შესახებ დადგენილებით, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის სახელზე ზ. გ-ს სახელით შედგენილი განცხადებებით, გრაფიკული ექსპერტიზის №..... დასკვნით, ბალისტიკური ექსპერტიზის №..... დასკვნით ნ. გ-ს ბრალეულობა დადასტურებულია.

3. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ვერ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: როგორც საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, მას შემდეგ, რაც ნ. გ-ე ზ. გ-ს გაეცნო როგორც ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომელი და გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაპ-

პირდა დახმარებას მის ძმასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, დაზარალებულმა ზ. გ-მ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებელმა ზ. გ-ს გადასცა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი თანხა – 50 ცალი 100-ლარიანი კუპიურა, რომელთა გამოყენებითაც დაგეგმეს და ჩაატარეს კანონით გათვალისწინებული ოპერაცია ნ. გ-ს დანაშაულის ფაქტზე მხილებისათვის, რაც განხორციელდა კიდეც და ნ. გ-ე ფაქტზე დააკავეს.

4. კანონის თანახმად, თაღლითობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დანაშაულის მიერ გამოზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ზიანი ადგება დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა ზ. გ-მ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამოირიცხა ნ. გ-ს ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის – დაზარალებულ ზ. გ-ს საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის – დაზარალებულ ზ. გ-ს კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც გამორიცხული იყო იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია ნ. გ-თვის, როცა ეს უკანასკნელი დააკავეს. თანხა, რომელიც ოპერატიული ღონისძიების ჩატარების დროს 50 ცალი 100-ლარიანი კუპიურის სახით გადაეცა მსჯავრდებულს, წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საკუთრებას, რომლის გადაცემის პროცესს მთლიანად აკონტროლებდნენ აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები.

5. განხილული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა ნ. გ-მ ჩაიდინა არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ – თაღლითობის მცდელობა, რაც გამოიწვევდა დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას არ გაითვალისწინა მითითებული ფაქტობრივი გარემოება და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

6. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო პალატა გასაჩივრებულ განაჩენს ამ ნაწილში ტოვებს უცვლელად, რადგან განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ნ. გ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით და საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს.

7. რაც შეეხება კასატორების მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, აღნიშნულ მოთხოვნას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-თვის სასჯელის დანიშვნისას ზედმიწევნით გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა თავისი ქმედებით საფრთხე შეუქმნა არა მარტო კონკრეტული პირის ინტერესებს, არამედ სახელმწიფო ორგანოს რეპუტაციას და ისე განუსაზღვრა შესაბამისი სასჯელი, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. ნარკოტიკული დანაშაული

### ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა

#### ბანაჩენი საქართველოს სახელით

№448აპ-16

17 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. შ-ს სა-  
კასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-  
ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განა-  
ჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის განაჩენით ვ. შ-ი, –  
დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართვე-  
ლოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და  
მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხ-  
და დაეწყო 2014 წლის 30 სექტემბრიდან.

2. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის  
შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერ-  
თვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით –  
საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებ-  
ლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და  
ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) და-  
წესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიან-  
ობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შე-  
ძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – სა-  
ექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე  
აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენ-  
ლობის უფლება.

3. სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებე-  
ბი – ერთი CD-დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის

საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; ვ. შ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველ მთავარ სამმართველოში უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო ლ. ა-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 87 ფლაკონი პრეპარატი „ტროპიკამიდი“ და ფულადი თანხა, რომლებიც ინახება საქართველოს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

4. მსჯავრდებულ ვ. შ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 30 სექტემბერს, ღამის საათებში, ქ. თბილისში, ..., ვ. შ-ი, რომელსაც თან ჰქონდა გასაღების მიზნით უკანონოდ შექმნილი 0.15853 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 18 აბი და 6 აბის ნატეხი, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბებიდან 10 აბის, რომელიც შეიცავს 0.080 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, გასაღების მიზნით შეხვდა ლ. ა-ს, მაგრამ საქართველოს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოტიკული საშუალება ლ. ა-ს ვერ გადასცა, რადგან ვ. შ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ხსენებული 0.15853 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 18 აბი და 6 აბის ნატეხი.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებული ვ. შ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ვ. შ-ს გამართლების შესახებ, რადგან ასეთი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლითაც, თანახმად სააპელაციო სასამართლოს მართებული დასკვნისა, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ვ. შ-ს მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, კერძოდ:

3. მონმე მ. ს-ს ჩვენების თანახმად, მუშაობს საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-... განყოფილებაში დეტექტივ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2014 წლის 30 სექტემბერს, ღამის საათებში, იმყოფებოდა სამსახურში, რა დროსაც მისმა თანამშრომელმა გ. ბ-მ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ... №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა ლ. ა-ე, რომელთანაც „ოპელის“ ფირმის ავტომანქანით უნდა მისულიყო ვ. შ-ი, რომელსაც ლ. ა-თვის უნდა გადაეცა ნარკოტიკული საშუალება. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები და გავიდნენ შემთხვევის ადგილზე. თვითონ გავიდა თანამშრომლებთან – ა. გ-სა და დ. მ-თან ერთად. შენიშნეს, რომ ინფორმაციაში მითითებული ავტომანქანა მოძრაობდა ... პარკის მიმართულებით. გააჩერეს და წარუდგინენ როგორც პოლიციის თანამშრომლები. ავტომანქანას მართავდა ვ. შ-ი, ხოლო ავტომანქანაში ასევე იმყოფებოდნენ ლ. ა-ე და ს., რომლის გვარიც აღარ ახსოვს. აუხსნეს ავტომანქანაში მსხდომ პირებს, რომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ჩაეტარებინათ მათი პირადი ჩხრეკა. ვ. შ-ი იტრიალებდა ჯიბეებს, არწმუნებდა მათ, რომ არავითარი კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ჰქონდა. ლ. ა-მ საუბარში ა. გ-ს განუცხადა, რომ პირადად მას ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ მისთვის ნარკოტიკული საშუალება უნდა გადაეცა ვ. შ-ს, რომელსაც ტრუსებში ჰქონდა ეს ნივთიერება და ვერ მოასწრო გადაცემა. ვინაიდან ხსენებულ პირთა პირადი ჩხრეკა დაკავშირებული იყო გაშიშვლებასთან, რაც ვერ ჩატარდებოდა ქუჩაში, გადაწყვიტეს, ჩხრეკა ჩაეტარებინათ პოლიციის განყოფილებაში, რისთვისაც ვ. შ-ი, მისივე თანხმობით, გადაიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში, კერძოდ, შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ... განყოფილებაში, სადაც ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. ჩხრეკაში მონაწილეობდნენ ა. გ-ა და დ. მ-ი, ხოლო თვითონ შეადგინა პირადი ჩხრეკის ოქმი. პირადი ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა და ვ. შ-ს საცვლიდან (ტრუსიდან) ამოიღეს პოლიეთილენის პარკში

ორ ფუთად მოთავსებული, მთლიანობაში 18 აბი და ასევე ნატეხები, რომლებიც ამოიღო ა. გ-მ და დალუქეს ვ. შ-ს თანდასწრებით. აღნიშნულის შემდეგ ვ. შ-ი დააკავეს და გადაიყვანეს შსს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. პოლიციის ეზოში გაიჩხრიკა ვ. შ-ს ავტომანქანაც, მაგრამ ჩხრეკის შედეგად არაფერი აღმოჩენილა. მოწმემ აღნიშნა, რომ ვ. შ-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა კანონის სრული დაცვით – ვ. შ-ს განემარტა უფლებები, იგი უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნის მომსახურებით. ვინაიდან ჩხრეკა დაკავშირებული იყო გაშიშვლებასთან და ქუჩაში ვერ ჩატარდებოდა, ვ. შ-ი დათანხმდა პოლიციის განყოფილებაში გადაყვანაზე, პირადი ჩხრეკის ოქმი სრულად გადაუთარგმნა და გააცნო თარჯიმანმა, ასევე გადაეცა ოქმის ასლი. მათ ვ. შ-ს მიმართ ძალადობა ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება არც პირადი ჩხრეკისას, არც მანამდე და არც შემდეგ არ განუხორციელებიათ.

4. ანალოგიური ჩვენება მისცეს მოწმეებმა – ა. გ-მ და დ. მ-მ.

5. მოწმე ა. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ, როგორც თარჯიმანი, ესწრებოდა ვ. შ-ს პირად ჩხრეკას, რომელიც ჩატარდა პოლიციის განყოფილებაში. პოლიციელებმა ვ. შ-ს განუმარტეს უფლებები, რის შემდეგაც ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა და ვ. შ-ს საცვლიდან ამოუღეს შეფუთული აბები და აბის ნატეხები, რომლებიც მას ე.წ. „სკოჩით“ ჰქონდა მიწებებული. ჩხრეკის შედეგად ამოღებული აბები დალუქეს. აღნიშნულის შემდეგ ვ. შ-ი დააკავეს. საგამოძიებო მოქმედება – პირადი ჩხრეკა მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. ვ. შ-ს მიმართ რაიმე მუქარას ან ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ვ. შ-ს მისთვის გასაგებ ... ენაზე უთარგმნიდა და აცნობდა ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების შინაარსს, ... ენაზე სრულად უთარგმნა და გააცნო პირადი ჩხრეკის ოქმი.

6. მოწმე – საქართველოს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – გ. პ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 30 სექტემბერს, ღამის საათებში, შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის ... განყოფილებაში, როდესაც იგი იყო ოპერატიული მორიგე, ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა მიიყვანეს უცნობი პირი, რომელიც აღმოჩნდა ვ. შ-ი. იგი ამ დროს დაკავებული არ ყოფილა და რაიმე იძულება პოლიციელებს მის მიმართ არ განუხორციელებიათ. შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ვ. შ-ს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც შენობაში იყო სიმშვიდე, ჩხრეკის



დროს რაიმე ხმაური, წინააღმდეგობა ან ყვირილი არავის მხრიდან არ ყოფილა.

7. მოწმე ს. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 30 სექტემბერს პოლიციის სხვა თანამშრომლებთან ერთად გავიდა შემთხვევის ადგილზე – ..., სადაც №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეაჩერეს მოძრავი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ ვ. შ-ი, ლ. ა-ე და ს. ლ. ა-მ განაცხადა, რომ ვ. შ-ი ნარკოტიკულ საშუალება „სუბოტექსს“ ინახავდა ტრუსებში და მისთვის უნდა გაეცვალა თვალში ჩასანვეთებელ პრეპარატ „ტროპიკამიდი“, რომელიც ამ უკანასკნელს თან ჰქონდა. თანამშრომლებთან ერთად ლ. ა-ე გადაიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში მისივე თანხმობით, სადაც ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა და ლ. ა-მ განამოიღეს პრეპარატი „ტროპიკამიდი“, ხოლო ნარკოტიკული საშუალება ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ლ. ა-ს პირადი ჩხრეკის შედეგად არ აღმოსჩენია.

8. მოწმე ლ. ა-ს ჩვენებით, არის ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ მომხმარებელი. მუშაობს შპს „ა-ში“ გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე. შემთხვევამდე რამდენიმე თვის წინ გაიცნო ... რესპუბლიკის მოქალაქე ვ. შ-ი, რომელიც მისული იყო მასთან კომპანიაში ავტომანქანის შესაძენად და დაეხმარა ვ. შ-ს რუსთავის ავტობაზრობაზე ავტომანქანის შეძენაში. ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ვ. შ-თან, რომელმაც განუცხადა, რომ შეეძინა მისთვის თვალში ჩასანვეთებელი ნამალი, პრეპარატი „ტროპიკამიდი“ და გაუცვლიდა „სუბოტექსში“, რაზედაც დათანხმდა. მოგვიანებით ვ. შ-ი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მოდიოდა ... რესპუბლიკიდან, 2014 წლის 30 სექტემბერს, ღამის საათებში, იქნებოდა საქართველოში და მისთვის დაეხვედრებინა „ტროპიკამიდი“. სულ ვ. შ-ს მისთვის უნდა გადაეცა 10 აბი „სუბოტექსი“ და სანაცვლოდ უნდა მიეცა 87 ფლაკონი „ტროპიკამიდი“. ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ..., შპს „ა-ს“ ოფისში. ვ. დაუკავშირდა მობილურ ტელეფონზე და მიაკითხა ... „ოპელის“ მარკის ავტომანქანით. მანქანაში ასევე ვ-თან ერთად მძღოლის გვერდითა სავარძელზე იჯდა უცნობი მამაკაცი. თვითონ ხელში ეჭირა პოლიეთილენის პარკში მოთავსებული პრეპარატი „ტროპიკამიდი“, ჩაჯდა ავტომანქანაში უკანა სავარძელზე და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ისინი გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც აუხსნეს, რომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მათთვის უნდა ჩაეტარებინათ პირადი ჩხრეკა ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის მიზნით. პოლიციელებს უთხრა, რომ მას ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონდა, რადგან მისთვის ნარკოტიკული საშუა-



ლება უნდა გადაეცა ვ. შ-ს, რომელსაც იგი, სავარაუდოდ, ინახავდა ტრუსებში, მაგრამ გადაცემა ვერ მოასწრო. პირადი ჩხრეკის ჩატარების მიზნით პოლიციის თანამშრომლებმა თვითონ, ვ. შ-ი და მასთან ერთად მყოფი პირი გადაიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში, სადაც მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. პარალელურად პირადი ჩხრეკა პოლიციელებმა ასევე ჩაუტარეს ვ. შ-ს და მის თანმხლებ პირს. მოწმემ განაცხადა, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარებაზე თვითონვე გამოთქვა წერილობითი თანხმობა და ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად მისგან ამოიღეს და მისივე თანდასწრებით დალუქეს 87 ფლაკონი მედიკამენტი „ტროპიკამიდი“, რომლის გაცვლაც ვ. შ-თვის „სუბოტექსში“ ვერ მოასწრო.

9. მოწმე ს. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 30 სექტემბერს ვ. შ-სა და ლ. ა-თან ერთად ასევე იმყოფებოდა ავტომანქანაში, როდესაც ისინი შეაჩერეს პოლიციელებმა ... 2014 წლის 29 სექტემბერს თავისი მეგობრის ავტომანქანით თვითონ და ვ. შ-ი ... რესპუბლიკიდან წამოვიდნენ და ლამის საათებში შემოვიდნენ საქართველოში ... სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით. თვითონ აპირებდა საქართველოში ავტომანქანის შექენას, ხოლო ვ-ს უნდოდა თავისი ავტომანქანისათვის ნაწილების შექენა. ვ. ტელეფონით დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლ. ა-ს და დაუთქვა შეხვედრის ადგილი ქ. თბილისში. მოგვიანებით შეცვალეს შეხვედრის ადგილი და ამიტომ მივიდნენ ..., სადაც დახვდათ ლ. ა-ე, რომელიც ჩაისვეს მანქანაში უკანა სავარძელზე და განაგრძეს მოძრაობა. ვ. ლ-ს საყვედურობდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად იყო და რატომ შეაცვლევიანა შეხვედრის ადგილი. მოატრიალეს მანქანა და როდესაც მიუახლოვდნენ იმავე ადგილს, სადაც ჩაისვეს ლ., შეაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომელთაც წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები და აუხსნეს, რომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მათთვის უნდა ჩატარებინათ პირადი ჩხრეკა ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის მიზნით. პოლიციელებმა ვერც ერთ მათგანს ვერაფერი აღმოუჩინეს, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ასევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რადროსაც მისგან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ამოუღიათ.

10. გარდა ზემოაღნიშნული ჩვენებებისა, მსჯავრდებულ ვ. შ-ს მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება ასევე გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: 2014 წლის 30 სექტემბრის პირადი ჩხრეკის ოქმით, 2014 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული ლ. ა-ს პირადი

ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 30 სექტემბრის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, მონმის სახით დაკითხული ექსპერტების – ს. ც-სა და ლ. რ-ს ჩვენებებით.

11. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. შ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობის ეპიზოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენში არ არის წარმოდგენილი საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

12. ვ. შ-ს ბრალეულობას ამ ეპიზოდში საფუძვლად უდევს მონმე ლ. ა-ს ჩვენება იმის შესახებ, რომ მან იცოდა, თუ რა სახეობისა და ოდენობის ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა ვ. შ-ს, კერძოდ, ამ უკანასკნელს მისთვის უნდა გადაეცა „ბუპრენორფინის“ აბები, რასაც უცვლიდა თვალში ჩასანვებელი მედიკამენტის – „ტროპიკამიდის“ ფლაკონებში; გასაჩივრებული განაჩენით მონმე ლ. ა-ს ჩვენება სარწმუნოდ იქნა მიჩნეული იმ ფაქტზე მითითებითაც, რომ მას მართლაც თან ჰქონდა და მისგან ამოიღეს 87 ფლაკონი „ტროპიკამიდი“.

13. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ვ. შ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად პოლიციის თანამშრომლებმა მისგან ამოიღეს ტრუსებში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბები და აბის ნატეხები – მონმე ლ. ა-ს მიერ მითითებული ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ რაოდენობა.

14. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ჩვენებებით უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომ ვ. შ-ს უკანონოდ ჰქონდა შეძენილი და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“. ის გარემოება, რომ მონმე ლ. ა-მ იცოდა, თუ რა რაოდენობისა და სახეობის ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა ვ. შ-ს, რაც აღმოაჩნდა ამ უკანასკნელს ჩხრეკის შედეგად, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მათ ნამდვილად უნდა გაეცვალათ ნარკოტიკი ან სხვა გზით უნდა გაესაღებინათ; ასევე უტყუარად არ გამოორიცხავს იმ გარემოებას, რომ შეიძლება მონმე ლ. ა-ს ამის შესახებ შეეტყო თავად ვ. შ-თან საუბრის დროს.

15. ასევე მნიშვნელოვანია მონმე ს. ხ-ს ჩვენება იმის შესახებ, რომ 2014 წლის 29 სექტემბერს თავისი მეგობრის ავტომანქანით თვითონ და ვ. შ-ი ... რესპუბლიკიდან წამოვიდნენ და ღამის საათებში შემოვიდნენ საქართველოში ... სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით. თვითონ აპირებდა საქართველოში ავ-

ტომანქანის შექენას, ხოლო ვ-ს უნდოდა თავისი ავტომანქანი-სათვის ნაწილების შექენა. ვ. შ-სა და ლ. ა-ს ერთმანეთთან ჰქონდათ სატელეფონო საუბარი, რა დროსაც მათ ნარკოტიკებზე არ უსაუბრიათ.

16. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ვ. შ-ი უნდა გამართლდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობაში. მას, ბრალის მოცულობის შემცირების გამო, საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. შ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებული ვ. შ-ი გამართლდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობაში.

4. მსჯავრდებული ვ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 8 (რვა) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2014 წლის 30 სექტემბრიდან.

5. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთია-

ქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

6. სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებები – ერთი CD-დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით; ვ. შ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველ მთავარ სამმართველოში, განადგურდეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო ლ. ა-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 87 ფლაკონი პრეპარატი „ტროპიკამიდი“ და ფულადი თანხა, რომლებიც ინახება საქართველოს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოში, დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა  
საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან  
ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ

### ბანაჩანი საქართველოს სახელით

№527აპ-16

10 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ფ. კ-ის  
საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-  
ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განა-  
ჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემ-  
ბრის განაჩენით ფ. კ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათ-  
ვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გადაკვალიფიცირდა საქართვე-  
ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველ ნა-  
წილზე.

2. ფ. კ., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არმქონე, –  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული და-  
ნაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განე-  
საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით; ფ. კ-ეს სას-  
ჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2015  
წლის 27 ივნისიდან;

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 27  
ივნისს, დაახლოებით 15:00 საათზე, ქ. ბ-ში, გ. ა-ის ქუჩა ...-ის  
მიმდებარედ, ფ. კ-ეს და გამოძიებით დაუდგენელ პირს შორის  
სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის აღსაკვეთად მისული  
საქართველოს შსს ...-ის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექ-

ტორების სამმართველოს უფროსი მ. ბ. და ბ-ის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების უზნის უფროსი ინსპექტორ გამომძიებელი ზ. წ. წარუდგინნ მათ, როგორც პოლიციის მუშაკები, მოუწოდეს წესრიგის დარღვევის აღკვეთისაკენ, ასევე შეეცადნენ გაშველებასა და კანონიერი ზომების გატარებას, მაგრამ ფ. კ-ემ ზ. წ-ეს მისვლისთანავე, მისი საქმიანობის ხელის შეშლის, შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, გაუწია წინააღმდეგობა, მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ასევე შემოახია სამსახურებრივი მაისური.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. რ-მა.

5. პროკურორმა გ. რ-მა ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის ფ. კ-ს დამნაშავედ ცნობა და მის მიმართ ამავე მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის შეფარდება. მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. კ-ემ ითხოვა პროკურორის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განაჩენით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურორ გ. რამიშვილის სააპელაციო საჩივარი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის განაჩენში ფ. კ-ის მიმართ შევიდა ცვლილება. ფ. კ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. ფ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. მსჯავრდებულ ფ. კ-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2015 წლის 27 ივნისიდან.

7. კასატორი – მსჯავრდებული ფ. კ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან შემთხვევის დღეს მას თანმხლებ პირთან რაიმე სახის კონფლიქტი არ მოსვლია. ისინი

მხოლოდ საუბრობდნენ ამ დროს, მათთან მისულმა მ. ბ-მა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მსჯავრდებულს განყოფილებაში წასვლა შესთავაზა. ფ. კ-მ მ. ბ-ს უარი განუცხადა, რის შემდეგაც, მართალია, მან მსჯავრდებული დატოვა და წავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთში სხვა, ფორმიან პოლიციელთან ერთად კვლავ წამოენია და დააკავა. დაკავებულს მანქანით ქალაქის ქუჩებში დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში ატარებდნენ და წერეთლის ქუჩაზე მომხდარი ქურდობის ფაქტის აღიარებას სთავაზობდნენ. ფ. კ-ის პოზიციით, მისი ამჟამინდელი ბრალდება წარმოადგენს შედეგს პოლიციელთათვის გაცხადებულ უარზე.

8. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა საქმის რეალური ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო დადგენილ გარემოებებს დაცვის საინინააღმდეგო შეფასება მისცა. მან პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაასახელა მასთან ერთად მყოფი პირის ვინაობაც, თუმცა აღნიშნული გარემოებისათვის არც საგამოძიებო ორგანოს და არც სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე არ მიუთითა, თუ რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ ჯგუფური დანაშაული და ის, რომ პოლიციელთა მიკერძოებული ჩვენების თანახმად, იგი სხვა პირთან ერთად მივიდა შემთხვევის ადგილზე, არ წარმოადგენს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის უტყუარ მტკიცებულებას.

9. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ფ. კ. ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას ფ. კ-ის უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით მოპოვებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს მსჯავრდებულ ფ. კ-ის

მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ფ. კ-ის ბრალად წარდგენილ ქმედებას ადასტურებს ბრალდების მხარის პირდაპირი სახის მოწმეთა – მ. ბ-სა და ზ. წ-ის ჩვენებები. კერძოდ:

3. დაზარალებულმა მ. ბ-მა განმარტა, რომ 2015 წლის 27 ივნისს, დაახლოებით 15:00 საათზე, იგი ინსპექტორ-გამომძიებელ ზ. წ-სთან ერთად, მისი სამსახურებრივი ავტომანქანით ქ. ბ-ში გადაადგილდებოდა, რა დროსაც ტ. ა-ის ქუჩის ...-თან მათ შენიშნეს, რომ ფ. კ-ეს და უცნობ პირს ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ და ხმამაღლა, აგრესიული ტონით საუბრობდნენ. ვინაიდან არსებობდა კონფლიქტის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაზრდის რეალური საშიშროება, არსებული ვითარების განმუხტვის მიზნით, მათ გააჩერეს ავტომანქანა, მივიდნენ მათთან და აუხსნეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. მ. ბ-მა მათ კუთვნილი პირადობის მოწმობა აჩვენა, ხოლო ზ. წ-ეს სამსახურებრივი ფორმა ეცვა. ფ. კ-ემ და მასთან ერთად მყოფმა უცნობმა პირმა მათ განუცხადეს, რომ თავიანთ საქმეს თვითონვე მოაგვარებდნენ და უნმანური სიტყვებით მიმართეს. აღნიშნულის გამო, მ. ბ. და ზ. წ. მათთან უფრო ახლოს მივიდნენ. ზ. წ-ემ ფ. კ-ეს გამუვლებების და სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ხელი მოკიდა, რის გამოც ფ. კ-ემ მას ხელებით დაუწყო ცემა. ამ დროს თავად მ. ბ. მეორე, უცნობ პირთან მცირე მანძილის მოშორებით იდგა, რომელიც აგრესიულად ლაპარაკობდა და ორივე მათგანს შეურაცხყოფას აყენებდა. ვინაიდან ფ. კ. ხელით შეეხო ზ. წ-ეს, მ. ბ-მა მის დასახმარებლად გაიწია, თუმცა ამ დროს უცნობმა პირმა რამდენჯერმე დაარტყა ხელი. მოწმის განმარტებით, იგი საძახისის გამოყენებით სხვა ჯგუფს დაუკავშირდა და დასახმარებლად უხმო. აღნიშნულის შემდეგ მან უცნობ პირზე გადაიტანა ყურადღება, ვინაიდან ზ. წ-ეს ფ. კ. ეჩხუბებოდა. მან დაკავების მიზნით ხელი მოჰკიდა უცნობ პირს და სიმშვიდისკენ მოუწოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა ხელი გააშვებინა, რა დროსაც მ. ბ-ს თითი დაუზიანა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. რამდენიმე ხანში დამხმარე ჯგუფი მივიდა, თუმცა უცნობ პირს ვერ მიაკვლიეს.

4. დაზარალებულ ზ. წ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს -ის საქალაქო სამმართველოს პოლიციის – განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2015 წლის 27 ივნისს, სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებით, იმყოფებოდა ...-ის ...-ის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროს მ. ბ-თან ერთად და



მისივე სამსახურებრივი ავტომანქანით ქალაქ ბ-ის ტერიტორიაზე მოძრაობდნენ, რა დროსაც ტ. ა-ის ქუჩის ...-თან ავტომანქანიდან შენიშნეს ორი პირი, რომლებიც ხმამაღლა კამათობდნენ, იგინებოდნენ და არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. მათი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში რომ არ გადაზრდილიყო, გააჩერეს ავტომანქანა და გადავიდნენ. მ. ბ-მა მათ წარუდგინა სამსახურებრივი მონმოზა, ხოლო თავად კი სამსახურებრივი ფორმა ეცვა. მათ დასახელებულ პირებს აუხსნეს, რომ იყვნენ პოლიციელები და სიმშვიდისაკენ მოუწოდეს. მართალია, მათ ამის შემდეგ ერთმანეთთან კონფლიქტი არ გაუგრძელებიათ, თუმცა მათ მიმართ გადავიდნენ აგრესიაზე. ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც შემდგომ გაირკვა ფ. კ-მ, ზ. წ-ეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ, რამდენჯერმე დაარტყა ხელი სხეულის სხვადასხვა არეში, ხოლო მეორემ რომელსაც მ. ბ. აჩერებდა, მას გაუწია წინააღმდეგობა და თითო დაუზიანა. როდესაც მ. ბ. საძახისის საშუალებით აპირებდა დამხმარე ჯგუფის გამოძახებას, ამ დროს ისარგებლა აღნიშნულმა უცნობმა პირმა, კვლავ დაარტყა მას ხელი მკერდის არეში და გაიქცა, ხოლო ფ. კ. ადგილზე დააკავეს. ინციდენტი დაახლოებით 5-6 წუთს გაგრძელდა. დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ, ფ. კ-ეს ფიზიკური შეურაცხყოფა აღარ მიუყენებია.

5. ამასთანავე, საქმეში არსებობს სხვა სახის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც განამტკიცებს მოწმე მ. ბ-სა და ზ. წ-ის ჩვენებებს, კერძოდ:

6. ბ-ის საქალაქო სამმართველოს პოლიციის – განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლების – ა. ც-სა და თ. კ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2015 წლის 27 ივნისს ისინი იმყოფებოდნენ სამსახურში. დაახლოებით 15:00 საათზე, საძახისის მეშვეობით, მათ გადმოსცეს ინფორმაცია ქ. ბ-ში, ტ. ა-ის ქუჩაზე პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის განწევის თაობაზე და ითხოვდნენ დახმარებას. ისინი გავიდნენ მითითებულ მისამართზე და ადგილზე მ. ბ. და ზ. წ. დახვდათ, რომლებსაც დაკავებული ჰყავდათ ერთი პირი (როგორც შემდგომში გაირკვა, ფ. კ.). მ. ბ-მა მათ აღუწერა წინააღმდეგობის გამწევი მეორე პირიც და მიუთითა, თუ რა მიმართულებით გაიქცა იგი. ა. ც-მა და თ. კ-ემ დაათვალიერეს მიმდებარე ტერიტორია, თუმცა მეორე პირს ვერ მიაკვლიეს და დაბრუნდნენ ადგილზე. გამომძიებელთა განმარტებით, ზ. წ-ეს მკვლავზე ეტყობოდა ფიზიკური დაზიანების კვალი და სამსახურებრივი ფორმის მაისური ჰქონდა გახეული მუცლის არესთან, ხოლო მ. ბ-ს მარცხენა ხელის თითზე სისხლმდენი ჭრილობა ჰქონდა.

7. სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული, მონმე შ. ს-ის 2015 წლის 28 ივნისს, გამოძიების დროს მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 27 ივნისს, შუადღის საათებში, იგი იმყოფებოდა ქ. ბ-ში, ტ. ა-ის ქუჩაზე, რა დროსაც გაიგონა გინების ხმა და №... სახლის ეზოში შემავალ პატარა ქუჩაზე დაინახა, რომ ორი პირი ცდილობდა ორი მოქალაქის დაკავებას. იგი მიხვდა, რომ აღნიშნული პირები პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, რადგან ერთ-ერთ მათგანს ფორმის ტანსაცმელი ეცვა. მითითებული მოქალაქეები ცდილობდნენ პოლიციის თანამშრომლებს ხელიდან დასხლტომოდნენ, აგინებდნენ და ურტყამდნენ ხელს. მათ მოახერხეს ერთ-ერთის დაკავება, ხოლო მეორე გაიქცა სახლის უკანა მხარეს. იმის გამო, რომ მონმე მათთან ახლოს არ მისულა, დაკავებული პირის ამოცნობა არ შეუძლია. ინციდენტი დაახლოებით 5 წუთს გრძელდებოდა.

8. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ზ. წ-ეს აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები მუცლისა და მარცხენა მხარის მიდამოში, რაც განვითარებული იყო რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით და მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. აღნიშნული დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

9. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, დგინდება, რომ მ. ბ-ს აღენიშნებოდა ნაჭდევი მარცხენა მტევნის არეში, რაც განვითარებული იყო რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით და მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. აღნიშნული დაზიანება ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

10. მაისურის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ზ. წ-ემ წარმოადგინა პოლიციელის ფორმის მაისური, რომელიც გულმკერდის არეში იკვრება სამი ღილით, რომელთაგან შუა ღილი მოწყვეტილი იყო, ხოლო ქვედა, წინა მარცხენა მხარეს, მუცლის არეში ორ ადგილას მაისური იყო გახეული.

11. საკასაციო პალატა დასახელებული მტკიცებულებების ფონზე, ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ფ. კ-ის ბრალდება არის შურისძიების შედეგი, რაც პოლიციის მუშაკთა წინაშე ქურდობის ფაქტის აღიარების შეთავაზებაზე მისმა უარმა გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში, გარდა მსჯავრდებულის განცხადებისა, სასამარ-

თლოს დასახელებული გარემოების დასადგენად სხვა სახელმძღვანელო მტკიცებულება არ გააჩნია და ამასთანავე, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მასალათა ანალიზის თანახმად, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც თუნდაც ირიბად დაადასტურებდა პოლიციის თანამშრომელთა მიკერძოებას, საქმით დაინტერესებასა და შესაბამის ორგანოებში განზრახ ცრუ ჩვენების მიცემას.

12. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ფ. კ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, საკასაციო პალატა, მართალია, დადგენილად მიიჩნევს შემთხვევის ადგილზე ფ. კ-ის უცნობ პირთან ერთად ყოფნას, მაგრამ ფაქტი, რომ დასახელებულმა ორმა პირმა წინასწარი შეთანხმების გარეშე, ჯგუფურად განზრახა დანაშაულის ჩადენა, წარმოადგენს ვარაუდს, რომელიც არ არის განმტკიცებული ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით შემდეგ გარემოებათა გამო:

13. როგორც აღინიშნა, საკასაციო პალატას არ გააჩნია მონ-მე მ. ბ-სა და ზ. წ-ის ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი, თუმცა, მათში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენასთან დაკავშირებით, თავისი მოცემულობით, ცალსახად არ მიუთითებს ფ. კ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას, კერძოდ: როგორც მონმეთა ჩვენებებით დადგინდა, ფ. კ-ეს და უცნობ პირს ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ და ხმამაღლა, აგრესიული ტონით საუბრობდნენ. ვინაიდან არსებობდა კონფლიქტის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაზრდის რეალური საშიშროება, ვითარების განმუხტვის მიზნით, პოლიციის მუშაკებმა გააჩერეს ავტომანქანა და გადავიდნენ. არსებული კონფლიქტი ბადებს გონივრულ ეჭვს პირთა შორის დროის უმცირეს ინტერვალში დანაშაულის ერთობლივად ჩადენის განზრახვის აღმოცენების ნამდვილობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქმეში მოთავსებული მასალებით არ დასტურდება, ფ. კ-ის მიერ გამოძიებისათვის უცნობი პირის დახმარების მიზნით რაიმე სახის ქმედების განხორციელება. ამასთანავე, მ. ბ-ის და ზ. წ-ის ჩვენებათა თანახმად, ფ. კ. ფიზიკურად დაუპირისპირდა ზ. წ-ეს, ხოლო უცნობი პირი კი – უშუალოდ მ.

ბ-ს. ინდივიდუალური ფიზიკური დაპირისპირების დროს დასახელებულ პირთა შორის არსებობდა გარკვეული დისტანციაც. ამდენად, ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ფ. კ-სა და უცნობი პირის მოქმედებებს გააჩნდა დამოუკიდებელი მნიშვნელობის ხასიათი, რის გამოც, გარემოება, რომ ფ. კ-ს მიერ პოლიციის მუშაკთა მიმართ წინააღმდეგობის განხრახვა მოიცავდა მისი ჯგუფურად განხორციელების ნიშნებსაც, უტყუარად დადასტურებული არ არის.

14. ნიშანდობლივია, რომ სააპელაციო პალატას მიღებულ გადაწყვეტილებაში ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეზე არ უმსჯელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველი სახის მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვისას, აუცილებელია, შემოწმდეს ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე. ამასთან, აუცილებელია, რომ პირს ობიექტური შემადგენლობის ყოველი ნიშნის მიმართ გააჩნდეს განზრახვა.

15. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემომითიებულ მოტივთა ერთობლიობაში გათვალისწინებით, პირთა შორის კონკლუდენტურად, წინასწარ შეუთანხმებლად ჯგუფური დანაშაულის ჩადენის განზრახვა წარმოადგენს ეჭვს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე უტყუარად ვერ დადასტურდა. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, არ შეიძლება მსჯავრდება ისეთი სახის მტკიცებულებებს დაეფუძნოს, რომელშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს.<sup>1</sup> ამასთანავე, მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც გულისხმობს მტკიცებულებათა საკმარისად ცხად, ძლიერ და ურთიერთშეთავსებლად ხასიათს ან ერთმანეთის მსგავს გაუქარწყლებელ ფაქტთა თანაარსებობას.<sup>2</sup> შესაბამისად, ე.წ. „In dubio pro reo“ პრინციპის გამოყენებით, ფ. კ-ის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჯგუფურად ჩადენის ეჭვი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

16. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მსჯავრდებულ ფ. კ-ის ქმე-

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Barberà, Messegué and Jabardo, N10590/83, 06/12/1988, §77

<sup>2</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Jalloh v. Germany, N54810/00, 11/07/2006, §67

დება, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

17. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს, ინდივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულის პიროვნებას და განმარტავს, რომ ფ. კ-ეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია. ამდენად, ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, კერძოდ, რომ ფ. კ-ემ ჩაიდინა მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული, განზრახი, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სანქციათა ფარგლებში, მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ფ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ფ. კ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

4. მსჯავრდებულ ფ. კ-ეს სასჯელი აეთვალოს დაკავების დღიდან – 2015 წლის 27 ივნისიდან.

5. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. სამოსალო დანაშაული

### ზეგავლენით ვაჭრობა

#### ბანაჩენი

#### საქართველოს სახელით

№497აპ.-16

25 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ც-სა და მისი ინტერესების დამცველების, ადვოკატების – ნ. კ-სა და ე. ქ-ას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით მ. ც-ას, ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქრთამის აღება, ესე იგი მოხელის მიერ ფულის პირდაპირ მოთხოვნა და მიღება, რათა მან თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

1.1. მ. ც-ა თ-ის მუნიციპალიტეტის ...-ის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №141 ბრძანებით დაინიშნა ...-ის რაიონის გამგებლის მოადგილის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2015 წლის 20 თებერვლის №136 ბრძანებით – ...-ის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე და იყო საჯარო მოხელე. ...-ის რაიონის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №... ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 23 თებერვლიდან 2015 წლის 16 მარტის ჩათვლით, მ. ც-ა დროებით ასრულებდა თ-ის მუნიციპალიტეტის ...-ის რაიონის გამგებლის მოვალეობას.

1.2. 2015 წლის 12 მარტს მ. ც-ამ მოქალაქე ნ. ჯ-ას ქრთამის სახით მოსთხოვა 3000 ევრო და დაჰპირდა თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით თ-ის მუნიციპალიტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებაში დახმარებას. აღნიშნულის სანაცვლოდ, 2015 წლის 18 მარტს თ-ში, მ. თ-ის ქუჩაზე

მდებარე ...-ის რაიონის გამგეობის შენობაში, მ. ც-ამ ნ. ჯ-ასგან ქრთამის სახით აიღო მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 2000 ევრო, ხოლო 2015 წლის 19 მარტს თ-ში, ...-ას გამზირზე, გამოართვა დანარჩენი თანხის ნაწილი – 1000 ევრო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენით მ. ც-ას მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალა 2015 წლის 19 მარტიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისის განაჩენით პროკურორ ირაკლი მარშანიას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულ მ. ც-ასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ნ. კ-ასა და ე. ქ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: მ. ც-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალა დაკავების დღიდან – 2015 წლის 19 მარტიდან.

4. კასატორები: მსჯავრდებული მ. ც-ა და მისი ინტერესების დამცველები, ადვოკატები – ნ. კ-ია და ე. ქ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მ. ც-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით: მ. ც-ამ ნ. ჯ-ას მოსთხოვა თანხა სესხის სახით და მას უკანონო მოთხოვნა არ ჰქონია; მ. ც-ას მიმართ ჩაიდინეს დანაშაულის პროვოკაცია; დაზარალებულის ჩვენების გაზიარების შემთხვევაშიც კი ქრთამის დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ არის, ვინაიდან სასამართლომ ვერ დაადგინა, თუ კონკრეტულად, როგორ და ვის მიმართ უნდა გამოეყენებინა თანამდებობრივი ავტორიტეტი მ. ც-ას; დაცვის მხარე ასევე მიუთითებს, რომ დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.



ფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა მიუთითებს, რომ სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადასტურებულად მიაჩნია, რომ საჯარო მოხელე მ. ც-ამ 2015 წლის 12 მარტს მოქალაქე ნ. ჯ-ას მოსთხოვა 3000 ევრო თ-ის მუნიციპალიტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებაში დახმარების სანაცვლოდ. 2015 წლის 18 მარტს თ-ში, თ-ის ქუჩაზე მდებარე -ის რაიონის გამგეობის შენობაში, მ. ც-ამ ნ. ჯ-ასგან მიიღო მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 2000 ევრო, ხოლო 2015 წლის 19 მარტს თ-ში, -ას გამზირზე, გამოართვა დანარჩენი თანხა – 1000 ევრო.

3. საკასაციო პალატას აღნიშნული დასკვნის საფუძველს აძლევს საქმეში არსებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, კერძოდ:

3.1. თ-ის მუნიციპალიტეტის მერიის ...-ის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის – მ. გ-ის წერილიდან ირკვევა, რომ თ-ის მუნიციპალიტეტის ...-ის რაიონის გამგებლის მოადგილე მ. ც-ა დროებითი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა 2014 წლის 6 ოქტომბრის №... ბრძანებით. კონკურსის შედეგად 2015 წლის 20 თებერვლის №... ბრძანებით იგი 3-თვიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა. ასევე, იგი დროებით ასრულებდა გამგებლის მოვალეობას 2015 წლის 23 თებერვლიდან გამგებლის – გ. ჭ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, 2015 წლის 16 მარტის ჩათვლით, გამგებლის – ლ. ა-ის დანიშვნამდე.

3.2. მოწმე ნ. ჯ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ მ. ც-ას იცნობს დიდი ხანია. როდესაც მ. ც-ა დაინიშნა გამგებლის მოადგილედ, ძალიან გაუხარდა, დაურეკა და მასთან მისალოცადაც მივიდა სამსახურში, რა დროსაც უთხრა, რომ ისიც არ დავინწყებოდა და სთხოვა დასაქმება. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მ. ც-ამ თავად დაურეკა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რის გამოც იგი მარტში ორჯერ შეხვდა მ. ც-ას მის სამუშაო ოთახში. შეხვედრისას მ. ც-ა დაჰპირდა დასაქმებას გარკვეული თანხის სანაცვლოდ მერიაში ან გამგეობაში, ძირითადად -მერიის რომელიმე სამსახურში, სადაც ჰყავდა მაღალჩინოსანი ახლობლები და გააჩნდა მათთან ახლობლური ურთიერთობები. მ. ც-ას კონკრეტული თანამდებობა, რომელიმე დეპარტამენტი, განყოფილება ან სამმართველო არ დაუსახელებია. მან საუბრისას ახსენა ვიღაც ქალი, რომელიც მისი ახლობელი იყო და ნ. ჯ-ას განუცხადა, რომ მის დასაქმებაზე პრობლემა არ იქნებოდა.



დასაქმების სანაცვლოდ მ. ც-ა ითხოვდა 5000 ევროს, თუმცა საბოლოოდ შეთანხმდნენ 3000 ევროზე. შეხვედრისას მ-ამ იგი გაიყვანა სამუშაო კაბინეტიდან, ჩაიყვანა სასაუბროდ გამგეობის უკან მიმდინარე მშენებლობასთან, სადაც იყო ხმაური, სთხოვდა ჩუმად საუბარს იმ საბაბით, რომ მას უსმენდნენ. შეთანხმდნენ, რომ როდესაც ნ. ჯ-ია თანხას იშოვიდა, უნდა დაერეკა მისთვის და ქვეტექსტით ეკითხა, რომ CV-ებში შესწორება შეტანილი ჰქონდა და როდის მიეტანა ისინი, რაც ნიშნავდა იმას, რომ თანხა უკვე ნაშოვნი ჰქონდა. მონმის ჩვენებით, მას შემდეგ, რაც თანხის ზუსტი ოდენობა დაკონკრეტდა, მან გადაწყვიტა მიემართა სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის, ვინაიდან მიუღებლად მიიჩნია ასეთი ფაქტი და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რომ მეგობარი სამსახურში დაწყებაში დახმარების სანაცვლოდ თანხის მიცემას სთხოვდა. ამის შემდეგ, მ. ც-ასთან შეხვედრებისას, მოქმედებდა ოპერატიული სამსახურის მითითებებით. მონმემ განმარტა, რომ მ. ც-ასათვის განკუთვნილი ფული მას გადასცეს ოპერატიულმა თანამშრომლებმა. მეორე შეხვედრისას, მ-ს მითითებისამებრ, CV-ებს შორის მოათავსა 2000 ევრო, დიპლომის ასლი, შრომის ნიგნაკი და გადასცა მის სამუშაო კაბინეტში, რაც მ. ც-ამ გამოართვა და სამუშაო მაგიდის უჯრაში მოათავსა. შემდეგ ახლოს დაუჯდა, ტელევიზორს აუწნია ხმა და ტუჩების მოძრაობით ანიშნებდა ხმადაბლა ესაუბრა. ისაუბრეს იმაზე, თუ რა დრო დასჭირდებოდა ნ-ას სამსახურში მოწყობას. მ. გარანტიას იძლეოდა, რომ აუცილებლად დაასაქმებდა. მესამე შეხვედრისათვის ნ-ას კვლავ უნდა ეკითხა მ-სათვის, რომ თითქოსდა „ფორმა 100“ მზად ჰქონდა და სად შეხვედროდა, რითაც მ. მიხვდებოდა, რომ ნ-ს დარჩენილი 1000 ევროც ნაშოვნი ჰქონდა. მესამე შეხვედრა შედგარ-ი საავადმყოფოს ცენტრალურ შესასვლელთან, სადაც მ. მივიდა თავისი სამსახურებრივი ავტომანქანით. თანხის გადაცემის ადგილი იყო მ. ც-ას ავტომანქანა. მ-ს მითითებისამებრ, თანხა მოათავსა გადაცემათა კოლოფთან არსებულ ყუთში. ამ დროს მათთან მივიდა პოლიციის თანამშრომელი, ანახა მ. ც-ას პოლიციის მონშობა, თუმცა მ-მ დაძრა ავტომანქანა და გაერიდა შექმნილ სიტუაციას. ამ დროს მ. ც-ამ მას უთხრა, თანხა თან ნაელო და ეთქვა, რომ თითქოს სესხი იყო. ამის შემდეგ იგი დააკავეს.

3.3. გამომძიებელმა დ. გ-მა აჩვენა, რომ ნ. ჯ-ასგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ მან მ. ც-ას გადასცა 2000 ევრო, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 1000 ევრო უნდა გადაეცა ...-ას გამზირზე, რ-ი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე იგი იმყოფებოდა თანამშრომლებთან – გ. გ-სა და ბ.

თ-სთნ ერთად. ისინი აკვირდებოდნენ, თუ როგორ მოვიდა მ. ც-ა, როგორ ჩაუჯდა ნ. ჯ-ა ავტომანქანაში. მოწმის ჩვენებით, მას შემდეგ, რაც ნ. ჯ-ამ გადასცა თანხა, გამოხსნა კარი და დააპირეს მ. ც-ას დაკავება, მ. ც-ას ავტომანქანასთან მივიდა გ. გ-ი, ფანჯარაზე მიუკაკუნა და მოახედა, ფანჯრიდან აჩვენა პოლიციის მონმობა, რა დროსაც მსჯავრდებულმა თავისუფალ სვლაში მყოფი ა/მანქანა ჩააგდო სიჩქარეში. გ. გ-მა გამოუხსნა კარი, რადგან დაინახა, რომ მ. ც-ა მიმალვას ცდილობდა და უთხრა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან იყვნენ, მიუხედავად ამისა, მან სწრაფად დაძრა ავტომანქანა. აღნიშნულის შემდეგ თანამშრომლებთან ერთად ჩასხდნენ სამსახურებრივ ავტომანქანაში და უკან გაჰყვნენ. დაახლოებით 100-150 მეტრის გავლის შემდეგ მ. ც-ამ გააჩერა ავტომანქანა, საიდანაც სწრაფად გადმოვიდა ნ. ჯ-ა. ამასობაში გ. გ-ი მიიჭრა და დააკავა იგი. დაკავებისთანავე მან მ. ც-ას განუმარტა მისი უფლებები, ჩაატარა მისი პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც პიჯაკის ზედა, შიდა მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს წინა დღეს ნ. ჯ-სათვის გადაცემული ფულადი თანხა – 1700 ევრო, რომელიც შემდგომ ჩატარებული დათვალიერებისას დაემთხვა ნ. ჯ-სათვის გადაცემული თანხის კუპირებს. შემდეგ ჩატარდა მისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის ჩხრეკა, რა დროსაც მგზავრის მარჯვენა მხარეს, რეზინის საფენიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 1000 ევრო, რომელიც წარმოადგენდა ნ. ჯ-სათვის გადაცემული ოპერატიული ფულის დარჩენილ ნაწილს. მოწმის ჩვენებით, მან ადგილზე შეადგინა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, რასაც გაეცნო მ. ც-ა და თავის შეხედულებისამებრ, ზოგან მოაწერა ხელი, ზოგან – არა.

3.4. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმემ – გამომძიებელმა გ. გ-მა.

3.5. 2015 წლის 18 მარტის ფულადი თანხის გადაცემის ოქმით დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ხარჯებიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოყოფილი ფულადი თანხა – 2000 ევრო, კერძოდ, 40 ცალი 50 ევროს ნომინალის ბანკნოტი გადაეცა ნ. ჯ-ას, რომელსაც აღნიშნული თანხა, დანაშაულის გახსნისა და მისი ჩამდენი პირების გამოსავლენად დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში, უნდა გადაეცა მ. ც-სათვის.

3.6. 2015 წლის 19 მარტის ფულადი თანხის გადაცემის ოქმით დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ხარჯებიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოყოფილი ფულადი თანხა – 20 ცალი 50 ევ-

როს ნომინალის ბანკოტი გადაეცა ნ. ჯ-ას, რომელსაც ეს თანხა, დანაშაულის გახსნისა და მისი ჩამდენი პირების გამოსავლენად დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში, უნდა გადაეცა მ. ც-სათვის.

3.7. 2015 წლის 19 მარტის ბრალდებულ მ. ც-ას დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2015 წლის 19 მარტს თ-ში, ვ-ას გამზ. ...-ში მდებარე ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მის ავტომანქანაში „ჰიუნდაი i20-ში“, სახელმწიფო ნომრით ..., დააკავეს მ. ც-ა. მ. ც-ას პირადი ჩხრეკისას მისი შავი პიჯაკის შიდა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 1700 ევრო, კერძოდ: 34 ცალი 50-ევროიანი კუპიურა. ასევე, მ. ც-ას სარგებლობაში არსებული „ჰიუნდაი i20-ის“ მარკის ავტომანქანის სალონიდან, კონკრეტულად, წინა მარჯვენა სავარძლის ფეხსადაგამი რეზინის ნოხიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 1000 ევრო, კერძოდ, 20 ცალი 50-ევროიანი კუპიურა. ამოღებული ნივთები დაილუქა ანტიკორუფციული სააგენტოს ... ბექდის ანაბექდით, რომელზეც შესრულებულია მონაწილე პირთა ხელმოწერები. აღნიშნულ ოქმზე დაფიქსირებულია მ. ც-ას მიერ გაკეთებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმს გაეცნო, მასში მოყვანილ ფაქტებს არ ეთანხმება, რასაც დეტალურად განმარტავს გამოძიების პროცესში.

3.8. 2015 წლის 19 მარტის მ. ც-ას სამუშაო ოთახის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ სამუშაო მაგიდის ქვეშ არსებული ტუმბოს პირველი უჯრიდან ამოიღეს ნ. ჯ-ას „CV“ და მის სახელზე გაცემული დიპლომის ასლი, სულ – სამი ფურცელი.

3.9. 2015 წლის 19 მარტის ლუქის გახსნის, ფულადი თანხის დათვალიერებისა და ხელახალი დალუქვის შესახებ ოქმით დადგენილია, რომ შსს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ცენტრალური სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელმა ი. ბ-ემ, მონაწილე პირის – გ. გ-ის თანდასწრებით, თავის სამუშაო ოთახში დაათვალიერა სს №... საქმეზე 2015 წლის 19 მარტს ბრალდებულ მ. ც-ას პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ფულადი თანხა – 1700 ევრო. დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი: მონაწილე პირის – გ. გ-ის თანდასწრებით, ი. ბ-ემ გახსნა თეთრი ქალაღის კონვერტი, რომელიც დალუქული იყო შსს ანტიკორუფციული სააგენტოს №... ბექტებით (ლუქებით) და მათზე აღინიშნებოდა ხელმოწერები, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღი და სისხლის სამართლის საქმის ნომერი. კონვერტისა და ლუქების მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა. კონვერტის გახსნისას მასში აღმოჩნდა 34 ცა-

ლი 50 ევროს ნომინალის ბანკნოტი. აღნიშნული კუპიურები შედარდა დასახლებულ სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ხარჯებიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოყოფილ ფულად თანხებთან, რა დროსაც ყველა ბანკნოტი დაემთხვა 2015 წლის 18 მარტს ნ. ჯ-სთვის გადაცემული 2000 ევროს ნაწილს, კერძოდ: 34 ცალ 50 ევროს ბანკნოტების სერიებსა და ნომრებს.

3.10. 2015 წლის 19 მარტის ლუქის გახსნის, ფულადი თანხის დათვალიერებისა და ხელახალი დალუქვის შესახებ ოქმით დადგენილია, რომ შსს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ცენტრალური სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებულმა ი. ბ-ემ, გ. გ-ის მონაწილეობით, თავის სამუშაო ოთახში დაათვალიერა სს №... საქმეზე 2015 წლის 19 მარტს ბრალდებულ მ. ც-ას კუთვნილი „ჰიუნდაის“ მარკის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ფულადი თანხა – 1000 ევრო. დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი: მონაწილე პირის – გ. გ-ის თანდასწრებით, ი. ბ-ემ გახსნა თეთრი ქაღალდის კონვერტი, რომელიც დალუქული იყო შსს ანტიკორუფციული სააგენტოს №... ბეჭდით და მათზე აღინიშნებოდა ხელმოწერები, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღი და სისხლის სამართლის საქმის ნომერი. კონვერტისა და ლუქების მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა. კონვერტის გახსნისას მასში აღმოჩნდა 20 ცალი 50 ევროს ნომინალის ბანკნოტი. აღნიშნული კუპიურები შედარდა დასახლებულ სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ხარჯებიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოყოფილ ფულად თანხებთან, რა დროსაც ყველა ბანკნოტი დაემთხვა 2015 წლის 19 მარტს ნ. ჯ-სთვის გადაცემულ 1000 ევროს ბანკნოტების სერიებსა და ნომრებს.

3.11. 2015 წლის 7 მაისის ფონოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ აღნიშნული ვიდეოგრამები ერთი მთლიანია; მასში არ დაფიქსირებულა ჩანაწერის მთლიანობის დარღვევის რაიმე ნიშანი: წყვეტა, შერჩევითი ჩანერა, ხარვეზები, გამოსახულების შეყოვნებები, კადრის გაუმართლებელი ცვლილებები, კადრების გადაფარვა სხვა გამოსახულებებით და ა.შ. აუდიოგრამებში მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნება.

3.12. მ. ც-სა და ნ. ჯ-ას შეხვედრების ამსახველი ფარული ვიდეო-ჩანაწერებითა და მათი ამსახველი კრებლებით დადასტურ-

და მოწმე ნ. ჯ-ას მიერ მიცემული ჩვენების სისწორე. ხსენებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2015 წლის 16 მარტს, ...-ის რაიონის გამგეობის შენობაში მ. ც-ა შეხვდა ნ. ჯ-ას და ამ უკანასკნელს მიაწოდა საკანცელარიო ფაილში მოთავსებული დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტაცია იყო „CV“-ის ნიმუშები. ჩანაწერში ფიქსირდება, რომ მ. ც-ა დგამს სკამს და ჯდება ნ. ჯ-სთან ახლოს, სთხოვს ჩუმიად საუბარს და პულტით უწევს ტელევიზორის ხმას, თუმცა, ტელევიზორში რა გადის, ინტერესს არ იჩენს. ნ. ჯ-ა ეუბნება, რომ ელოდება 1000-ს ევროს და ამ დღეებში მთლიანად მიუტანდა ფულს. მ. ც-ა ძალიან ფრთხილობს და ჩუმიად საუბრობს. იგი ჰპირდება ნ. ჯ-ას, რომ მერიაში თავის ნაცნობს ეტყვის, რომ მის წინაშე აქვს მორალური ვალდებულება და სთხოვს მის დანიშვნას ქ. თ-ის მერიის რომელიმე სამსახურში. 2015 წლის 18 მარტს ...-ის რაიონის გამგეობის შენობაში, მ. ც-ას კაბინეტში, ნ. ჯ-ია კვლავ შეხვდა მ. ც-ას. ნ. ჯ-ამ მიაწოდა საკანცელარიო ფაილი და უთხრა, რომ იქ იყო 2000 ევრო. მ- ც-ამ გააფრთხილა, რომ ჩუმიად ესაუბრა. ნ. ჯ-ამ აუხსნა, რომ ეს 2000-ია და ხვალ პირველ საათამდე, რა დროსაც მ. ც-ამ გააწყვეტინა საუბარი და უთხრა, რომ ჩუმიად ყოფილიყო და დამჯდარიყო. შემდეგ ნ. ჯ-ამ ჰკითხა მ. ც-ას მეორე დღეს მიეტანა თუ არა მისთვის 1000, რაზედაც მან თანხმობა განუცხადა. შემდეგ მ. ც-ამ აუწვია ტელევიზორს ხმა და მასა და ნ. ჯ-ას შორის გაიმართა საუბარი, რა დროსაც ნ. ჯ-ია ეკითხება, რომ შეუძლია თუ არა, მშვიდად იყოს სამსახურთან დაკავშირებით, რაზეც მ. ც-ა დადებითად პასუხობს. 2015 წლის 19 მარტს თ-ში, ...-ას გამზირზე, რ-ი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ც-ა თავისი სამსახურებრივი ა/მანქანით შეხვდა და ა/მანქანაში ჩაისვა ნ. ჯ-ია, რა დროსაც ამ უკანასკნელმა ჰკითხა: „სად დაგიდო, აბა?“, რაზედაც ც-ვა პასუხობს „კაი, აგერ დადე“. შემდეგ ნ. ჯ-ამ უთხრა, რომ ზედმეტად არ დაურეკავდა, ხოლო მ. ც-ამ უპასუხა, რომ „საქმის გასაკეთებლად“ გათვლილი აქვს 2-3 თვე ან თუ ყველაფერი კარგად იქნება, უფრო ადრეული პერიოდი. აღნიშნულის შემდეგ, როდესაც მ. ც-ას ა/მანქანას მიუახლოვდა პოლიციელი და მოსთხოვა მისი გაჩერება, იგი არ დაემორჩილა პოლიციელის მოთხოვნას და შეეცადა მიმალულიყო. ამის შემდეგ ავტომანქანაში მ. ც-ა მოუწოდებს ნ. ჯ-ას, აილოს ფული და გადააგდოს. იგი გამოთქვამს შემფოთებას, რომ დაიჭერენ და დაილუპება.

4. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს:

4.1. მოწმეების – ბ. მ-ის, გ. ბ-ის, ი. ზ-ის, ლ. ხ-ის, ა. ლ-ის, ც. თ-ის, ქ. ქ-ის, მ. ნ-ის, ნ. ხ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ მ. ც-ას

იცნობდნენ პარტიული საქმიანობიდან გამომდინარე და ახასიათებდნენ დადებით პიროვნებად. მათი ჩვენებებით დადგინდა ის გარემოება, რომ მათთვის მ. ც-სა და ნ. ჯ-ას შორის არსებული ურთიერთობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი. 2015 წლის მარტის დასაწყისში მ. ც-ას სჭირდებოდა ფულადი თანხა – 3000 დოლარი და დაკითხულ მონმეთა დიდ ნაწილს სთხოვა ამ თანხის სესხის სახით მიცემა. მონმეებმა – გ. ბ-ემ და ი. ზ-მა განმარტეს, რომ ...-ის გამგეობის შენობაში მ. ც-სთან შეხვედრისას მათ მ. ც-ამ სთხოვა 3000 დოლარის სესხის სახით გადაცემა, რა დროსაც საუბრობდა მშვიდად, ჩვეულებრივ, ნორმალური ტემპით და არანაირ სიფრთხილეს არ იჩენდა. ა. ლ-ემ განმარტა, რომ მას და ბ. მ-ს შორის იყო საუბარი იმაზე, თუ ვის შეეძლო, დახმარება გაენია მ. ც-თვის და ესესხებინა 3000 დოლარი. ერთ-ერთ კანდიდატად დასახელდა ნ. ჯ-ა. ბ. მ-მა განმარტა, რომ მ. ც-ამ მას სესხის სახით სთხოვა 3000 დოლარი, რადგან ჰქონდა ბანკის კრედიტი. მან ვერ შეძლო მ. დახმარება, ვინაიდან არ ჰქონდა აღნიშნული თანხა. შემდეგ მ. ჰკითხა, თუ ვისგან შეიძლებოდა ესესხა თანხა, მან დაუსახელა რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის – ნ. ჯ-აც. ასევე, აღნიშნა, რომ მარტის შუა რიცხვებში მ-სთან გამგეობაში თანხის უცნობია და ასესხა თუ არა ნ. ჯ-ამ თანხა მ. ც-ს, მისთვის უცნობია. მონმე გ. ბ-ემ კი აღნიშნა, რომ მარტში, მ. ც-სთან პირად საკითხზე მისულს დერეფანში შეხვდა ნ. ჯ-ია, რომელთანაც გასაუბრებისას გაარკვია, რომ ნ. მისული იყო იმიტომ, რომ მ. სთხოვა ფულის სესხება და აპირებდა ესესხებინა ფული. აღნიშნულ საუბარს სხვა პირი არ ესწრებოდა. მანვე განმარტა, რომ მ. მასაც სთხოვა სესხის სახით ფულადი თანხა – 3000 დოლარი. ფულის სესხად თხოვნის დროს მ. მოქმედება არ იყო უჩვეულო, ესაუბრებოდა მშვიდად, არ აუწევია ტელევიზორისათვის ხმა, არ გაუფრთხილებია, რომ სესხის თაობაზე არავისთვის არაფერი ეთქვა, თანხის ოდენობაც არ უნიშნებია თითებით. მონმე ქ. ქ-ემ განმარტა, რომ წარსულში მ. ც-ამ სთხოვა და ბანკიდან და მიკროსაფინასო დაწესებულებებიდან გამოუტანა თანხა, რასაც შემდგომ მ. თავად ფარავდა. დაკავებამდეც დასაფარი ჰქონდა გარკვეული თანხა, რის თაობაზედაც მ. ც-ამ დილით დაურეკა და დააიმედა, რომ მას დაფარავდა, ვილაც შეჰპირდა თანხის სესხებას, ვილაცის იმედი ჰქონდა. იმავე საღამოს კი მისი დაკავების შესახებ შეიტყო. მონმემ ასევე განმარტა, რომ მან არ იცის, მ. ც-ამ ნ. ჯ-ას გამოართვა თუ არა თანხა და არც ის იცის, ვისგან უნდა ესესხებინა მ-ას თანხა. მონმე ნ. ხ-ის განმარტებით, მ. ც-ამ მასაც სთხოვა ფინანსური დახმარება, რის გამოც სხვადასხვა სა-

ბანკო დანესებულებიდან აიღო საკრედიტო სესხები და თანხები გადასცა მ. ც-ას, რასაც შემდგომ ყოველთვიურად იხდიდა მ. ც-ა. 2015 წლის მარტში მ. შექვირიძე, რომ პარტიის ერთ-ერთი წევრისგან იხსენებდა თანხას და მის მიერ გამოტანილ სესხებს სრულად დაფარავდა. მოწმის ჩვენებით, ნ. ჯ-ას გამოართვა თუ არა მ. ც-ამ თანხა, ანდა საერთოდ, რა ურთიერთობა აკავშირებდათ, ეს მისთვის უცნობია. მ. ნ-ის განმარტებით, 2015 წლის მარტის დასაწყისში იგი მისული იყო ...-ის გამგეობაში, რა დროსაც მ. ც-ამ მას სთხოვა, რომ სესხის დასაფარად ესაჭიროებოდა 3000 დოლარი და აღნიშნული თანხა სთხოვა სესხად, რაზეც მან უარი განუცხადა, ვინაიდან არ ჰქონდა. ამასთან, განმარტა, რომ იმ გარემოების შესახებ, რომ მ. ც-ამ ნ. ჯ-ას გამოართვა თანხა, გაიგო პროცესის მიმდინარეობის დროს. მანამდე ამის შესახებ არაფერი იცოდა. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ასევე მ. ც-ას და – ფ. ც-ა, რომელმაც ასევე დადებითად დაახასიათა იგი და განაცხადა, რომ მან მისი ძმისა და ნ. ჯ-ის ურთიერთობის შესახებ არაფერი იცის და მათ შორის იყო თუ არა თანხასთან დაკავშირებით რაიმე მოლაპარაკება, მისთვის უცნობია.

4.2. ბრალდებულმა მ. ც-ამ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში განმარტა, რომ ჰქონდა გარკვეული საბანკო დავალიანებები და სჭირდებოდა 3000 დოლარი. დასახმარებლად მიმართა თანაპარტიულ ბ. მ-ს, თუმცა ვინაიდან მას არ ჰქონდა თანხა, ვერ ასესხა, მაგრამ დაუსახელა რამდენიმე პირი, ვისაც შესაძლოა, ჰქონოდა თანხა, კერძოდ: გ. ბ-ე, ს. ზ-ი და, მათ შორის, ნ. ჯ-აც. მისი ჩვენებით, უშუალოდ გამგეობებში ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ ერთმანეთისთვის 50-100 ლარის სესხების შემთხვევაშიც კი კონსპირაციისათვის მიემართათ, რათა არავის ეფიქრა, რომ თითქოს ეს თანხა რაიმესთან იყო დაკავშირებული. თვითონაც, აქედან გამომდინარე, სიფრთხილეს იჩენდა. დაურეკა ნ. ჯ-ას, სთხოვა შეხვედრა და სესხად – 3000 დოლარი 3-4 თვის ვადით. ნ. დახმარების სურვილი გამოხატა, თუმცა განუმარტა, რომ მეუღლესაც შეეკითხებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ნ. ჯ-ა მივიდა მასთან და უთხრა, რომ იგი მოახერხებდა ამ ფულის შოვნას, თუმცა აშფოთებდა ფულის დროულად დაბრუნების პრობლემა, რადგან მის მეუღლეს საკუთარ ახლობელთან ჰქონდა თანხის დაუბრუნებლობის გამო სერიოზული კონფლიქტი. მან ნ. ჯ-ას ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესთავაზა ნოტარიული წესით გაეფორმებინათ სესხის ხელშეკრულება. ამავე შეხვედრაზე, მანვე ნ-ას, როგორც პარტიის წევრს, პარტიული დავლების შესრულების მიზნით, დაავალა CV-ს მოტანა. ნ-ას მიერ



წარმოდგენილი CV ხარვეზებს შეიცავდა, რაც შეუსწორა და უკან გაატანა, რათა გამართული სახით წარმოედგინა. როდესაც ნ-ს დაურეკა სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ნ-მ უთხრა, რომ თანხის სრულად შეგროვება ვერ მოახერხა, საბუთები ჰქონდა მზად და მიუტანდა. მასთან მივიდა ნ. ჯ-ია და გადასცა ფაილში ჩადებული CV და დიპლომი. მიანიშნა ჩანთისკენ, რომ 2000 ჰქონდა თან. მან მხოლოდ ფაილი გამოართვა, რადგან იმ ეტაპზე მხოლოდ ნ-ას CV აინტერესებდა. ორჯერ რომ არ მისულიყო ნოტარიუსთან, გადაწყვიტა, თანხა ერთიანად გამოერთმია. ნ-ას დაჟინებულ კითხვაზე, თანხის უკან დაბრუნებაზე რაიმე პრობლემა ხომ არ შეექმნებოდა, დაამშვიდა, რომ აღნიშნულს ადგილი არ ექნებოდა. მეორე დღეს, სატელეფონო საუბრისას, ნ-ამ უთხრა, რომ რ-რ საავადმყოფოსთან იყო და შეთანხმდნენ იქ შეხვედრაზე. ადგილზე მივიდა სამსახურის ავტომანქანით, ნ. ჯ-ია ჩაუჯდა ავტომანქანაში, ამოიღო თანხა და გვერდით დადო. მან ნ-ს უთხრა, რომ თანხა აელო, რადგან ნოტარიუსის თანდასწრებით უნდა გადმოეცა სრული თანხა. ნ. ამაზე დათანხმდა. დაქოქა ავტომანქანა, რა დროსაც ნ-მ კივილი ატეხა. დაიწყო შფოთვა, რამაც დააქეფა და გადააგდო თანხა უკან. ფანჯარაში ვიღაც კაცის სილუეტი დაინახა, რომელიც ა/მანქანისკენ მობოდა. ჯერ იფიქრა, რომ ნ-ას მეუღლე, ძმა, ან ნათესავი ხომ არ იყო, რომელთა უკითხავად აიღო თანხა. ბოლოს ივარაუდა, რომ შესაძლოა, პოლიცია ყოფილიყო და 100 მეტრის გავლის შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტთან გააჩერა ავტომანქანა. გადმოვიდა ავტომანქანიდან, პოლიციელებს უხსნიდა, რომ ეს იყო სესხი. მათ არ მოუსმინეს და იგი დააკავეს. მისი განმარტებით, დაკავების ადგილას არ შეუდგენიათ არანაირი ოქმი და არც მისი თანდასწრებით დაულუქავთ რამე. გადაიყვანეს მოდულის შენობაში. იქ წარუდგინეს ოქმები, რაზედაც ხელი არ მოაწერა და გააკეთა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ოქმში ასახულ ფაქტებს არ ეთანხმებოდა. ფარულ ვიდეოჩანანერებთან დაკავშირებით მონემე განმარტა, რომ მისი ხმა არის ზოგან დახშული, მიჭრილ-მოჭრილი, ხოლო ნოტარიუსთან შეხვედრა და სხვა საუბრები ამოყრილი, ზოგი რამ არის მინებებული და უწყვეტად დადებულია ახალი ჩანანერი. ნ. ჯ-სთან საუბრის მომენტში ტელევიზორისათვის ხმის აწევა მან განმარტა იმ გარემოებით, რომ მისთვის საინტერესო სიუჟეტი გადიოდა.

5. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა დაცვის მხარის მონემეებმა მ. ც-ა დაახასიათეს დადებითად; დაადასტურეს, რომ მ. ც-ას ჰქონდა გარკვეული სასესხო ვალდებულებები სხვადასხვა ბანკსა და მიკროსა-



ფინანსო ორგანიზაციებთან, სჭირდებოდა ფულადი თანხა – 3000 დოლარი და დაკითხულ მოწმეთა დიდ ნაწილს სთხოვა აღნიშნული თანხის სესხის სახით მიცემა. კონკრეტულად, განსახილველ ფაქტთან დაკავშირებით კი მათ განაცხადეს, რომ არ იციან მ. ც-სა და ნ. ჯ-ას შორის არსებული ურთიერთობისა და მათი საუბრების შესახებ, ისინი არ შესწრებიან მათ საუბრებს და მათთვის უცნობია რაიმე ინფორმაცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. შესაბამისად, პალატა აღნიშნავს, რომ მათი ჩვენებები არც უარყოფს და არც ადასტურებს მ. ც-სთვის ბრალად შერაცხულ ქმედებას.

6. რაც შეეხება თავად ბრალდებულის ჩვენებას, საკასაციო პალატა მას არ იზიარებს და მიაჩნია, რომ მ. ც-ას განმარტებები მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, ისინი არაღამაჯერებელია და ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, მათი თანმიმდევრულობისა და ურთიერთშეთანხმებულობის გამო, საკასაციო პალატას არ გააჩნია, კერძოდ:

6.1. პალატა არ იზიარებს ბრალდებულის განმარტებას, რომ ნ. ჯ-ას თანხა მოსთხოვა სესხის სახით და უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია, რომ მ. ც-სა და ნ. ჯ-ას შორის სასესხო ურთიერთობა არ ყოფილა და საუბარი მათ შორის შეეხებოდა ნ. ჯ-ას დასაქმების სანაცვლოდ მისაღებ ფულად თანხას, შემდეგ გარემოებათა გამო:

- მოწმე ნ. ჯ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ მ. ც-ამ დაურეკა მას მისი დასაქმების საკითხთან დაკავშირებით, რის თაობაზეც იგი მარტში ორჯერ შეხვდა მ. ც-ას, მის სამუშაო კაბინეტში. საუბრისას წამოჭრა საკითხი, რომ ნ-ას უნდოდა სამსახური, მ-ს კი შეეძლო ამის გაკეთება. შეხვედრები მიმდინარეობდა მხოლოდ მათ შორის, სხვა პირი აღნიშნულ საუბრებს არ დასწრებია. შეხვედრისას მ. ც-ა შეჰპირდა დასაქმებას გარკვეული თანხის სანაცვლოდ მერიასში ან გამგეობაში, ძირითადად, მერიასში, სადაც გააჩნდა ახლობლური ურთიერთობები. მ-ს კონკრეტული თანამდებობა, რომელიმე დეპარტამენტი, განყოფილება ან სამმართველო არ დაუსახელებია. მისივე ჩვენებით, დასაქმების სანაცვლოდ, ნ. ჯ-ამ 2015 წლის 18 მარტს ...-ის რაიონის გამგეობის შენობაში მ. ც-ას გადასცა მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 2000 ევრო, ხოლო 2015 წლის 19 მარტს თ-ში, ...-ას გამზირზე, ა/მანქანაში, გადასცა თანხის დარჩენილი ნაწილი – 1000 ევრო.
- ნ. ჯ-ას ჩვენება სრულად დასტურდება სასამართლო სხდო-

- მაზე გამოკვლეული მისი და მ. ც-ას შეხვედრების ამსახველი ფარული ჩანაწერებითა და მათი ამსახველი კრებულებით.
- საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ფარულ ვიდეოჩანაწერებში მისი ხმა არის ზოგან დახშული, მიჭრილ-მოჭრილი, ხოლო ნოტარიუსთან შეხვედრა და სხვა საუბრები – ამოყრილი, ზოგი რამ არის მინებებული, ვინაიდან 2015 წლის 7 მაისის ფონოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ვიდეოგრამები ერთი მთლიანია; მასში არ დაფიქსირებულა ჩანაწერის მთლიანობის დარღვევის რაიმე ნიშანი: წყვეტა, შერჩევითი ჩანერა, ხარვეზები, გამოსახულების შეყოვნებები, კადრის გაუმართლებელი ცვლილებები, კადრების გადაფარვა სხვა გამოსახულებებით და ა.შ., რაც ასევე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა (დ. გ-მა, გ. გ-ემ). მათ განაცხადეს, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილ ჩანაწერებში მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნებოდა, ვიდეოგრამები არის ერთი მთლიანი და მასში არ დაფიქსირებულა არანაირი წყვეტა, შერჩევითი ჩანერა და ხარვეზები.
  - ასევე, აღსანიშნავია, რომ როგორც ნ. ჯ-ას ჩვენებით, ისე წარმოდგენილი ფარული ვიდეოჩანაწერებით აშკარაა, რომ მ. ც-ა ნ. ჯ-ასთან საუბრებში იჩენდა არაადეკვატურ სიფრთხილეს, კერძოდ, საუბრობდა ძალიან ხმადაბლა, იგი ჯდებოდა ნ. ჯ-ასთან ძალიან ახლოს და მასაც მოუწოდებდა ესაუბრა ხმადაბლა. ამასთან, ერთ-ერთ ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ იგი უწევს ხმას ტელევიზორს, რათა გადაფაროს ხმა. თანხის რაოდენობის შესახებ ყესტიკულაციით, თითებით ანიშნებს თანამოსაუბრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა ყურადღებას მიაქცევს დაცვის მხარის მოწმეებზე, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათთვის სესხის სახით ფულის თხოვნისას მ. ც-ას არ გამოუჩენია არანაირი სიფრთხილე, მისი მოქმედებები არ ყოფილა უჩვეულო, ესაუბრებოდა მშვიდად, ჩვეულებრივ, ნორმალური ტემპით, არ აუწევია ტელევიზორისათვის ხმა, არ გაუფრთხილებია, რომ სესხის თაობაზე არავისთვის არაფერი ეთქვათ, თანხის ოდენობაც არ უნიშნებია თითებით. ამდენად, პალატა ვერ გაიზიარებს ბრალდებულის განმარტებას, რომ თითქოს იმიტომ იჩენდა სიფრთხილეს, რომ გამგეობებში ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ ერთმანეთისთვის 50-100 ლარის სესხების შემთხვევაშიც კი კონსპირაციისათვის მიემართათ, რათა არავის ეფიქრა, თითქოს ეს თანხა რაიმე უკანონობასთან იყო დაკავშირებული.

უსაფუძვლოა ასევე მ. ც-ას განმარტება, რომ თითქოს ტელევიზორს ხმა აუწია მისთვის საინტერესო სიუჟეტის მიმდინარეობის გამო, ვინაიდან ვიდეომასალიდან აშკარად ჩანს, რომ მ. ც-ა არავითარ ინტერესს არ იჩენს ტელევიზიით გადმოცემული სიუჟეტის მიმართ.

6.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ მ. ც-ას დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, დაკავების ადგილზე არ ჩატარებულა მისი პირადი და ავტომანქანის ჩხრეკა, რაც უნდა ჩატარებულიყო ცალკე; ჩხრეკის შედეგად არაფერი ამოღებულა და დალუქულა, ვინაიდან აღნიშნული მითითება დაუსაბუთებელია და არ დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ:

- 2015 წლის 19 მარტის ბრალდებულ მ. ც-ას დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2015 წლის 19 მარტს ...-ში, ...-ას №...-ში მდებარე სამედიცინო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთარ ავტომანქანაში დააკავეს მ. ც-ა, რომლის პირადი ჩხრეკისას შავი პიჯაკის შიდა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 1700 ევრო. ასევე, მ. ც-ას სარგებლობაში არსებული „ჰიუნდაი i20“-ის მარკის ავტომანქანის სალონიდან, კონკრეტულად, წინა მარჯვენა სავარძლის ფეხსადაგამი რეზინის ნოხიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 1000 ევრო. ამოღებული ნივთები დაილუქა ანტიკორუფციული სააგენტოს №48 ბეჭდის ანაბეჭდით. ოქმზე შესრულებულია მონაწილე პირთა ხელმოწერები, მათ შორის – მ. ც-სი. ამასთან, აღნიშნულ ოქმზე დაფიქსირებულია მ. ც-ას შენიშვნა, რომ დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმს გაეცნო, მასში მოყვანილ ფაქტებს არ ეთანხმება, რასაც დეტალურად განმარტავს გამოძიების პროცესში.
- გამოძიებლებმა – დ. გ-მა და გ. გ-მა დაადასტურეს მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და შედგენილი ოქმების სისწორე.
- უსაფუძვლოა კასატორის პოზიცია, რომ მ. ც-ას პირადი და მისი ავტომანქანის ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო ცალკე, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პროკურორს, გამოძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომე-

ლიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე ან სხეულში. საქართველოს სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი – თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დაკავებულ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე, რაც აღინიშნება დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება. პირადი ჩხრეკის კანონიერებას ამონიშნებს სასამართლო ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ დანაშაულის ფაქტზე ნასწრებული მ. ც-ა შეეცდებოდა, ხელთ არსებული თავისი მამხილებელი მტკიცებულებები მოეშორებინა, რის გამოც დამკავებელი მოხელე უფლებამოსილი იყო ჩატარებინა მისი პირადი ჩხრეკა (მისი სატრანსპორტო საშუალების ჩათვლით) სასამართლოს განჩინების გარეშე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებაში საპროცესო ნორმების არსებით დარღვევად არ ჩაითვლება გამომძიებლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების შესახებ დადგენილების წარუდგენლობა, ვინაიდან დასახელებული ნორმა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც დაყოვნებამ შესაძლოა, არსებითად დააზიანოს გამომძიებლის ინტერესები და შეუძლებელი გახადოს მტკიცებულებების მოპოვება. ამასთან, საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხსენებული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა, რომ ასეთ ვითარებაში ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში დაცულია და ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერების შესახებ იმსჯელა სასამართლომ კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ გამომძიებლის მიერ შესაბამისი დადგენილების წარუდგენლობით პირის კანონიერი ინტერესები არ შელახულა, ვინაიდან მის უფლებებში ჩარევა სასამართლოს კონტროლქვეშ მოექცა.

6.3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დაცვის მხარის იმ მითითებაზეც, რომ მ. ც-ას მოუწყვეს დანაშაულის პროკაცია და აღნიშნავს:

- ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო პროცესში თავისთავად არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას (სამართლიანი სასამართლოს უფლება). მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა როლი ჰქონდა ფარულ თანამშრომელს. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა/კონფიდენტებმა არ უნდა განახორციელონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით, წააქეზონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. კონვენცია ირღვევა, როდესაც აგენტები უბიძგებენ პირს დანაშაულის ჩადენისკენ და სახეზე არ არის არგუმენტი, რომ მოცემული დანაშაული მათი მონაწილეობის გარეშეც იქნებოდა ჩადენილი<sup>1</sup>. ფარულ თანამშრომელთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პასიურად და მათ არ უნდა ჰქონდეთ როლი ბრალდებულთა განზრახვის ფორმირების პროცესში<sup>2</sup>; თუ ფარული აგენტი აქტიურად არის ჩართული და არსებითად უღვივებს პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს, სახეზეა დანაშაულის პროვოკაცია<sup>3</sup>; ხოლო როცა მიმდინარე/დანყებულ დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში ხდება ფარული თანამშრომლის ჩართვა, ეს ითვლება პასიურ მოქმედებად და, შესაბამისად, მისი ქმედება არ არის მაპროვოცირებელი<sup>4</sup>.
- პალატა აღნიშნავს, რომ ნ. ჯ-ია ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში ჩართეს და აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები განახორციელეს მას შემდეგ, რაც მ. ც-ამ მოსთხოვა ნ. ჯ-ას დასაქმების სანაცვლოდ თანხის გადახდა. ნ. ჯ-ას როლი მთელ ამ პროცესში იყო პასიური იმ კუთხით, რომ მისი ქმედება არც ერთ ეტაპზე არ იყო წამქეზებლური, მას მ. ც-თვის არაფერი შეუთავაზებია, იგი მოქმედებდა მ. ც-სგან მომდინარე პირობების შესაბამისად, რის გამოც, საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემომითითებული განმარტებების გათვალისწინებით, ვერ მიიჩნევს ნ. ჯ-ას ე.წ. აგენტ-პროვოკატორად, ხოლო მ. ც-ას – დანაშაულის პროვოკაციის მსხვერპლად.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად მიაჩნია მ.

<sup>1</sup> ECtHR, 9/06/1998, Teixeira de Castro v. Portugal, №44/1997/828/1034.

<sup>2</sup> ECtHR, 5/02/2008, Ramanauskas v. Lithuania, №74420/01.

<sup>3</sup> ECtHR, 1/07/2008, Malininas v. Lithuania, №10071/04.

<sup>4</sup> ECtHR, 24/06/2008, Miliniene v. Lithuania, №74355/01.

ც-ას მიერ ნ. ჯ-ასთვის დასაქმების სანაცვლოდ ფულის მოთხოვნისა და მიღების ფაქტი.

8. ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის სამართლებრივ შეფასებას მ. ც-ას მიერ ჩადენილი ქმედებისა და ამ ნაწილში იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახეზე არ არის ქრთამის აღების შემადგენლობის ყველა ელემენტი. კერძოდ:

8.1. გასაჩივრებული განაჩენით მ. ც-ას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში, რომ მან (მოხელემ) პირდაპირ მოითხოვა და მიიღო ფული, რათა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ნ. ჯ-ას სასარგებლოდ განეხორციელებინა ქმედება (დაესაქმებინა).

8.2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა პირს შეეცნოს ბრალად წარდგენილი ქმედება, უნდა დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი.

8.3. მოცემულ შემთხვევაში უტყუარადაა დადგენილი, რომ მ. ც-ამ მოსთხოვა და მიიღო ფული ნ. ჯ-ასგან მისთვის სასარგებლო ქმედების განხორციელების პირობით. პალატა განმარტავს, რომ ქრთამის აღების საფუძველზე შესრულებული მოქმედება შეიძლება არ შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში, მაგრამ მის თანამდებობრივ ავტორიტეტს შეეძლოს ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების შესრულებას/ შეუსრულებლობას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია იმის დადგენა, რომ მოხელე სწორედ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით აპირებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

8.4. აღნიშნულის დასადგენად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ნ. ჯ-ას ჩვენებასა და ფარულ ვიდეოჩანაწერებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მ. ც-ა ნ. ჯ-ას დასაქმებას სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით კი არ ჰპირდებოდა, არამედ ამ საკითხის მოგვარებას პირადი, ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით აპირებდა, რაც გამორიცხავს მ. ც-ას მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით უკანონო ქმედების განხორციელების შეპირებას და, შესაბამისად, მ. ც-ას ქმედების ქრთამის აღებად შეფასების სამართლებრივ შესაძლებლობას. გამოკვლეული მტიცებულებებით დგინდება, რომ მ. ც-ა ჰპირდებოდა ნ. ჯ-ას, რომ ახლობლური ურთიერთობებით გავლენა მოეხდინა სხვა პირზე, რომელსაც ხელენიფებოდა ნ. ჯ-ასთვის თანხის სანაცვლოდ შეპირებული ქმედების განხორციელება, რაც საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-

2 ნაწილით (ზეგავლენით ვაჭრობა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, რომლის თანახმადაც, დასჯადია პირისთვის ფულის მოთხოვნა და მიღება იმის სანაცვლოდ, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადანივების მიღებაზე ამ პირის სასარგებლოდ.

8.5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ც-ას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

9. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მ. ც-ას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: მ. ც-ა ხასიათდება დადებითად, მისი ოჯახის წევრებს აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმის განსაზღვრა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. ც-სა და მისი ინტერესების დამცველების, ადვოკატების – ნ. კ-ასა და ე. ქ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. ც-ას მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2015 წლის 19 მარტიდან.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



# საკიებელი

## ზოგადი ნაწილი

### 1. დანაშაული

ოჯახური დანაშაულის განმარტება ..... 3

### 2. სასჯელი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ..... 15

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული

სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა ..... 22

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის

ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა ..... 26

### 3. სასჯელის დანიშვნა

ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის

შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ..... 35

სასჯელის შემსუბუქება ..... 38; 41

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნაზე

უარის თქმის საფუძველი ..... 44

„ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით

უკანონო შეძენა-შენახვის გამო მსჯავრდებულის

სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი ..... 48

„გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით

უკანონო შეძენა-შენახვისათვის მსჯავრდებულის

სასჯელისაგან გათავისუფლება ..... 51

არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“

გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და

კომპენსაციის მოთხოვნის უფლების განმარტების შესახებ ..... 63

### 4. პირობითი მსჯავრი

გამოსაცდელი ვადის შემცირება ..... 67

### 5. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია ..... 70

## პირადი ნაწილი

### 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა ..... 74

ქმედების გადაკვალიფიცირება მაკვალიფიცირებელ

გარემოებებში განზრახ მკვლელობიდან მაკვალიფიცირებელ

გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობაზე ..... 88



ქმედების გადაკვალიფიცირება „ჯანმრთელობის განზრახ  
მძიმე დაზიანებიდან, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა“  
„გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაზე“ ..... 104

|  |     |
|--|-----|
| <b>2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ</b>  |     |
| ოჯახში ძალადობა .....  | 112 |
| <b>3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და<br/>ხელშეუხებლობის წინააღმდეგ</b>  |     |
| ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის –<br>წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურება .....                       | 119 |
| გარყვნილი ქმედება .....  | 136 |
| <b>4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ</b>  |     |
| თაღლითობა .....  | 144 |
| <b>5. ნარკოტიკული დანაშაული</b>  |     |
| ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა .....   | 148 |
| <b>6. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ</b>  |     |
| წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი<br>წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა<br>წარმომადგენლის მიმართ ..... | 157 |
| <b>7. სამოხელეო დანაშაული</b>  |     |
| ზეგავლენით ვაჭრობა .....   | 166 |

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)